


დავით აღმაშენებელი

ბაკრაძე

დაქანებული ოკეანეა



თბილისი
2003

შემდგენელი
ინგა კალაძე

რედაქტორები
თამაზ გამყრელიძე
გიორგი სანიკიძე

მხატვარი
თენგიზ მირზაშვილი

ტექსტში ჩართულია
ალექსანდრე გვახარიას
ჩანახატები და ჩანაწერები

შ ი ნ ა ა რ ს ი

ინგა კალაძე	წინათქმა	5
თამაზ გამყრელიძე	ღვანლმოსილი მეცნიერი და უსპეტაკესი პიროვნება	6
Guram Kartozia	Alexander Gvakharia.....	9
ირანის ისლამური რესპუბლიკის საინფორმაციო სააგენტო	უდიდესი ქართველი ირანისტის გარდაცვალება	12
როინ მეტრეველი	მთელი საქართველოს დანაკლისი..	13
ზაზა ალექსიძე	გამორჩეული მეცნიერი და გამორჩეული პიროვნება	14
ალეკო კარტოზია	უკეთესები მიდიან	15
თხუ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი, ირანული ფილოლოგიის კათედრა	მუდამ მოყვასზე მზრუნველი.....	16
გიორგი ლობჯანიძე	ნაფეხურები	17
ზურაბ კიკნაძე	შურა გვახარია	18
ნოდარ კაკაბაძე	გამოთხოვება უკანასკნელ მეგობართან	22
ზურაბ სარჯველაძე	კაცი – სანთელი	25
კურამ ბენაშვილი	სულიერების რაინდი.....	26
გურამ ჩიქოვანი	ქართული მეცნიერების სინდისი.....	28
შუქია აფრიდონიძე	ფაქიზი მოურთიერთე	30
ზურაბ ნიჟარაძე	სულიერი სამყარო ღარიბდება	35
მერი გუგუშვილი	მეცნიერი, მამულიშვილი, მეგობარი	36
ბესიკ ხარანაული	ნათელი.....	39
ვახუშტი კოტეტიშვილი	ვერ გავუმხილე... ..	40
გიორგი მირზაშვილი	შესაკითხი მქონდა... ..	42
თეო ჩხეიძე	დაუვინყარი მეგობარი.....	43
გურამ კარტოზია	შურა ბაბუ	44

ფარშიდ დელშადი	ბატონი ალექსანდრეს გახსენება ...45
დევი კაციტაძე	სადაც არ უნდა ყოფილიყო...47
განათლების სისტემის სარეფორმო ჯგუფი	მაშინ კი სავსებით ნათელი იქნება 50
მაია მიმინოშვილი, კახა ჯამბურია	ის ჩვენი დიდი იმედი იყო52
თამაზ ვასაძე, ნანა ლოლაძე, გიორგი მაჭავარიანი	კეთილმოსურნეობა.....54
თინათინ ცქიტიშვილი	მისი უკანასკნელი მეცნიერული გატაცება55
თეა შურღაია	გული და ხელები.....59
ზურაბ ჭუმბურიძე	უბადლო ინტელიგენტი63
ქეთევან ტომარაძე	ზღვაში გაბნეული მარგალიტები ...66
გალაქტიონ ლლონტი	ჩვენი შურა.....78
ნიკო ნახუცრიშვილი	ბატონ ალექსანდრეს მოვუსმინოთ...80
რევაზ თვარაძე	სამარადისოდ გემშვიდობები.....83
ნინო მახათაძე	მცირე მოგონება საყვარელ მეგობარზე.....84
ნინო მაქაძე	„ჩემგან!...“88
თეიმურაზ თათარაშვილი	დაუვინყარი ადამიანის სახე91
მზია ბურჯანაძე	ბატონ შურას – სიყვარულით93
მედეა გოცაძე	კეთილი მეზლაპრე.....94
ინგა ფონხუა	„სხვა დროისთვის გადავდოთ“95
გიორგი ლოზჟანიძე	მშვენიერი მაგალითი97
სოფო ბზიშვილი	მწვავე მონატრება 100
შორენა ნიქარიშვილი	დროში მოგზაურობას გვიადვილებდა 102
თამთა ფარულავა	სიკეთისა და სიყვარულის მასწავლებელი 105
ნინო დარბაისელი	Cardia – Carduelis... 106

წ ი ნ ა თ ქ მ ა

*Нам не дано предугадать,
Как слово наше отзовется,—
И нам сочувствие дается,
Как нам дается благодать...*

Ф.И. Тютчев

ამ მემორიალური კრებულის ადრესატი — ალექსანდრე გვახარია — ხშირად იმეორებდა ხოლმე პოეტის ზემოთ მოყვანილ სტრიქონებს. თუმცა მისი ზღვარგადასული მოკრძალება და თავმდაბლობა რომ არა, მას სხვა პოეტის სხვა სიტყვების გამეორებაც შეეძლო დარწმუნებით: „ჩემთვის დღესავით არის ნათელი, რას იტყვის ჩემზე შთამომავლობა“, — რადგან შეუძლებელია, სიცოცხლეშივე არ ეგრძნო ის საყოველთაო სიყვარული და პატივისცემა, რითაც იგი გარემოცული იყო ნებისმიერ საზოგადოებაში.

მაგრამ მაშინ ის ხომ შურა გვახარია არ იქნებოდა!...

ამ წიგნში, რომელშიც შევიდა მისი გარდაცვალებიდან დღემდე პრესაში გამოქვეყნებული წერილები და საგანგებოდ დაწერილი მასალები, გაცხადდა, თუ როგორი გამოძახილი პოვა ცნობილი მეცნიერისა და სრულიად გამორჩეული პიროვნების სიტყვამ და საქმემ თანამედროვეთა გულელებში. თანალმობას რაც შეეხება, იგი მართლაც ღვთიურ წყალობად ეძლევა ადამიანს და მიწაზე დარჩენილთ უფრო გვჭირდება, ვიდრე ზეცად ამაღლებულებს.

ამ რწმენით ვთავაზობთ დღევანდელ და მომავალ მკითხველს სევდითა და მონატრებით გაჯერებულ ალექსანდრე გვახარიას ხსოვნის წიგნს.

შემდგენელი

ღვანლმოსილი მეცნიერი და უსპეტაკესი პიროვნება

აკადემიკოს გიორგი წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მთელ ჩვენს ქართულ მეცნიერებაში, ქართულ კულტურასა და განათლებაში უდიდესი გლოვაა - გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, ქართული აღმოსავლეთმცოდნეობის სკოლის ბრწყინვალე წარმომადგენელი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ირანული ფილოლოგიის კათედრის გამგე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ალექსანდრე აკაკის ძე გვახარია.

დღეს ჩვენ უკანასკნელ გზაზე ვაცილებთ ჩვენს დიდ მეგობარსა და მამულიშვილს, გამოჩენილ მეცნიერსა და ბრწყინვალე მოქალაქეს - ჩვენთვის, ყველასათვის საყვარელ - ალექსანდრე (შურა) გვახარიას.

ჩემო შურა, შენ ველარასოდეს შემოაბიჯებ შენს საყვარელ ინსტიტუტში, რომლის მშენება შენ, დღიდან მისი დაარსებისა, იყავი; ველარ მოიკითხავ აქ შენს მეგობრებს, კოლეგებსა და მოწაფეებს, ველარ დაეხმარები მათ შენი სიტყვითა და რჩევებით... მაგრამ ის, რაც გააკეთე, სამუდამოდ დარჩება ჩვენთვის, შენი უახლოესი მეგობრების, კოლეგებისა და მოწაფეებისათვის, მთელი ჩვენი ხალხისათვის მარადიულ განძად ქართული მეცნიერებისა და კულტურისათვის, სრულიად საქართველოს ჭეშმარიტ, გარდაუვალ ღირებულებად.

ალექსანდრე გვახარიამ მეცნიერული წრთობა მიიღო დიდი ქართველი მეცნიერების - აკად. კორნელი კეკელიძის, აკად. გიორგი წერეთლის, აკად. ალექსანდრე ბარამიძის, პროფ. დავით კობიძის, პროფ. ვლადიმერ ფუთურიძის ხელმძღვანელობით.

ხალასმა ნიჭმა, ფართო ერუდიციამ და საფუძვლიანმა ფილოლოგიურმა მომზადებამ განსაზღვრეს ალექსანდრე გვახარიას, როგორც მკვლევრის, მრავალფეროვანი სამეცნიერო ინტერესები.

ბატონი ალექსანდრეს მდიდარი მეცნიერული მემკვიდრეობა მოიცავს კარდინალური პრობლემების მეტად ფართო სპექტრს კვლევა-ძიების ისეთ მნიშვნელოვან სფეროებში, როგორიცაა ქართული ლიტერატურის ისტორია, კლასიკური სპარსული ლიტერატურა, ქართულ-სპარსული, ქართულ-აზერბაიჯანული,

ქართულ-ტაჯიკური, ქართულ-რუსული ლიტერატურული და კულტურული ურთიერთობები, ქართული და აღმოსავლური ტექსტოლოგია, წყაროთმცოდნეობა, ლექსიკოლოგია, ქართული და აღმოსავლური პოეტიკის საკვანძო პრობლემები. მის მოღვაწეობაში გამორჩეული ადგილი ეკავა რუსთველოლოგიური პრობლემეტიკის კვლევას. იგი იყო „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის უცვლელი წევრი.

ფართო საერთაშორისო აღიარება მოიპოვეს ალექსანდრე გვახარიას ისეთმა ფუნდამენტურმა ნაშრომებმა, როგორიცაა „ნარკვევები ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობების ისტორიიდან“, „ბალავარიანის“ სპარსული ვერსიები“, „იოსებზილიხანიანის“ ქართული ვერსიების სპარსული წყაროები“, „სპარსული ხალხური პროზის ისტორიიდან“, „ფირდოუსი“, და სხვა.

ქართული და მსოფლიო ფილოლოგიური მეცნიერების მნიშვნელოვან შენაძენს წარმოადგენს ალექსანდრე გვახარიას მიერ პროფ. მ. თოდუასთან ერთად 1962 წელს გამოქვეყნებული „ქართული „ვისრამიანის“ ტექსტი, გამოკვლევა და ლექსიკონი“. აღნიშნული კრიტიკული ტექსტისა და სპარსული ხელნაწერების შეჯერების საფუძველზე მათ მიერვე დადგენილ იქნა „ვის რამიანის“ კრიტიკული სპარსული ტექსტი, რომელიც 1970 წელს გამოქვეყნდა თეირანში და საერთაშორისო ორიენტალისტიკაში აღიარებულია კლასიკური სპარსული ლიტერატურის ამ შედევრის ყველაზე ავტორიტეტულ სამეცნიერო გამოცემად.

ალექსანდრე გვახარია ნაყოფიერად თანამშრომლობდა ქართულ ენციკლოპედიასთან, იყო აღმოსავლური ლიტერატურის სექციის თავმჯდომარე და მრავალი საენციკლოპედიო სტატიის ავტორი. ათწლეულების მანძილზე მან განსაკუთრებული წვლილი შეიტანა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალ „მაცნეს“ ენისა და ლიტერატურის სერიის გამოცემაში, როგორც მისი სარედაქციო კოლეგიის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა.

ალექსანდრე გვახარიას სახელი ფართოდ იყო ცნობილი მსოფლიოს ქართველოლოგიურ და ორიენტალისტურ წრეებში. მას მონაწილეობა ჰქონდა მიღებული არაერთი საერთაშორისო სამეცნიერო კონგრესისა და კონფერენციის მუშაობაში. სისტემატურად გამოდიოდა ლექცია-მოსხნებებით საზღვარგარეთის ნამყვან სამეცნიერო ცენტრებში (გერმანია, რუსეთი, ირანი, პოლონეთი, ჩეხეთი, სლოვაკეთი, ბულგარეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი, უზბეკეთი, ტაჯიკეთი). არჩეული იყო ევროპის ირანოლოგიური საზოგადოების წევრად. მინიჭებული

ჰქონდა აზერბაიჯანის კულტურის დამსახურებული მოღვაწის წოდება.

განუზომელია პროფ. ალექსანდრე გვახარიას ღვაწლი ახალგაზრდების აღზრდისა და მეცნიერთა კადრების მომზადების საქმეში. იგი უბადლო ლექტორი იყო, სარგებლობდა განუზომელი პატივისცემითა და განსაკუთრებული სიყვარულით სტუდენტებსა და ასპირანტებს შორის.

ხანგრძლივი და ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობით პროფ. ალექსანდრე გვახარიამ თვალსაჩინო როლი ითამაშა ირანისტიკისა და საზოგადოდ ქართული ფილოლოგიური მეცნიერების განვითარებაში. თავისი ნაშრომებითა და მთელი თავისი საქმიანობით ბატონმა ალექსანდრემ ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა აღმოსავლეთის ხალხებთან საქართველოს კულტურულ-ისტორიული ურთიერთობის შესწავლისა და მათთან სამეცნიერო კულტურული კონტაქტების განვითარება-გაღრმავების საქმეში.

ალექსანდრე გვახარიას თავდადებულმა შრომამ, მეცნიერებისადმი უანგარო სამსახურმა სათანადო შეფასება დაიმსახურა. იგი დაჯილდოებული იყო ღირსების ორდენით, მინიჭებული ჰქონდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს გიორგი წერეთლის სახელობის პრემია, თსუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედალი.

ნავიდა ჩვენგან გულმხურვალე მამულიშვილი, ღვაწლმოსილი მეცნიერი და მაღალი ზნეობის უსპეტაკესი პიროვნება, დახვეწილი ინტელიგენტი, ახალგაზრდობის გულისხმიერი აღმზრდელი, რომლის ნათელი სახე მარად იცოცხლებს მისი კოლეგების, მეგობრებისა და მოწაფეების ხსოვნაში.

თამაზ გამყრელიძე



Alexander Gvakharia

Professor Alexander Gvakharia, a distinguished scholar, outstanding Iranist, prominent Kartvelologist, tireless researcher, beloved educator of the youth, Doctor of Philological Sciences, Corresponding Member of the Georgian Academy of Sciences, Head of the Chair of Iranian Philology of Tbilisi State University named after I. Javakhishvili, senior researcher at the G. Tsereteli Institute of Oriental Studies, has passed away.

Alexander Gvakharia was born on 30 July 1929, witnessing in childhood the terror of 1937 – his parents falling victim to the repressions. Upon finishing Secondary School, Gvakharia continued his studies at the Faculty of Oriental Studies of Tbilisi State University, specializing in Iranian philology and distinguishing himself with successful study and scholarly interests. However, on graduating from the University (in 1952), being the son of an "enemy of the people" he could not take a postgraduate course but was accepted as laboratory assistant. This is how Gvakharia's long fruitful scholarly and educational work began – his intensive research into problems of Georgian-Iranian literary contacts – tackling individual cardinal issues of Kartvelology. He worthily continued the work of his teachers, outstanding Georgian scholars: Iustine Abuladze, Vladimer Puturidze, Alexander Baramidze and David Kobidze, thereby securing for himself a place of honour in the great cohort of Georgian Orientalists.

Gvakharia took special interest in *Visramiani* – a brilliant monument of old Georgian literature. This is a prose translation into Georgian of *Vis o Ramin*, a poem by the 11th-century Persian poet Fakhraddin Gorgani, the translation being ascribed to the Georgian author Sargis Tmogveli. In 1962, Alexander Gvakharia, jointly with Magali Todua, issued the critically established text of the *Visramiani*, with a study, variant readings and vocabulary. The authors established also the Persian text of *Vis o Ramin* which was edited, with variants, in 1970 in Tehran. In establishing the text, the editors made use of available Persian manuscripts as well as the Georgian translation which evinces particular closeness to the original. Gvakharia did not lose interest in the text of the *Visramiani* to the end of his life. His extensive studies on questions of the Persian and Georgian texts of the *Visramiani* were published in the 1999-2001 issues of the journal *Matsne*.

In 1958 Gvakharia's first book was printed: "The Persian Sources of the Georgian Versions of the Iosebzhilikhani". This was followed by "Firdousi" (1963), "Bakhtiarnama – Georgian Versions of Persian Folk Dastans" (1968), "On the History of Georgian-Persian Literary Contacts, I (1995), II (2001)". In 1965 jointly with Sargis Tsaishvili he edited the *Qaramaniani*, a Persian work on heroes and champions, translated into Georgian in the 18th century.

Considerable is Gvakharia's contribution to the processing of the archive of the notable Iranist Yuri N. Marr and its preparation for publication jointly with the scholar's widow Sophia Marr. Gvakharia published two volumes of correspondence of Yuri Marr and his colleague Konstantin Chaikin (in 1966 and 1976).

The great Georgian poet Shota Rustaveli's poem *The Man in the Panther's Skin* was one of Gvakharia's passions – an excellent scholar and man of flawless taste and poetic nature. From the day the Commission for establishing of academic text of Rustaveli's poem (1962) was set up he was its member, and since 1992, member of the chief Editorial Board of the Commission. He took an active part in establishing of text of the poem, in commenting it and in the compilation of its vocabulary. Gvakharia's numerous studies of questions of textual study of the *Man in the Panther's Skin* will forever remain the most valuable possession of Rustvelology. Gvakharia – a scholar recognized by the world's orientalists, member of Europe's Society of Iranian Studies – participated in many international conferences and symposia. His addresses at various meetings – presenting a paper, reminiscing or welcoming – were unforgettable, fascinating the audience or the reader with his rich, figurative language never growing into narcissitic pointless talk.

Teaching was an organic part of his life. He shared his vast knowledge with his students, postgraduates and, generally, with the youth to whom he was not only a loved lecturer and teacher but the highest example of nobility, kindness, philanthropy and disinterestedness.

Gvakharia combined his research and teaching activity with manifold public activity. He was member of councils for awarding scholarly degrees, scholarly editorial boards of various journals and collected papers, including the Almanac *Kavkasiis Matsne* ("Caucasian Messenger"), Deputy Editor of the *Matsne* ("Proceedings of the Georgian Academy of Sciences", Series of Language and Literature); he

In 1958 Gvakharia's first book was printed: "The Persian Sources of the Georgian Versions of the Iosebzhilikhani". This was followed by "Firdousi" (1963), "Bakhtiarnama – Georgian Versions of Persian Folk Dastans" (1968), "On the History of Georgian-Persian Literary Contacts, I (1995), II (2001)". In 1965 jointly with Sargis Tsaishvili he edited the *Qaramaniani*, a Persian work on heroes and champions, translated into Georgian in the 18th century.

Considerable is Gvakharia's contribution to the processing of the archive of the notable Iranist Yuri N. Marr and its preparation for publication jointly with the scholar's widow Sophia Marr. Gvakharia published two volumes of correspondence of Yuri Marr and his colleague Konstantin Chaikin (in 1966 and 1976).

The great Georgian poet Shota Rustaveli's poem *The Man in the Panther's Skin* was one of Gvakharia's passions – an excellent scholar and man of flawless taste and poetic nature. From the day the Commission for establishing of academic text of Rustaveli's poem (1962) was set up he was its member, and since 1992, member of the chief Editorial Board of the Commission. He took an active part in establishing of text of the poem, in commenting it and in the compilation of its vocabulary. Gvakharia's numerous studies of questions of textual study of the *Man in the Panther's Skin* will forever remain the most valuable possession of Rustvelology. Gvakharia – a scholar recognized by the world's orientalists, member of Europe's Society of Iranian Studies – participated in many international conferences and symposia. His addresses at various meetings – presenting a paper, reminiscing or welcoming – were unforgettable, fascinating the audience or the reader with his rich, figurative language never growing into narcissitic pointless talk.

Teaching was an organic part of his life. He shared his vast knowledge with his students, postgraduates and, generally, with the youth to whom he was not only a loved lecturer and teacher but the highest example of nobility, kindness, philanthropy and disinterestedness.

Gvakharia combined his research and teaching activity with manifold public activity. He was member of councils for awarding scholarly degrees, scholarly editorial boards of various journals and collected papers, including the Almanac *Kavkasiis Matsne* ("Caucasian Messenger"), Deputy Editor of the *Matsne* ("Proceedings of the Georgian Academy of Sciences", Series of Language and Literature); he


was head of the section of Oriental literature at the Georgian Encyclopaedia.

An honoured Scholar of Georgia, bearer of the Order of Merit, Gvakharia was awarded the title of Honoured Worker of culture of Azerbaijan, was decorated with the Ivane Javakhishvili Medal of Tbilisi State University, and was awarded the Acad. George Tsereteli Prize of the Georgian Academy of Sciences.

The name of Alexander Gvakharia – a major scholar, teacher, public figure and a man of great human warmth – will live forever in the memory of his relatives, friends numerous colleagues and pupils.

Guram Kartoza

Кавказоведение – Caucasiology, N2, Moscow 2002.



უდიდესი ქართველი ირანისტის გარდაცვალება

დიდი მწუხარებით ვიტყობინებით, რომ გულის შეტევის შედეგად გარდაიცვალა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ირანული ფილოლოგიის კათედრის გამგე, ევროპის ირანისტთა საერთაშორისო ასოციაციის წევრი, 300-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, თითქმის ყველა მოქმედი ქართველი ირანისტის აღმზრდელი – პროფესორი ალექსანდრე გვახარია. მისი უკანასკნელი წიგნი („ნარკვევები ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან“, II) ამჟამად ირანის შესახებ შექმნილი წლის საუკეთესო წიგნის კონკურსის საერთაშორისო სამდივნოში ერთ-ერთ კანდიდატად განიხილება. მისი სამეცნიერო შრომები ირანული სამყაროს სიყვარულითა და პატივისცემით არის გაფერებული, სხვა ერებისათვის, განსაკუთრებით კი – ქართველებისათვის ამ სამყაროს გაცნობის გულწრფელი სურვილითაა აღსავსე.

გუშინ თბილისის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში გაიმართა ამ დიდი მეცნიერის გარდაცვალებასთან დაკავშირებული სამგლოვიარო ცერემონია, რომელსაც ესწრებოდნენ საქართველოს ოფიციალური პირები, თვალსაჩინო პოლიტიკოსები და სამეცნიერო ელიტა. ირანის ისლამური რესპუბლიკის ელჩი – მისი აღმატებულება ბატონი აბულფაზლ ხაზაი დაესწრო ამ ღონისძიებას და წარმოთქვა სიტყვა, რომლითაც პატივი მიაგო ამ უდიდესი მეცნიერის პიროვნებას. ბატონმა ელჩმა მას ქართველი ხალხისთვის ირანული კულტურის გაცნობის საქმეში მიუძღვის; აღნიშნა, თუ რაოდენ დასაფასებელია ამ პიროვნების ღვაწლი და მოუწოდა მის მოწაფეებს, განაგრძონ მასწავლებლის მიერ დაწყებული საქმე.

ირანის ისლამური რესპუბლიკის საინფორმაციო სააგენტო
23.09.2002

(გავრცელდა ჟურნალ-გაზეთებით, რადიო-
ტელევიზიის არხებით, ინტერნეტით)

მთელი საქართველოს დანაკლისი

ალექსანდრე გვახარია ქართული ინტელიგენციის ერთი უგამორჩინებულესი წარმომადგენელი, ჭეშმარიტი მეცნიერი და გულმხურვალე საზოგადო მოღვაწე გახლდათ. მან ღირსებით გააგრძელა ქართული ირანისტიკის სკოლის ტრადიციები და მნიშვნელოვანი ამაგი დასდო ამ დარგის განვითარებას. იგი ღირსეული პროფესორი იყო თბილისის უნივერსიტეტისა, ირანული ფილოლოგიის კათედრის გამგე, შესანიშნავი მთარგმნელი ირანული პოეზიისა. გულწრფელად უყვარდა სტუდენტობა და უუფლებაც ჰქონდა – იგი გამორჩეულად საყვარელი ლექტორი იყო. არ იფარგლებოდა მხოლოდ თავისი სპეციალობით. ფართო ინტერესები ჰქონდა და საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც ენერგიულად მოღვაწეობდა. დინჯი და აუქჩარებელი ყოველთვის ბრძნულ სიტყვას ამბობდა. ალექსანდრე გვახარიას ყველაზე გამორჩეული თვისება მისი კეთილმოსურნეობა იყო. სიკეთის კეთებისთვის მოწოდებული სიბოძსა და სიყვარულს აფრქვევდა. განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა ნიკო და იური მარებისადმი. აფასებდა მათ ღვაწლსა და ამაგს. გამორჩეულ სულიერ სიახლოვეს იური მართან გრძნობდა. მახსოვს, ერთხელ მოკრძალებით შემოვიდა ჩემთან და რიდით მითხრა: ნიკო მარის ბიუსტი რომელიღაც სანკობში დევს უპატიოდ და იქნებ თავისი ადგილი მივუჩინოთო. სწორედ ალექსანდრე გვახარიას და თამაზ გამყრელიძის მცდელობის შედეგი გახლდათ, რომ ნიკო მარის ბიუსტმა თავისი ადგილი დაიკავა უნივერსიტეტის პირველი კორპუსის III სართულზე, ზოგადი ენათმეცნიერების კათედრის წინ.

ალექსანდრე გვახარიას ამ ქვეყნიდან წასვლა დიდი დანაკლისია თბილისის უნივერსიტეტისათვის, პროფესორთა კორპუსისა და სტუდენტობისათვის, მთელი საქართველოსათვის. მისი სახელი მარად დარჩება მეგობრების, კოლეგების, მთელი ქართველი ხალხის გულში.

როინ მეტრეველი

გამორჩეული მეცნიერი და გამორჩეული პიროვნება

მძიმე დღე დაუდგა ქართულ მეცნიერებას, მძიმე დღე დაუდგა საერთოდ ქართულ კულტურას, საქართველოს ინტელიგენციას. ჩვენგან მიდის გამორჩეული მეცნიერი და გამორჩეული პიროვნება, მიდის ადამიანი, რომელშიც საკვირველად იყო შერწყმული ეს ორივე მხარე. ის არაჩვეულებრივი სიღბო და სითბო ურთიერთობაში, მიმტევებლობა და სიკეთე ყველას მიმართ, დაუღალავი ზრუნვა მოყვასზე, რაც მას ასე უხვად ჰქონდა მომადლებული ცხოვრებასა და ყოფაში, ჩანს ყველგან მის ნაშრომებში, როდესაც ახლა უკვე წარსულის თვალით კითხულობ მათ.


აკადემიურობა და ინტელიგენტურობა, მაღალი გემოვნება მეცნიერებასა და მხატვრულ შემოქმედებაში, უშეცდომო და უშურველი შეფასება სხვათა ნამოღვაწარისა შურა გვახარიას ყველა სახის შეკრების სასურველ სტუმრად და მონაწილედ ხდიდა.

მრავალი წლის მანძილზე იყო შურა გვახარია მეცნიერებათა აკადემიის ენისა და ლიტერატურის განყოფილების აკადემიკოს-მდივნის მოადგილე. შეუმჩნევლად და ტაქტიანად ასრულებდა იგი ამ წლების განმავლობაში თავის მოვალეობას, ქმნიდა განყოფილებაში ურთიერთთანადგომისა და სითბოს ატმოსფეროს. იყო შესაბამისი სერიის „მაცნეს“ მთავარი რედაქტორის მოადგილე და დღევანდელი უსახსრობის პირობებში მისი გამოცემის მთელ სიმძიმეს დაუყვედრებლად კისრულობდა. რომ არა შურა გვახარია, საეჭვოა, ჩვენი სერიის „მაცნეს“ არსებობა არ შეეწყვიტა სხვა სერიების მსგავსად; საეჭვოა, რომ ბევრი კარგი ნაშრომის გამოქვეყნება მოხერხებულიყო; საეჭვოა, რომ ბევრ კარგ დისერტანტს არ შექმნოდა ფორმალური დაბრკოლება ხარისხების დაცვაში.

მაგრამ დრო ალბათ გამოძებნის ყველას შემცვლელს მეცნიერებაშიც, საზოგადო მოღვაწეობაშიც, მეგობრობაშიც. მაგრამ ჩემთვის ძნელი წარმოსადგენია შურას შეცვლა როგორც პიროვნებისა, ამ სიტყვის ყველაზე მაღალი მნიშვნელობით. ალბათ დიდი დრო დასჭირდება თავისი მასწავლებლების, კოლეგების, მეგობრებისა და მოწაფეების მიმართ ასეთი სითბოთი და სიყვარულით აღსაესე ადამიანის ჯერ გაჩენასა და შემდეგ აღზრდას.

ძნელი ცხოვრება ჰქონდა ამ წუთისოფელში შურა გვახარია, მაგრამ საუკუნო განსასვენებელი რომ მსუბუქი ექნება, ამაში ეჭვი არ არის.

ზაზა ალექსიძე



უკეთესები მიდიან

ძალაუნებურად ისევ გვეთქმევეინება ეს ფრაზა.
ალექსანდრე გვახარიაც წავიდა. სიკეთის მფრქვეველი,
სისადავისა და თავმდაბლობის განსახიერება, ნამდვილი
მასწავლებელი, მართლა მეცნიერი.

რამოდენა სევდას ატარებდა. ბავშვობიდანვე მოუშუშებული
ტკივილი შეახვედრა ბედმა 1929 წელს დაბადებულ რვა წლის ბიჭს.
ჩერეც ტკივილს ტკივილი ემატებოდა. არასოდეს არავინ
დაუმძიმებია თავისი დარდით, პირიქით, უკეთილესი ღიმილი
ჰქონდა და სულ იმას ცდილობდა, სხვებისთვის შეემსუბუქებინა
გასაჭირი.

უზარმაზარ ცოდნას ატარებდა. არასოდეს არავინ დაუმძიმებია
თავისი განათლებით. პირიქით, ყველას ყურადღებით უსმენდა და
თვით ყველაზე ტრივიალურ რამეებზე სერიოზულად მოსაუბრესაც
კი დროს უთმობდა.

უშურველობისა და კეთილგანწყობის სიმბოლო იყო არა
მხოლოდ თავისი თაობის კოლეგებისა და ახლობლებისათვის,
საიშედო მეგობარი და დამრიგებელი იყო სტუდენტებისათვის,
საერთოდ, ახალგაზრდებისათვის.

ბატონო ალექსანდრე,

ძია შურა,

ვინც გიცნობდათ, ყველა მოგტირით ბრწყინვალე ირანისტს,
პროფესორს, კაცს. ნათელი დაგადგეთ ნათელი კვალის
დამტოვებელს. მშვიდობით!

ალეკო კარტოზია

მუდამ მოყვასზე მზრუნველი

ბატონო ალექსანდრე, თაზარდაცემულნი ვართ ყველანი ამ ქვეყნიდან თქვენი მოულოდნელი წასვლის გამო...

როგორ გვიხაროდა თქვენთან ყოველი შეხვედრა, თქვენ გვერდით ყოფნა და საუბარი. საოცრად ადამიანურად ვგრძნობდით მაშინ თავს, სამყაროც გაცილებით ლამაზი გვეჩვენებოდა.

მუდამ სხვაზე მზრუნველი, მუდამ სხვისთვის მოფუსფუსე იყავით. გვიკვირდა, როდის იცლიდით საკუთარი თავისთვის, როდის ქმნიდით პირველხარისხოვან მეცნიერულ ნაშრომებს.

თქვენს ყოველ სიტყვას ოქროს ფასი ჰქონდა თოთოეული ჩვენგანისათვის. თქვენც უშურველად ფანტავდით ირგვლივ ოქროს მარცვლებს. ვინ მოთვლის, რამდენი ახალგაზრდა დააკვალიანეთ მეცნიერების გზაზე, რამდენი კოლეგისათვის მოგიმართათ ხელი პროფესიულ თუ ცხოვრებისეულ საკითხებთან დაკავშირებით.

გვინდა მოვიგონოთ და ვერ ვიგონებთ, მუდამ სხვაზე მზრუნველს, ნუთუ არასდროს არავისგან დაგჭირვებიათ ზრუნვა, ასე როგორ მოახერხეთ ნუთისოფლის გავლა.

არ გიყვარდათ თქვენ ირგვლივ ხმაური, მორიდებასა და ჩრდილში დგომას არჩევდით. გამოირჩეოდით არაჩვეულებრივი უბრალოებით. გქონდათ თქვენეული ხიბლი, რითაც სიყვარულითა და მოწინებით განაწყოდით თქვენ მიმართ ირგვლივ მყოფთ. ჩვენს უნივერსიტეტში ერთი თვით სტუმრად ჩამოსულმა ირანელმა პროფესორებმა, როცა გაეცნენ ჩვენი ფაკულტეტის ცხოვრებას, გამომშვიდობებისას ბრძანეს – ჩვენთვის მოულოდნელი იყო ლექტორებს და სტუდენტებს შორის ასეთი უშუალო და თბილი დამოკიდებულება. ჩვენ ამას აუცილებლად ჩვენს უნივერსიტეტებში დავნერგავთ.

მათ შორის, ალბათ, ვინც ეს აგრძნობინა სტუდენტებს, უპირველესი თქვენ ბრძანდებოდით, ბატონო ალექსანდრე.

რამდენი რამე გვაკლდება თქვენგან განშორებით...

**თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო
უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი,
ირანული ფილოლოგიის კათედრა**



ნაფეხურები

ალექსანდრე გვახარიას

უცებ ჩამუქდა ჭრელი ქალაქი,
თვალს მიეფარა ძვირფასი ლანდი...
სანამ ის იყო და აქ ცხოვრობდა,
სამყაროვ, უფრო ლამაზი ჩანდი.
გამოღებული უჯრები დარჩა,
სწრაფად ჩაფლული მაცდურო ყავლო,
ახლა ვზივარ და სპარსულის ნაცვლად
მე მის გარეშე ცხოვრებას ვსწავლობ.
არ ისწავლება ეს გაკვეთილი...
ქარი ხმელ ფოთლებს მომაყრის ბლუჯად,
გადახსნილია მიწის საკინძე
და ერთი თბილი საფლავი უჩანს.
მოგონება კი უხმოდ სავსავეს
და პანანინა ცრემლში ეტევა...
ხომ არის ქვეყნად ნაფეხურები,
რომელიც ქარით არ იხვეტება...

გიორგი ლობჯანიძე

შურა გვახარია

მრმოცდაათიანი წლების თბილისის უნივერსიტეტის მესამე სართულზე აღმოსავლეთმცოდნეობის მომცრო კაბინეტს და ვიწრო დერეფანს, იმ არემარეს, რომელიც იმხანად კიდევ ინახავდა უნივერსიტეტის უკეთესი წლების ჰაერს, — დღეს იმ კონფიგურაციის ნასახივ არ არის, თუმც რაღაც სახით უნდა ინარჩუნებდეს არსებობას, — ემახსოვრებათ შავთმიანი, შავულვაშა, შავთვალეზა, მომადლო, ოდნავ ნახრილი, მისი ასაკისთვის უჩვეულოდ მძიმედ მოსიარულე, მუდამ მზადმყოფი ახალბედა სტუდენტის სამეგობროდ, მუდამ დადარაჯებული საშველად, მეგზურობის გასანეევად, გასამხნეველად, ინტერესების გასაღვიძებლად... — შურა გვახარია, შურა — ლაბორანტი, შურა — პირველგაცნობილი (იყო გაცნობის წელიც, დღეც, და საათიც და ადგილიც, მაგრამ სადღაც უკვე ატოპია-აქრონიაშია ჩაძირული), შურა — საიმედო მეგობარი, წლების შემდგომ ბატონი ალექსანდრე — სწავლული, სახელოვანი ირანისტი, უბადლო ერუდიტი არა მხოლოდ არჩეულ სფეროში მეცნიერებისა, თავის მოწაფეთა და უმცროს კოლეგათა სული და გული, სამეცნიერო-ინფორმაციული თუ ყოფითი გაჭირვების ტალკვესი...

საბჭოთა რეჟიმის მსხვერპლი გაბოროტებული არასოდეს უნახავთ არც, თუნდაც, მოამაყე ამ მსხვერპლადყოფნით, რითაც გამოარჩია განგებამ. ნამდვილად, ის მზრუნველობა და გულითადობა, და სიყვარული, რომლითაც თუ ოდესმე (ასეც იყო) გარემოუცავთ ობლობაში, მისი ხელით ერთი-ათად უბრუნდებოდა სხვებს. სხვათა გასაჭირისთვის მოწუნუნე, თავისთვის—არასოდეს.

იყო უშურველი მრჩეველი, სხვათათვის საკუთარი დროის “მფლანგველი”, დაულალავი მძებნელი და მომპოვებელი ლიტერატურისა, რომ დღის ბოლოს ყველაფერს მის ჩანთაში მოეყარა თავი. მძიმე ჩანთა, წლებთან ერთად უფრო და უფრო რომ მძიმდებოდა, განუყრელად მასთან ერთად რომ მიმოდიოდა მისი ქალაქის ერთი კუთხიდან მეორემდე, დილიდან გვიან საღამომდე, დღიური მოსავლით — ნაყიდ-ნათხოვარი ნივნებითურთ, ამ ნივთთა გარდა ბევრს სიყვარულს, გულისხმიერებას, ყურადღებას იტევდა. აქ იყო მოქცეული სწავლული ადამიანის მუდამ ცოცხალი გაუმქრალი მრავალფერი ინტერესები: ახალგამოსული და ძველი ჟურნალები, იმ დღეს მეგობრის, ამხანაგის, კოლეგის თუ უცნობის ნაჩუქარი თუ სხვისთვის მოძიებული ნივნები, სხვადასხვა

რარიტეტები ეს ყველაფერი ჩანთიდან გადაინაცვლებდა და კოშკურად აღიმართებოდა სასთუმალთან, მაგიდაზე, ტახტზე, იატაკზე საკუთარი დროის მოლოდინში — ეს დრო კი მხოლოდ ნაშუალამეცს თუ დგებოდა. სვლა ამავე ჩანთით უნივერსიტეტიდან ინსტიტუტამდე, ერთი მეგობრის ბინიდან სხვა მეგობრის ბინამდე. "ერთი წუთით შემოვლა" საათობით გახანგრძლივებული; საუბარი განკუთვნილ დღეზე, არსებითთან ერთად დღის კურიოზებზე და უცნაურ დამთხვევებზე და იშვიათ სისულელეებზე, რომელთაც თითქმის ყოველ დღე უნდა წაწყდომოდა. მას ყველგან ხედავდნენ სამეცნიერო სხდომებზე თუ სამგლოვიარო თავყრილობაზე, გამყოფენებზე თუ რედაქციებში, უნივერსიტეტის კორპუსებში, აეროფენებსა თუ ეზოში, კიბეებზე ამავალ-ჩამომავალს, დინჯი გასაღებით მოარულს თუ შემხვედრებთან საუბარში გართულს ახლადმიკვლულ ან მისთვის ახლად აღმოჩენილ ლიტერატურულ ყაჩაყებზე, რომელთა გაზიარება სხვათათვის მისი არსებითი მოთხოვნილება იყო...

იშვიათად შეხვდებოდა ადამიანს, ვისშიც ასე ჰარმონიულად იქნებოდა შეთავსებული კოლეგიალობა ინდივიდუალურ სამეცნიერო ინტერესებთან, საკუთარი და სხვისი ისე შერწყმული, რომ ხანდახან ზღვარიც იშლებოდა. იშვიათი იყო ერთგულება რომელსაც იგი, როგორც შურა და როგორც ალექსანდრე, იჩენდა თავის ჯერ მასწავლებელთა, მერე თავის მოწაფეთა, ბოლოს ახალგაზრდა კოლეგათა მიმართ; ცოცხლად განიცდიდა მემკვიდრეობითობას, ცდილობდა შეენარჩუნებინა ხაზი, რომელსაც თავისი თანამედროვეობიდან სათავემდე, არჩეული დისციპლინის გენეზისურ ხანამდე, სანქტ-პეტერბურგამდე, მის საოცნებო ქალაქამდე აჰყავდა. სწავლულთა თაობებს ერთ განუყოფელ ოჯახად განიცდიდა. — მამებად (თავად უმამოდ გაზრდილს) და ძმებად (თავად უძმოს) ესახებოდნენ. — ვ. როზენი, ვ. ბარტოლდი, ნ. მარი, ი. აბულაძე, ი. ორბელი, ა. ბოლდირევი და, ბოლოს, კიდევ ერთი იური — ბორშჩევსკი, მისი თანატოლი ("ეჰ, იურა, იურა, როგორ დაიღუპე თავი!").

უცნაური, რაღაც ნაღვლიანი იყო მისი თითქოს მისტერიოზი მეგობრობა იური მართან, თითქოს თავის დაღუპულ უფროს ძმასთან, რომელსაც სიცოცხლეში არ მოსწრებია, მაგრამ იმდენად გათავისებული ჰქონდა თავისი კოლეგის სამეცნიერო ცხოვრება და, უბრალოდ, ყოფითი ინტერესებიც კი, რომ ღვიძლი ნათესაური სიახლოვის სრული შთაბეჭდილება იქმნებოდა. ის განიცდიდა არა მხოლოდ მის პიროვნებას, არამედ ახლოს გრძნობდა მის დასწრეობას სხეულსაც. თითქოს შესწრებოდეს მის აღსასრულს სასთუმალთან, ნაღველი მისი დაღუპვის გამო მას არ განელებია.

*“ვარკელავი ჩაქრა, მაგრამ მისი შუქი კიდევ ანათებს
წყვედიადის მიღმა...”*

დანერა მასზე. ნამდვილად ღრმა განცდით, სიხარულიანი ნალველით თუ ნალვლიანი სიხარულით წარმოითქვა და დაინერა ეს სიტყვები. *Печаль моя светла*, მისი სათაყვანებელი პოეზიის სიტყვებიც შეეძლო გაემეორებინა.

ახსენებდა კონსტანტინე ჩაიკინს, იურის მეგობარს და კოლეგას, მათ ურთიერთობას. საათობით შეეძლო მათზე, ამ ორის თანამშრომლობაზე საუბარი, დანაწილებით იგონებდა მას, როგორც სინანულით გაიხსენებენ ერთხელ, ეფემერულად გაცნობილს, მერე აღარსად შეხვედრილ ადამიანს, და ესეც მისი სინანული იყო. მათ წინაშე მოვალეობის გრძნობით აღვსილმა, იურის ქვრივთან, სოფიო მართან ერთად იღვანა, რათა დღის სინათლე ეხილა უდროოდ გარდაცვლილთა მიმონერას, რომელიც, ბუნებრივია, არც იყო გამიზნული გამოსაქვეყნებლად. მას უცნაური მორიდებული სიამაყით ეამაყებოდა (რაც ნაჩუქარ ეგზემპლარზე წარწერამ გამოხატა: “ზ-ს — *დასაფასებლად!*”). ეს როტაპრინტული ლარიბული გამოცემა “*Хакани-Незами-Руставели, II*”, რომელიც 1935 წელს ლენინგრადში დაბეჭდილი ამავე სახელწოდების წიგნის მეორე ტომად ჩათვალა. ხოლო ის, რაც მეორე ტომად იყო განზრახული, უგზოუკვლოდ დაკარგულიყო ავტორთა გარდაცვალებისა და 1937 წლის დარბევების შემდეგ.

ამ ორი ენთუზიასტის (ამ სიტყვის ამოსავალი — რაიმეთი თავდავინყებულის აღვსების — მნიშვნელობით) მიმონერა უფრო მეტს აძლევდა გამომცემელს, უფრო არსებითად და ღრმად ახედებდა საგანში, ვიდრე აკადემიურ მონოგრაფიებს — ხშირად აბსტრაჰირებული, ამქვეყნისგან გარიდებულ-განყენებული ცოდნის საკუჭნაოებს შეეძლოთ მიეცათ მისთვის. დანერა კიდევ, რომ ამ არქივზე მუშაობის წლები მისთვის მეორე უნივერსიტეტის წლები იყო. ამ მიმონერაში, რომელიც წარმავალი ჟამთაღმდენის ერთ მონაკვეთში, შვიდიოდე წლის მანძილზე, გრძელდებოდა ერთ-ერთის სიცოცხლის შეწყვეტამდე (იური მარი 1935, კ. ჩაიკინი 1939), იბადებოდა აზრი, რომელიც მიუხედავად იმისა, ჰქონდა თუ არა მას დასრულებული სახე, თავისი გაურკვევლობითაც ფასდაუდებელ ღირებულებას იძენდა მათი გვიანი კოლეგის და ძმის თვალში. კაცს მოეჩვენებოდა, რომ იგი ამ მიმონერის უხილავი მესამე პირი იყო.

მთლიანი ადამიანი არ ანაწილებს ცხოვრებას *ამისთვის* და *იმისთვის*. მისთვის არ არსებობს ეს *ჩემთვის* და ის *სხვისთვის*, მეცნიერებისთვის და კიდევ სხვა სულიერი ინტერესებისთვის, რომელთაც, შესაძლოა, პროფესიასთან შორეული ძაფებიც არ აკავშირებდეს. მაგრამ არის ერთიანი მონოდება და პიროვნული

სიმდიდრე, სისავესე. რა უნდა ყოფილიყო საერთო ხაკანისა თუ ფირდოუსის სულსა და გოროხოვიაზე რასკოლნიკოვის დასწყეკლილ მარშრუტს შორის? სად ხორასანი და სად პეტერბურგის უმზეო ეზოების სული? “ვისრამიანით” შეპყრობილობა და იოსიფ ბროდსკის პოეზიით გატაცება? მაინც ისინი პარმონიულად თანაარსებობენ, ეპოქები, სულები ხელს უწყაიან ერთმანეთს. ეს ერთ ადამიანში ხდება, ხდებოდა.

როცა ყოველდღიურად ჩვენს ე.წ. საზოგადოებაში ვაწყდებით პროყესიულ შეზღუდულობას და ცალმხრივობას, პიროვნული ყირღლების სივინროვეს და ზერელობას, სხვათა ინტერესებისა და ბეაისადმი გულგრილობას, აგრესიულ თვითკმაყოფილებას და საკუთარი ეგოს თვითგანთქმის ფარულ თუ აშკარა მცდელობებს, აა ილიჯომანიას (რისთვის, ვისთვის?), მჯერა, რომ შურა გვახარიას ჭიბის ადამიანთა არსებობით პროვიდენცია იჭრება ჩვენს ცხოვრებაში, გველაპარაკება, გვანიშნებს და გვაძლევს ნიშნებს, რომლის საზრისი, ჩვენდა სავალალოდ, მხოლოდ ადამიანის სიკედილის შემდეგ ხდება ცხადი.

ზურაბ კიკნაძე



გამოთხოვება უკანასკნელ მეგობართან

თექვსმეტი ენკენისტის იმ ღამეს, ასე, თორმეტის ნახევარზე, ჩვენი უკანასკნელი „ძილისპირული“ შედგა, როგორც შურამ (ალექსანდრე გვახარიამ) ჩვენს ღამეულ სატელეფონო საუბრებს უწოდა. ეს იყო ჩვენი თავისებური ზეპირი დღიურები, ერთგვარი ჩვენი ყოველდღიური აღსარებები, ერთი დღისა და ღამის შთაბეჭდილებების, განცდების, „თავგადასავლების“ ურთიერთ-გაზიარება, თუმც, უნდა გამოვტყდე, მე, როგორც პრინციპულ და „დამყაყებულ“ შინაყუდას, მოსათხრობი ბევრი არაფერი მქონდა, გაცილებით საინტერესო იყო ბატონი ალექსანდრეს – ამ „მარადიული ყარბისა და ქალაქში მოგზაურის“ წაამბობი, რომელ-საც დილიდან შინიდან გასულს, დღისითა და საღამოთი უკვე მოესწრო რამდენიმე კონფერენციაზე მოხსენებების წაკითხვა, რამდენიმე პანაშვიდზე მისამძიმრება და რამდენიმე დაკრძალვაზე მიცვალებულისათვის უკანასკნელი პატივის მიგება... (ისე, უცხო ქვეყნებში მოგზაურობა მაინცა და მაინც არ იზიდავდა).

...იმ საბედისწერო ღამეს უგუხებოდ იყო, ალბათ მალე მომიწევს მარილზე წასვლაო, და, საერთოდ, ბოლო ხანებში, არც ისე იშვიათად ლაპარაკობდა შესაძლებელ აღსასრულზე; დავიღალე, მეტი აღარ შემიძლიაო, ცუდად ვარო, ამოიოხრებდა. არადა, საერთოდ, ნუნუნი არ უყვარდა, თითქოს პესიმისტი არ ყოფილა (მე მუდმივ ნუნუნს მსაყვედურობდა), უფრო სიცოცხლის ხალისით სავსე ადამიანი ეთქმოდა – უმაღლესი ოპტიმიზმს დააბრალებდით, ვიდრე სასონარკვეთასა და რეზინაციას.

...ასეთი უკიდურესი და აბსოლუტური სასონარკვეთილება ახლობელ ადამიანთა დაკარგვის გამო ჯერ არ დამუფლებია, რადგან ყოველი ახლობელი ადამიანის, ყოველი მეგობრის წასვლისას ვიღაცა მაინც მრჩებოდა ნუგეზად და სულიერ საყრდენად – შურა, კაცი სიკეთით სავსე და სხვა ადამიანებზე გადაყოლის საოცარი უნარითა და ნიჭით დაჯილდოებული, ჩემი უკანასკნელი მეგობარი იყო, ასე ვთქვათ, მეგობართა შორის უკანასკნელი მოპიკანი, რომლის წასვლამ შეუხოცებელი, მოუშუშებელი ჭრილობა დამიტოვა ჩემს ისედაც უკვე დაფლეთილ ნიარევ გულში, რომლის გამრთელება ჩემი ასაკის გამო უკვე ვეღარ მოესწრება (ასევე ასაკის გამო ახალ მეგობარს ვეღარ შევიძენ).

ჩემს სამეგობროდან უკვე ყველამ „მიღალატა“, „ლიმიტი“ ამოწურულია... მეგობართაგან წავიდა ყველა და ახლა ჩემს გარშემო სულ სხვა ხალხის, ჩემთვის უცხო ადამიანების

„ერიაშული“ ისმის, გალაკტიონის ერთი ლექსის პერიფრაზს რომ ჩიცმარტოთ...

... საათის ისარი ღამის თორმეტს რომ უახლოვდება, გული ჩხელეკტას მიწყებს... ჩვენ ამ დროს „ძილისპირული“ გვეწყებოდა...

...პირადად მე არ შემხვედრია შურაზე უფრო კეთილი, უსაყვედურო, მიმტევებელი და თავმდაბალი ადამიანი. ამბიციები, პატივმოყვარეობა, თავის გამოჩენის სურვილი, ეგოიზმი და ენოცენტრიზმი თითქმის ნულამდე ჰქონდა დაყვანილი; ის იყო კაცი, დაკლილი ეშმაკური, გათვლილი, გაანგარიშებული „უკანა აზრობისგან“, მას ჩანასახოვანი ფორმითაც არ ჰქონია „ჩოასგარიშე გონება“. არ უყვარდა თავისი დაუჯერებელი სიკეთით, სხვათა მიმართ უსაშველო კეთილმოსურნეობით ექცეულყოფა და ბრავირება... ჩვენი შურა აბსოლუტურად თავისუფალი იყო ყოველგვარი პოზიორობისგან და სნობიზმისგან, მოძურსეობისა და შურისმაძიებლობისგან.

მე სხვა ასეთი, საკუთარი თავის დამვინწყებელი, საკუთარი თავის მიმჩქმალველი ადამიანი არასოდეს შემხვედრია – იგი ყოველთვის ცდილობდა საკუთარი თავი ჩრდილში მოექცია – ამ მხრივ, მე ვფიქრობ, ჩვენი მეგობარი აჭარბებდა კიდეც – ზოციერის ეს შეიძლება ანტიპოზიოროს პოზად მიეჩნია... ასეთი ყველას პატრონის, ყველას ჭირისუფლის, ყველას მიმხედველი „მოწო საპიენსის“ არსებობა ბევრს ამ ქვეყნად შეუძლებლად, თავისებურ „სიმულაციად“ მიაჩნდა – საზოგადოებაში, სადაც კაცი კაცისთვის მგელია...

...შურას საოცარი სიბრძნე ჰქონდა ხასიათში, ინტელიგენტური სიბრძნე – ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით, ისე კი აღშფოთებაც იცოდა და, თქვენ წარმოიდგინეთ, სიძულვილიც და ზიზლიც, თუმცა ცდილობდა ყოველივე ამის გამომჟღავნებისგან მაქსიმალურად მოეკავებინა თავი. სხვა ადამიანების მიმართ უაღრესად დამთმობი იყო, მაგრამ მისი ეს თვისება არსად უპრინციპობაში არ გადადიოდა.

აგრესიულობა, საკუთარი თავის სასარგებლოდ აქტიურობა მისგან ყოვლად წარმოდგენილი გახლდათ.

შორეულად სიკეთის გამოსხივებით (ალბათ, ეს ძალიან შორეული ანალოგია!) შურა მე მაგონებდა ჩემთვის ორ იდეალურ ადამიანს (რამდენადაც მე მათ წიგნებიდან და მათზე შეთხზული ლეგენდებიდან ვიცნობ): ერთი გახლავთ შუა საუკუნეების იტალიელი განდევნილი ფრანჩესკო ასიზელი, რომლის იდეალებს წარმოადგენდა: სიღარიბე, თვინიერება და თავმდაბლობა, ხოლო მეორეა – XX საუკუნის თეოლოგი, ფილოსოფოსი, მედიკოსი და მუსიკოსი – ალბერტ შვაიცერი, რომელიც საოცრად გულგრილი

იყო მატერიალური, ნივთიერი კეთილდღეობისადმი და თავის განირვა შეეძლო სხვა ადამიანებისათვის (იგი აფრიკაში კეთროვანებს დაუდგა ექიმად).

შურასათვის ანტიპათიური იყვნენ ძალაუფლების ადამიანები, ე.წ. „ძლიერი“ პიროვნებანი; შურას არც ნიცმეს „ზეკაცი“ იზიდავდა და არც ნაპოლეონისებური დიქტატორები, რომლებისთვისაც სხვა ადამიანები მხოლოდ „საშუალებას“ წარმოადგენდნენ თავიანთი მიზნების მიღწევაში.

გოეთეს „მაქსიმებსა და რეფლექსიებში“ ასეთ უკიდურეს ზღვრამდე მიყვანილ აფორიზმს ვხვდებით: „მოქმედი ადამიანი ყოველთვის უსინდისოა (აქ, ალბათ, უმთავრესად პოლიტიკოსები იგულისხმებიან – ნ.კ.). სინდისი მხოლოდ მჭვრეტელს აქვს.“ ჩვენი შურა სწორედ ამ სიტყვის ფართო გაგებით მჭვრეტელი ადამიანი იყო, თუმცა ზნეობრივი რელატივიზმი მისთვის უცხო იყო, ბოროტების შემხედვარე პასიური არ რჩებოდა, გულხელდაკრეფილი, განზე მდგარი სერიის მაყურებელი არასოდეს ყოფილა...

...მას თავის სიცოცხლეში ნიგნების გარდა არაფერი უგროვებია – საოცრად გულგრილი იყო მატერიალური კეთილდღეობის მიმართ, უკიდურესად არაკონსუმური ადამიანი იყო, ირონიით უყურებდა ნივთების დამგროვებელ ადამიანებს...

ქართველ ფილოსოფოსს, თამაზ ბუაჩიძეს ეკუთვნის დეკარტეს ცნობილი გამონათქვამის („ვაზროვნებ, მაშასადამე ვარსებობ“) თავისებური პერიფრაზი: „ვიტანჯები, მაშასადამე ვარსებობ“ – ალექსანდრე გვახარიას სრული უფლება ჰქონდა გაემეორებინა თაზოს ეს ნათქვამი, რადგან ბავშვობიდანვე დაჰყვა მას ტანჯვა-წამება (მშობლების დაპატიმრება, პატარა ქალიშვილის დაღუპვა, მეუღლის – ერთგული და ძვირფასი მეგობრის ნაადრევი გარდაცვალება... თავს ბედნიერად გრძნობდა მხოლოდ საყვარელი შვილიშვილების გარემოცვაში...)

...ეჰ, ჩემო შურა, სამუდამოდ, უკანმოუბრუნებლად დასრულდა ჩვენი ცხოვრების ჩვეული მდინარება; ერთად ველარ შევხვდებით გაზაფხულის დადგომას, ხეთა თეთრად აყვავილებას, ველარ ვუყურებთ ფეხბურთებს, ერთად ველარ წამოვალთ უნივერსიტეტიდან შინ, ნება-ნება, „გემრიელი“ მუსაიფით, ერთად ველარ გავაყოლებთ თვალს ქუჩაში ლამაზ ქალებს, ველარ ვისაუბრებთ ახლად წაკითხულ საინტერესო ნიგნზე... ეს ყველაფერი წარსულში იყო... მშვიდობით, ჩემო უკანასკნელი და სულზე უტკბესო მეგობარო!

ნოდარ კაკაბაძე

امشب که بارون آمد

კაცი – სანთელი

კიდე ერთი დიდი უბედურება დაატყდა თავს ჩვენს სასოგადოებას: აღარ არის ალექსანდრე გვახარია – დიდი მკაცრი, უგანათლებლესი პიროვნება, უფაქიზესი სულის ისტელოგიკტი. წავიდა ჩვენგან ჩუმი, უპრეტენზიო, კაცური კაცი, სიითბოსა და სიყვარულს რომ აფრქვევდა უხვად.

უიშკიათესია მაღალ მეცნიერულ ღირსებებთან ერთად ასე აკრძალულად შერწყმული კეთლშობილება. მას გულით უხაროდა ყველა თავისი კოლეგის თუნდაც უმნიშვნელო წარმატება, არასდროს იშურებდა გამამხნეველ სიტყვას, საქმითა და ბრძნული რჩევით ეხმარებოდა მრავალსა და მრავალს.

ამ კასაოცარ, მუდამ მოფუსფუსე კაცს ვერავინ შეატყობდა, რა მხარე ზევდრი არგუნა განგებამ. იგი არავის უნახავს ცულობატილი, არავის ამძიმებდა თავისი ტანჯული ბედის გამო, პირიქით, გაჭირვებაში მყოფთა ქომაგი იყო მუდამ.

ძალზე ცოტას თუ რგებია ისეთი პატივისცემა და სიყვარული, როგორც დაიმსახურა ალექსანდრე გვახარიამ. ყველა, ვისაც მასთან ურთიერთობის პატივი ჰქონია, განსაკუთრებულ მოკრძალებასა და მონივნებას გრძნობდა მის მიმართ. ალექსანდრე გვახარიასთან შეხვედრა, მასთან საუბარი სულიერად ამდიდრებდა ადამიანებს.

ალექსანდრე გვახარიამ ისე იცხოვრა, როგორც ნამდვილმა მამულიშვილმა, სწავლულმა, მოღვაწემ, მოძღვარმა უნდა იცხოვროს. იგი სანთელივით სუფთა იყო და სანთელივით ღამაზად დაიშრიტა. მისმა მარადიულ სამყაროში გადანაცვლებამ აუნაზღაურებელი დანაკლისი და უსაზღვრო ტკივილი დაგვიტოვა.

ზურაბ სარჯველაძე

სულიერების რაინდი

ჭეშმარიტად მძიმეა დანაკლისი ქართული მეცნიერებისა... წავიდა ჩვენგან ქართველი ერის სულიერების კიდევ ერთი გულმხურვალე მკვლევარი და ერთგული ჭირისუფალი...

ალექსანდრე გვახარიას ცხოვრება და ღვაწლი თვალსაჩინო ნიმუშად დარჩება იმისა, თუ რა დიდია, რა რთული და მძიმეა ტვირთი ჭეშმარიტი სწავლულისა და სპეციაკი, სულითხორცამდე წმინდა მამულიშვილისა. ღირსეულზე ღირსეული მოწაფე დიდი მასწავლებლებისა, იგი თვით იშვა და ჩამოყალიბდა ახალგაზრდობის გულისხმიერ აღმზრდელად, მრავალნი და მრავალნი არიან ბედნიერნი მისი შეგირდობითა და უსათნოესი ურთიერთობებით...

ალექსანდრე გვახარიას ბრწყინვალე მეცნიერული მემკვიდრეობა კიდევ ერთი ღირსეული ფურცელია უმდიდრესი ქართული ფილოლოგიური მეცნიერების დიდი წიგნისა... ქართული ლიტერატურის ისტორია, კლასიკური სპარსული ლიტერატურა, წყაროთმცოდნეობა, ლექსიკოლოგია, პოეტიკა, აი, არასრული ჩამონათვალი იმ უმნიშვნელოვანესი სფეროებისა, რომელთა წიაღშიც ტრიალებდა იგი, როგორც უზადო ხელოვანი წვდომისა და აზროვნების.

ამ უფაქიზესი სულის მოღვაწისათვის სრულიად ლოგიკური იყო უსაზღვრო გატაცება რუსთველოლოგიური პრობლემატიკის კვლევით... მან მისთვის ამ სათაყვანებელ სივრცესაც დაამჩნია თავისი გონიერი კვალი...

სრულიად უნიკალურია მის მიერ ქართული „ვისრამიანის“ ტექსტის გამოქვეყნება, ვრცელი გამოკვლევითა და შენიშვნა-კომენტარებით... პროფ. მაგალი თოდუასთან ერთად შესრულებულმა ამ კოლოსალურმა შრომამ კიდევ ერთი განუმეორებელი ღირსება შესძინა ქართულ ფილოლოგიას... უფართოესი ინტერესებისა და მასშტაბების ლიტერატორი არაერთ სამეცნიერო თუ სასწავლო ცენტრს ამშვენებდა და აკვალიანებდა...

ძვირფასი ბატონი შურა ახალგაზრდობაში რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის თანამშრომელიც იყო... საოცარი ნოსტალგიით იხსენებდა იმ ნეტარ წლებს, როცა იგი თავის დაუვინყარ მასწავლებლებთან და მეგობრებთან ერთად წმინდა ენთუზიაზმით ეჭიდებოდა მისთვის სათაყვანებელ საქმეს... საოცრად ერთგული და ყურადღებიანი ინსტიტუტის მიმართ, იგი რაღაც განსაკუთრებულ ძალასა და ენერგიას მატებდა თითოეულ ჩვენგანს...

და კიდევ, მისი სახით ქართულმა კულტურულმა სივრცემ დაკარგა სრულიად განსაკუთრებული უნატიფესი და უჩულო-სრულესი ინტელიგენტი... არისტოკრატი ქართული სულისა... ენერგიული ჭირისუფალი ეროვნული ცნობიერებისა... ღრმა პოეტური გრძნობებით და განცდებით მოაზროვნე ასაღიტიკოსი...

დღეს, ჩვენი საერთო სულიერი სიძაბუნის ჟამს, თანამედროვემად მძიმე ამგვარი ადამიანის დაკარგვა, სამუდამო განშორება მასთან, ვინც მთელი თავისი არსებით განასახიერებდა ასე თვალსა და ხელს შუა გამქრალ ქართული სულის მსიყნობას...

საიდა იგი, ღვანდომოსილი და ვალმოხდილი რაინდი ქართული სულიერი კულტურისა, მისი მაღალი ზნეობისა და დაუმრეტელი კონსიერებისა...

უძმობიესია მწუხარება ჩვენი...

გურამ ბენაშვილი



ქართული მეცნიერების სინდისი

ბატონი ალექსანდრე განსაკუთრებული პიროვნება იყო. იგი უშურველად ედგა მხარში ყველას, სიკეთეს ასხივებდა და დაუზარებლად უზიარებდა კოლეგებს საკუთარ გამოცდილებას. ამიტომ ემადლიერებოდნენ და დღესაც მადლიერებით იხსენებენ მას, როგორც სტუდენტები, ასევე პროფესორ-მასწავლებლები, მეგობრები, კოლეგები.

სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში ბატონი შურა უჩვეულოდ იყო გააქტიურებული. ჩქარობდა, თითქოს ცდილობდა მოესწრო და დაესრულებინა დაწყებული საქმეები.

მე ასეთი შთაბეჭდილება დამრჩა.

საბედისწერო ღამემდე ორი დღით ადრე, პარასკევ საღამოს, დაახლოებით ექვს საათზე შემოვიდა აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის მესამე სართულზე, აკადემიკოს გიორგი წერეთლის კაბინეტში.

– აქა ხარ? მკითხა და გამიღიმა.

– დავიღალე, დაუმატა და დაჯდა. ასპირანტურის ადგილები აინტერესებდა. ირანული განყოფილების ერთ-ერთი კურს-დამთავრებული გოგონასთვის უნდოდა შეეთავაზებინა სწავლის გაგრძელება.

შემდეგ ჟურნალ "ორიენტალისტის" ახალი ნომრით დაინტერესდა. სტატიას დამპირდა და წამოდგა.

ლიფტამდე მივაცილე, ვკითხე, ხომ არაფერი ანუხებდა. შეჭირვებული მომეჩვენა. გადაღლილობა მოიმიზეზა. წასვლის წინ კიდევ ერთხელ მთხოვა დროზე მიმეტანა აკადემიაში ქ-ნ ლია დუმბაძესთან საპრემიოდ წარდგენილი ნაშრომები.

სხვაზე ზრუნვა მისი ცხოვრების წესი იყო.

ბატონი შურა დააკლდა ყველას...

ქართულმა მეცნიერებამ განიცადა აუნაზღაურებული დანაკლისი, ქართულმა საზოგადოებამ დაკარგა ღირსეული წევრი. არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ ჩვენ ყველა, ბატონი შურას კოლეგები, ვცდილობდით მასზე ვყოფილიყავით ორიენტირებული, უდიდეს ანგარიშს ვუწევდით მის აზრს. მას შეეძლო გადაენწყვიტა პრობლემა მარტივად, კვლევისათვის მიეცა სწორი მიმართულება. მისი მსჯელობა იყო ყოველთვის სიღრმისეული, საინტერესოდ მიჰქონდა მსმენელამდე აზრი. ფართო განათლება, ღრმა განსწავლულობა აძლევდა მას ამის საშუალებას.

იუმორიც ჰქონდა ღვთის მიერ მომადლებული, რომლის საშუალებითაც არაერთხელ განუმუხტავს დაძაბულობა,

მოსადლოდნელი უსიამოვნება. იყო მშვიდობის მთესველი, მოსიყვარულე და მოჭირნახულე, უბრალოებით შემკული და ამავე დროს ტემბარიტი მკვლევარი, ქართული აღმოსავლეთ-მცოცხეობის, ქართული ირანისტიკის სიამაყე, სინდისი და პატიოსნება.

ირანისტიკის არა ერთი და ორი საკვანძო საკითხი თუ მოხდენა განხილულია პროფ. ალ. გვახარიას შრომებში. მკვლევარია დღეს ქართულ-აღმოსავლური ლიტერატურული ურთიერთობების კვლევა ალ. გვახარიას პუბლიკაციების გარეშე. როდესაც, რომელსაც ასრულებდა ქართული ლიტერატურის ტასციოთარებაში აღმოსავლური, კერძოდ, სპარსულ-ტაჯიკური სათარგმნი ძეგლები, შეუძლებელია შეფასდეს პროფ. ალ. გვახარიას მეცნიერული მემკვიდრეობის გათვალისწინების ღირსეულობა. მისი გათვალისწინება მომავალში ქართული საერო ლიტერატურის კვლევის აუცილებელ წინაპირობად იქცევა.

ჩატონი შურას მონაფეები, მისი კოლეგები გააგრძელებენ დარჩენილ საქმეს. ის საკითხები კი, რომლებიც მეცნიერის მოსიყვარულე განხილული, კვლევას გაუადვილებს შემდგომ თაობებს.

გურამ ჩიქოვანი

ფაქიზი მოურთიერთე

დღეს ძალიან მიჭირს გავიხსენო, სად, როდის და როგორ გავიცანი ალექსანდრე გვახარია, ანდა როდის დავეუახლოვდი მას იმდენად, რომ მომეპოვებინა მისთვის *შენობით* მიმართვისა და *შურას* ნოდების უფლება. ასე მგონია, მას შემდეგ, რაც სტუდენტობიდან მერგო პატივი, ვარლამ თოფურიასა და ივანე გიგინეიშვილის, გრიგოლ კიკნაძისა და ფარნაოზ ერთელიშვილის "შემოქმედებით-სამეგობრო სტუდიაში" მეპოვა თავი, ამ მოგონების გმირი თანაბარი ალბათობით შეიძლებოდა გამეცნო ვაჟას კაბინეტშიც და რუსთაველის კომისიაშიც, მაჩაბლის ქუჩის №13-ში — მწერალთა კავშირის მანსარდაზე მოფუსფუსე ქართულ ენციკლოპედიაშიც და უნივერსიტეტის მეექვსე კორპუსშიც, სადაც ქართველოლოგია-კავკასიოლოგიისა და აღმოსავლეთმცოდნეობის კაბინეტები თანაარსებობდნენ და თანამშრომლობდნენ...

და კიდევ სად აღარ! ვინ იცის, დაახლოების კიდევ რამდენი წყარო არსებობს საქართველოში საამისოდ განწყობილ ჰუმანიტართათვის: წიგნის განხილვა თუ პოეზიის საღამო, დისერტაციის დაცვა თუ კონფერენცია, თეატრი, კონცერტი, გამოფენა თუ ფილმის ჩვენება, ახლო თუ შორეული ექსკურსიები, თვით პანაშვიდებიც კი — ჭირისუფლისა და მისი ჭირ-ვარამის მოზიარეთა თავშესაყარი, და ბოლოს — ისევ და ისევ ქართული სუფრა, ჭირსა და ლხინში ყველას მაგიური გამაერთიანებელი. შურა გვახარიას ყველგან ნახავდით ვითარების შესაბამისი ცვალებადი განწყობილებით, მაგრამ ყველგან — უცვლელი ყურადღებითა და გულისხმიერებით. შურას ყველა ახლობელსა თუ უბრალო ნაცნობს საკუთარ თავზე გამოუცდია და თავისი თვალით უნახავს, რა სათუთად, როგორი სიფაქიზით ქსოვდა იგი ყოველ ახალ ურთიერთობას.

ალექსანდრე გვახარია თავის დროზე შეიძინა და ახლა უდროოდ დაკარგა როგორც ქართულმა, ისე სპარსულ-ირანულმა (და, სხვათა შორის, არანაკლებ — რუსულმა) კულტურამ. თავისი პროფესიული საქმიანობითა და პიროვნული თვისებებით ის იყო უმაღლესი რანგის კულტურტრეგერი და, უგვირგვინო მეფისა არ იყოს, არაოფიციალური, მაგრამ ჭეშმარიტად *სრულუფლებიანი* და *განსაკუთრებულ რწმუნებათა* მქონე დესპანი ამ ხალხთა და მათ კულტურებს შორის. კონფესიური ტრადიციებით დაპირისპირებული და ისტორიულად იმპერიულ-კოლონიური ჯაჭვით დაკავშირებული ქვეყნები შურაზე უკეთეს სამშვიდობო ხიდს ალბათ ვერ მოძებნიდნენ. უნებლიეთ მახსენდება პრინცესა ანას

ფინალური სიტყვები ალბათ ყველას უსაყვარლესი ფილმიდან "რომაული არდადეგები": მე ისევე ღრმად მწამს ხალხებს შორის მეგობრული ურთიერთობის შესაძლებლობა, როგორც ცალკეულ უბრალო ადამიანთა პირადი მეგობრობაო.

აქ მაგონდება შურას (და მრავალი ჩვენგანის) სათაყვანებელი მასწავლებლისა და უფროსი მეგობრის, გრიგოლ კიკნაძის სიტყვები, ერთ შემთხვევასთან დაკავშირებით მარტივად თქმული: გრძნობებს მოვლა უნდაო. შურა გვახარია იყო არათუ მხოლოდ სათუთი მომვლელი ამ გრძნობებისა, არამედ მათი ფაქიზი აღმზრდელიც და საიმედო "შემნახველი სალაროც" ყველაზე სანუკვარი გრძნობებისა. ეს მე სრული დარწმუნებით ვიცი — როგორც პირადი გამოცდილებიდან, ისე სხვათა მინიშნებებიდან...

იქნებ აქ მოსატანიც არ იყოს, მაგრამ მაინც შემთხვევითი არა მგონია ის ფაქტი, რომ ჩვენი საზოგადოების გახლეჩა-დაპირისპირების განსაკუთრებით მძიმე წლებში სწორედ შურა გვახარიას ეთხოვა უნივერსიტეტში ე.წ. "საკონფლიქტო კომისიის" (ასე უწოდებდნენ იმხანად საპრეტენზიო კომისიას) თავმჯდომარეობა. ამ გადაწყვეტილებამ სავსებით გაამართლა: მიმღებ კომისიას ამ მხრივ რაიმე სერიოზული პრობლემა არ გასჩენია.

როგორც ჭეშმარიტი მეცნიერი (ამ მხარეს შეგნებულად არ შევხები არასაკმარისი კომპეტენტურობის გამო), შურა გვახარია, რა თქმა უნდა, არ იყო *მთხველის* ტიპი, რომელიც ესოდენ მომრავლებულია ჩვენი მეცნიერების კრიზისულ ხანაში, მაგრამ მის მიერ მიგნებულ-დადგენილი ჭეშმარიტება მკვლევრის ბაგეთაგან თუ მის კალამქვეშ *წარმტაც ნათხზავად* მოედინებოდა, ვითარცა აღმოსავლური ჯადოსნური ზღაპარი. და რა გასაკვირია, რომ ასეთი ლექტორი სტუდენტებს უდიდეს ავტორიტეტად, მათი გონება-ფანტაზიის მარად მაინტრიგებელ პიროვნებად მოეცლინებოდათ!

მაგრამ ურთიერთობის შურასეული უნარი იმითაც იყო გამორჩეული, რომ ეს სულიერი კავშირი გრძელდებოდა "კორესპონდენტის" გარდაცვალების შემდეგაც. ჭეშმარიტად ბედნიერი ეთქმით ან განსვენებულ იური და სოფიო მარებს, რადგანაც მათს არქივს შურასთანა ჭირისუფალი გამოუჩნდა; ბედნიერია ამ ქვეყნიდან უდროოდ წასული ალექსანდრე (საშა) ციბულევსკიც, რომელსაც შურამ ღირსეული ადგილი მიუჩინა ქართულ კულტურაში. და ასეთი სახელები გამოჩაკლისი არ არის...

მიუხედავად გარეგნული სიმშვიდისა, შურა გვახარია ცხოვრების შუაგულში ტრიალებდა, ეხმაურებოდა ყველაფერს — ავსა და კარგს, რაც კი მის ყურადღებას ეხლებოდა.

განსაკუთრებით მტკივნეულად დამამახსოვრდა მისი გულის-წყრომით აღსავსე საგაზეთო წერილი იმ ქართველ ეპი-პატრიოტთა მიმართ, ამ ორიოდ წლის წინათ გარდაცვლილ, ოკუპაციების ტრაგიკული ხვედრით დაღდასმულ ბულატ ოკუჯაყას სვავებივით რომ დააცხრნენ და "რუსობას" უკიჟინებდნენ პოეტს თანამედროვე ჰუმანისტური საზოგადოების სიამაყეს, რომელიც მთელმა მსოფლიომ დაიტირა; მეორე მხრივ, უშურველი ალტაცებით ეხმიანებოდა — წერილობით, რადიო-ტელევიზიითა თუ ტელეფონით — ყოველ სასიკეთო სიახლეს მეცნიერებაში, ლიტერატურასა და ხელოვნებაში, იქნებოდა ის ზაირა არსენიშვილის (ან უკვე გახმაურებული) "რეკვიემი" თუ ვახუშტი კოტეტიშვილის "ჩემი წუთისოფელი", თემურ ჩხეიძის სატელევიზიო დადგმები, ქართული ირანისტიკის ამომავალი ვარსკვლავის — გიორგი ლობჯანიძის მეცნიერული ნარმატება თუ ახალგაზრდა მწერალთა შემოქმედება...

სრულიად შეუცვლელი იყო შურა გვახარია, როდესაც უცხოელ ქართველოლოგებს მეგზურობას უწევდა ძველ თბილისში. დიდი მადლიერებით ვიგონებ იმ ორ დაუვინყარ დღეს, რომლებიც მთლიანად შემოგვწირა შურამ მე და ქართულ ენაში ჩემს უცხოელ მოწაფეებსა და კოლეგებს — ცალკე დონალდ რეიფილდს (ლონდონის უნივერსიტეტის პროფესორს) და ცალკე — ლუიჯი მაგაროტოს (ვენეციის უნივერსიტეტის პროფესორს). თავისუფლების მოედნიდან მოყოლებული, შურამ ორჯერვე ფეხით მოგვატარა აბანოთუბანი და ხარფუხი. რაც მთავარია, გარდა რამდენიმე საკვანძო ფაქტის გამეორებისა, გზადაგზა უამრავი ახალ-ახალი დეტალიც ახსენებოდა. და ეს დეტალები, აუცილებელი აქსესუარების როლს რომ ასრულებდნენ, უსაზღვროდ ამდიდრებდნენ და ახალისებდნენ მონაცოლს.

იოსებ გრიშაშვილის სახლ-მუზეუმში შურამ გვიჩვენა რამდენიმე წიგნი, რომელთაგან ზოგიერთი თვით გრიშაშვილის შენიშვნა-მინაწერებით იყო აჭრელებული. ხშირად ის გვერდებიც კი ახსოვდა, რომლებზედაც ესა

თუ ის შენიშვნა იყო მიწერილი. ორიოდ ასეთი შენიშვნა, რამდენადაც მახსოვს, ახლავს კ. გამსახურდიას ერთ-ერთ რომანში ("ბელადი") ნახმარ სიტყვებს: *ნაყვავილარს* არშიაზე მიწერილი აქვს გასწორება — *ჩოფურა*, ხოლო გამოთქმას *პაჭუა ცხვირი* — ერთვის შემდეგი შინაარსის შენიშვნა: *პაჭუა ცხვირი* კი არა, თვით ადამიანია, ანეული ცხვირი რომ აქვსო.

შურას კიდევ უფრო დაუუახლოვდი მას შემდეგ, რაც მუშაობა დავიწყე ენათმეცნიერების ინსტიტუტში, კერძოდ, ქართული მეტყველების კულტურის განყოფილებაში, რომელსაც ივანე

გიგინეიშვილი ხელმძღვანელობდა. ბატონ ვანოსა და შურას მრავალი შემხები წერტილი ჰქონდათ: ადრინდელი თანამშრომლობა თვით ჩვენს ინსტიტუტში, შემდეგ — რუსთაველის კომისიაში, ენციკლოპედიაში, ვაჟა-ფშაველას კაბინეტში, უნივერსიტეტში. რაც მთავარია, ჩვენს პატარა განყოფილებაში მუშაობდა შურას მეუღლეც — ცირა კალაძე (რომელსაც ადრეც ვიცნობდი რუსთაველის კომისიიდან). ეს იყო შესანიშნავი მკვლევარი და ავკარგიანი ადამიანი, რომელმაც, მიუხედავად შურასთან ერთად დიდი სიმწარის გადატანისა (დაელუპათ მცირეწლოვანი გოგონა), შეინარჩუნა (გარეგნულად მაინც) სულიერი მხნეობა და სიხალისე, რაც მასთან ურთიერთობას ძალიან აადვილებდა. მან ღირსეული მეგობრობა გაუწია შურას და ყველა პირობა შეუქმნა, რათა მაქსიმალურად გამოეყვინა მისი მრავალმხრივი ნიჭი და უნარი...

უკანასკნელად შურა იმ ავბედით ორშაბათს ვნახე (უნივერსიტეტის I კორპუსის ვესტიბიულში), რომლის ღამითაც ის გარდაცვლილა. ჩვეულებრივი მიკითხვ-მოკითხვა. გავიგე, შესანიშნავი ცნობარი მოგიმზადებიათ და ისიც ვიცი, როგორ დაიღალეთო (გულისხმობდა კოლექტიურ ნაშრომს — "ქურნალისტის სტილისტიკურ ცნობარს", რომელიც ენათმეცნიერების ინსტიტუტში მომზადდა და შემჭიდროებული ვადების გამო სარედაქციო კოლეგიის წევრები მთელ ზაფხულს ინსტიტუტში ვათენებ-ვალამებდით). ახლა ცოტა მაინც უნდა დაისვენო. ხვალ ვაპირებ-მეთქი ორიოდ დღით ქალაქიდან გასვლას. ეს იყო და ეს. მასაც ერქარებოდა და მეც.

მის გარდაცვალებასა და დაკრძალვას მე არ შევესწრებივარ: სწორედ იმ ხუთ დღეს არ ვიყავი თბილისში. რომ ჩამოვედი, შინ მორიდებით მითხრეს: ცუდი ამბავი დაგახვედრეთ — ალექსანდრე გვახარია გარდაიცვალა და სწორედ დღეს დაკრძალესო...

ცუდი ამბავი! რა ადვილად კარგავს ზოგჯერ სიტყვა თავის მნიშვნელობას! თურმე შურას ამბავს მიყვებოდნენ... გაოგნების აღწერას აზრი არა აქვს, მით უმეტეს, როცა წარმოიდგენს კაცი, რამდენად უფრო უაზროა მთელი თბილისი და ჩვენი ყოფნა ამ ქალაქში — თუნდაც ერთად — შურას გარეშე...

შურა გვახარია პიროვნების გააზრებისას უნებურად მეძალება ერთი ლინგვისტური პარალელი:

როგორც ცნობილია, ქართულ ზმნას მოეპოვება ენის ფილოსოფიის თვალსაზრისით მეტად საინტერესო კატეგორია, რომელიც მოქმედების კუთვნილებითს დანიშნულებას მიუთითებს და ენათმეცნიერებაში მას *ვერსიას*, ანუ *ქცევას* უწოდებენ. ქცევის ფორმებს, გარდა მოქმედებისადმი ნეიტრალური დამოკიდე-

ბულებისა, შეუძლიათ აღნიშნონ სუბიექტისა თუ ობიექტისათვის განკუთვნილი მოქმედებაც და მათ აკაკი შანიძემ ხალხურად, მაგრამ ძალზე მოხდენილად *საარვისო*, *სათავისო* და *სასხვისო ქცევის* ფორმები უწოდა... შურასეული წესი ახლობლებსა თუ თვით უბრალო ნაცნობებთან ურთიერთობისა ისეთი იყო, რომ ყველაზე მეტად მას სწორედ *სასხვისო ქცევა* მიუდგება: შურა ხომ მუდამ *სხვას უკეთებდა გულსა თუ საქმეს* — მაშინაც კი, როცა თავად უფრო საჭიროებდა ერთსაც და მეორესაც...

შურა გვახარია მე დასვენებული (ორივე გაგებით) არ მინახავს. მისი გარდაცვალებაც მხოლოდ *ამბად* ვიცი — სიტყვა *თურმეს* რომ შეეფერება, ისე. და თუმცა მის საფლავზედაც ვიყავი და ყვავილიც მივუტანე, ეს *ამბავი* ჩემთვის კვლავაც *ამბად* რჩება, მე მას *ფაქტად* არ აღვიქვამ, და ეს ჩემი ხელშეუხებელი უფლებაა.

ერთადერთი ურყევი და ჩემთვის სარწმუნო ფაქტი ისაა, რომ *შურა გვახარია კვლავ არსებობს*, და არსებობს იგი, როგორც ყოველთვის, ისევ და მხოლოდ *სხვისთვის*, ანუ *ჩვენთვის* — მისგან მრავალმხრივ და მრავალგზის დავალებული მეგობრებისათვის, ვითარცა სისხლხორცეული ნაწილი *ყოველი ჩვენგანისა* და *ყველასი ერთად*.

შუქია აფრიდონიძე





სულიერი სამყარო ღარიბდება

შურა გვახარიას გარდაცვალებამ სევდიანი სინანულის გრძნობებთან ერთად კიდევ ერთხელ ცხადჰყო ის, რომ ჩვენი სულიერი სამყარო ღარიბდება, დაკნინების და გაუბრალოების ნიშნებს იძენს და ისეთი თვისებები, როგორიცაა კეთილშობილება, გულწრფელობა, სიკეთე, პატიოსნება, ღირსება, ვალდებულება, პასუხისმგებლობა, შეიცვალა მომხვეჭველობის არაჩვეულებრივი მისწრაფებით, ცინიზმით, სკეპტიკური მზერით და ირონიით (უკეთეს შემთხვევაში).

შურასთან საუბარი მუდამ კეთილგანწყობის ატმოსფეროს ქმნიდა. არაჩვეულებრივად კეთილი ღიმილი ჰქონდა. მშვენიერი მცოდნე თავისი საქმის, ამავე დროს — დელიკატური გამოთქმებში. იცოდა ყურადღებით მოსმენა. მისი ღვაწლი, მეცნიერული გამოკვლევები სათანადოდ იქნება შეფასებული. ჩვენ კი არასდროს დაგვავიწყდება.

ზურაბ ნიჟარაძე

მეცნიერი, მამულიშვილი, მეგობარი

შურა ცნობილი პედაგოგის, გამორჩეული ინტელიგენტის აკაკი გვახარიას შვილი იყო. განგებამ მძიმე ხვედრი არგუნა. 7-8 წლის იქნებოდა, როცა ერთ ღამეს დედ-მამა წაიყვანეს. პატარა ბიჭი ჩეკისტებმა გადაქოთებულ სახლში დატოვეს. მამის მიერ რუდუნებით შეგროვილი ბიბლიოთეკის წიგნები ეზოში გადაყარეს. მამა დახვრიტეს, დედა რეაბილიტაციის შემდეგ – გვიან დაბრუნდა.

შურა მზრუნველმა მამიდამ გაზარდა და მთელი ცხოვრება ატარებდა მამიდასადმი მაღლიერების უდიდეს გრძნობას.

საკუთარ დედ-მამას მოშორებული, განსაკუთრებულ სიყვარულს გრძნობდა მეგობრების მშობლებისადმი. ემეგობრებოდა ცნობილ ექიმს, მალარიოლოგს – მირიან აბულაძის მამას, პროფესორ სოლომონ აბულაძეს. თბილი დამოკიდებულება ჰქონდა ჩემი მამის – ილია გუგუშვილისადმი, რომელსაც „კარგ ქართველ ვაჟკაცს“ უწოდებდა. უნივერსიტეტში ერთდროულად ვსწავლობდით, რეაბილიტაციის შემდეგ დედამ ერთობახიანი ბინა მიიღო ნაძალადევში და ამანაც ხელი შეუწყო ჩვენს დაახლოებას. მე, ჩემი მეგობარი ცირა კალაძე და შურა უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში ძალიან ხშირად ვიყავით ერთად. საუკეთესო სტუდენტი იყო, უნივერსიტეტი წითელი დიპლომით დაამთავრა, მაგრამ ასპირანტურაში ჩასაბარებლად რეკომენდაცია ვერ მიიღო, როგორც რეპრესირებულის შვილმა. სანთელ-საკმეველმა გზა არ დაკარგა და ლაბორანტად დატოვეს ირანული ფილოლოგიის კათედრაზე. შემდეგ ყველა საფეხური გაიარა და ბოლოს კათედრის გამგე გახდა. არ უყვარდა წარსულ ტკივილზე ლაპარაკი, მხოლოდ სიკვდილის წინ „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნებულ წერილში მოგვითხრო იმ რეპრესიებზე, რომლის მსხვერპლიც მისი მშობლები იყვნენ. იგი წერდა, რომ მხოლოდ 50 წლის შემდეგ შეძლო შესვლა ბავშვობისდროინდელი სახლის ეზოში, სადაც ძველმა მეზობლებმა მამის ბიბლიოთეკიდან გადარჩენილი ორი წიგნი გადასცეს. მისთვის ძვირფასი იყო ეს წიგნები, რადგან ერთ-ერთს მამისეული შენიშვნები ჰქონდა და მამის ხელშეწავლები იყო. გადატანილმა ტრაგედიამ ვერ დათრგუნა შურას ბუნება, კეთილი და მოსიყვარულე ვაჟკაცი დადგა. 1956 წელს შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში მოვიდა ძველი ქართული ლიტერატურის განყოფილებაში, ამ დროს შურა განსაკუთრებით დაგვიახლოვდა. მე და ცირა კალაძეც ნაძალადევში ვცხოვრობდით და ინსტიტუტიდან სახლში ხშირად ფეხით ვბრუნდებოდით. მალე ჩვენს სამეგობროს გადასახლებიდან დაბრუნებული მირიან აბულაძე შეემატა.

შურასთვის მეცნიერება დიდად ძვირფასი იყო. ბევრს კითხულობდა, ჩვენც გვირჩევდა საჭირო ლიტერატურას, შურას სტუმრობას ჩემსა და ცირას ოჯახში დიდი სიხარული მოჰქონდა. მისი განათლება, ერუდიცია, ფართო თვალსაზრისი, მაღალი პროფესიონალიზმი გვზიზიანებდა და გვაჯადოებდა. ჩვენთან სტუმრობისას იგი განსაკუთრებით დიდ დროს უთმობდა ახალგაზრდებს: ჩემს დისშვილებს: გიო ახვლედიანს, ირაკლი და მაკო ქასრაშვილებს. ახალგაზრდებიც სიხარულით ელოდნენ მის გამოჩენას.

შურა მოსიყვარულე და ალერსიანი ადამიანი იყო, სიტბოსა და სიყვარულს უხვად აფრქევებდა, ყველას ტკბილად ექცეოდა. ამიტომაც ბევრ ქალს ეგონა, რომ შურას ტრფიალი იყო. მან კი ჩემი უახლოესი მეგობარი ცირა კალაძე აირჩია. ცირა თვალადი, ნიჭიერი, განათლებული გოგონა იყო, კარგი ენათმეცნიერი.

1959 წელს პეტერბურგში ვიყავი მივლინებით. ნიკო მარის არქივზე ვმუშაობდით მე და ლალი ძონენიძე. იქ შევხვდით შურას, რომელიც ხშირად გვეხმარებოდა ნ. მარის ხელნაწერებში ციტირებული სპარსული ტექსტის ამოკითხვაში. შურასთან ერთად პეტერბურგში იყვნენ ზურაბ კიკნაძე და მხატვარი თემო ჯაფარიძე. დავდიოდით პეტერბურგის ქუჩებში, დავათვალიერეთ მისი შემოგარენი, შურას ინიციატივით ვინახულეთ ალექსანდრ ბლოკის საფლავი.

პეტერბურგიდან რომ დავბრუნდით, ცირა გამომიცხდა, რომ მან და შურამ დაოჯახება გადაწყვიტეს. შესანიშნავი არჩევანი იყო, მათი ინტელექტი ერთმანეთთან საერთოს უთუოდ იპოვიდა. ბედნიერი ოჯახი შექმნეს. პირველი ვაჟი შეეძინათ, მაგრამ მძიმე ხვედრი შურას თან სდევდა. უეცრად გარდაეცვალათ მეორე შვილი – პატარა გოგონა სოფიკო.

ამ უბედურებამ ცირა ძალიან დაჩაგრა, შეიცვალა, დადარდიანდა, შემდეგ უკურნებელი სენით დაავადდა და შვიდი წლის წინ გარდაიცვალა. ეს შვიდი წელი მძიმე და გაუსაძლისი იყო შურასათვის. ხშირად ნახავდით სასაფლაოზე, ცირას საფლავთან მობუტბუტეს, ელაპარაკებოდა თავის განუყრელ მეგობარს.

ცირამ და შურამ ერთი ვაჟკაცი გაზარდეს – ექიმი აკაკი (აკა) გვახარია, რომელიც ამჟამად ამერიკაში მსახურობს და ორი საუკეთესო ვაჟი ჰყავს.

გული სტკიოდა შურას, განიცდიდა, ასე შორს რომ იყვნენ ერთადერთი ვაჟი და შვილიშვილები. უკანასკნელ ინტერვიუში ნუხილი გამოთქვა ქართველი ახალგაზრდობის უცხოეთისკენ ლტოლვის გამო, ოპტიმისტი იყო და იმედოვნებდა, გარკვეული დროის შემდეგ უეჭველად დაბრუნდებიანო. მისი ვაჟი და

შვილიშვილებიც დაბრუნდებიან, მაგრამ შურა მათ ვერ დაინახავს, მხოლოდ მისი სული იგრძნობს ალბათ. შურა აღარ არის, დარჩა მისი საყურადღებო შრომები ქართულ-აღმოსავლური ურთიერთობის შესახებ. განსაკუთრებით აღსანიშნავია შურასა და მაგალი თოდუას მიერ ქართული „ვისრამიანის“ უნიკალური გამოცემა. შურა მთელი სიცოცხლის მანძილზე მადლიერი იყო თავისი მასწავლებლების (ა.ბარამიძე, ვ. თოფურია, გ. ნერეთელი, ს.ჯიქია და სხვ.). მათი მიბაძვით თვითონაც საუკეთესო პედაგოგი დადგა – იყო მრავალი საკანდიდატო დისერტაციის ხელმძღვანელი. შურა წინ მიდიოდა მეცნიერების კიბეზე. იგი გახლდათ ევროპის ირანოლოგიური საზოგადოების ნამდვილი წევრი, აზერბაიჯანის კულტურის დამსახურებული მოღვაწე. დაჯილდოვდა ღირსების ორდენით, ივ. ჯავახიშვილის სახელობის მედლით.

ალ. გვახარია ხშირად მონაწილეობდა საერთაშორისო კონფერენციების მუშაობაში, გამოდიოდა ლექცია-მოხსენებებით საზღვარგარეთის წამყვან სამეცნიერო ცენტრებში.

დავკარგეთ განსაკუთრებული პიროვნება, ნატიფი და გულნათელი ინტელიგენტი, ეროვნული ტკივილით აღსავსე ბრწყინვალე მეცნიერი და საუკეთესო მეგობარი, რომელსაც გულწრფელად უხაროდა კოლეგის წარმატება.

შურა გარდაცვალების წინა ღამეს მელაპარაკა ტელეფონით. მომავალ გეგმებზე ფიქრობდა. შენ რას აპირებო? – მეკითხებოდა. მპირდებოდა, მოვალ, გინახულებო. ამ უბედურებას არც ერთი არ ველოდით. შემომჩვილა, ძალიან მღლის ადმინისტრაციული მუშაობა, კათედრა უნდა დავთმოო. ვუთხარი: ნუ იზამ მაგ საქმეს, ცოდვაა შენი შეკრებილი სპეციალისტები-მეთქი. ასე ვსაუბრობდით, მაგრამ შურამ უცბად დაგვეტოვა მეორე დღეს. გული გვტკივა, რომ ვერ აღვნიშნეთ მისი 75 წლის იუბილე, 73 წლის ასაკში დაგვშორდა.

გავა დრო... მის შემოქმედებას უფრო ღრმად შეისწავლიან მომავალი თაობები და მეტად დააფასებენ. მისი მოწაფეები, მეგობრები და კოლეგები ვალდებული არიან, შეკრიბონ მისი მეკვიდრეობა და ტომეულებად გამოსცენ.

მერი გუგუშვილი



ნათელი

მართლაც რომ გაუძლებელი იქნებოდა ცხოვრება, პოეზია რომ არ არსებობდეს.

თუმცა კი, მრავლად როდი არიან ადამიანები, ვისთვისაც პოეზია ფაქტია, ისეთი რეალობაა, რომელიც ერთადერთი ადამიანური კვალია სიცოცხლის წამიერებასა და არყოფნის უსასრულობას შორის.

„ვეფხისტყაოსანი“, „ვისრამიანი“ და სხვა მსგავსი დიადი ქმნილებები გვაძლევენ ძალას, რომ უსასრულობისკენ მიმართული ჩვენი მზერა ფუჭ თავშექცევად არ ჩაითვალოს, გვაძლევენ იმის ძალას, რომ ვიოცნებოთ ღმერთზე.

ალექსანდრე გვახარია იყო ის ადამიანი, რომელიც პოეზიით სულდგმულობდა და იმის გამო, რომ დიდი მეცნიერული ცოდნითაც იყო აღჭურვილი, ერთადერთი ამოცანალა ჰქონდა: უფრო და უფრო ნატიფად შეეგრძნო პოეზია... ეს ისეთი უსასრულო გზა და ბოლოგამოუჩენელი შრომაა სულისა და გონებისა, რომლისგანაც ადამიანს მხოლოდ სიკვდილი იხსნის ხოლმე.

მე ხშირი ურთიერთობა არ მქონია ბატონ შურასთან, მაგრამ ყოველთვის უაღრესად ახლობლად ვთვლიდი. ჩვენი ბოლო შეხვედრისას „ვისრამიანის“ ახალნაკითხულზე იმედიანად ვთხოვე – როდესმე დავსხდეთ და „ვისრამიანზე“ ვილაპარაკოთ-მეთქი. მე, აღფრთოვანებულს „ვისრამიანით“, რალაცევებზე პასუხი და საერთოდ მეტი ცოდნის შეძენა მაინტერესებდა...

ბატონ შურას თვალეზში ნათელი ჩაუდგა, ისეთი ნათელი, როგორითაც იცნობდა ყველა, როგორც იცხოვრა და როგორი კვალიც დატოვა – ნათელი!

ბესიკ ხარანაული

ვერ გავუმხილე...

ამ დიდებული პიროვნების მეცნიერულ დამსახურებებზე, უმაღლეს ცენზებზე და ხარისხებზე საუბარი არ მინდა. საქართველოში ამით ვერავის გააკვირვებ. ბევრი ღირსეული მეცნიერი გვყოლია და, ღვთის ნყალობით, ალბათ კვლავაც გვეყოლება. მე ამჯერად დიდ ადამიანურ თვისებებზე, უდაბვეწილეს ინტელიგენტობაზე და სულიერ არისტოკრატიზმზე მინდა ყურადღების გამახვილება, ვინაიდან ჩვენს დროში სწორედ ეს ფენომენი იქცა არამცთუ დეფიციტად, არამედ ზედმეტ, ყოვლად გამოუსადეგარ და უსარგებლო გაუგებრობად. ეს თვისებები ამ ადამიანს ზეჭარბად ჰქონდა, არა შეძენილი, არამედ თანდაყოლილი, არა ნასწავლ-ნაცოდვილარი, არამედ ასეთად იყო მოვლენილი ამ ცოდვა-ბრალიან ნუთისოფელად.

ჩვენი მეგობრობის ასაკმა ნახევარსაუკუნოვან მიჯნას გადააჭარბა. იგი ჩემზე ექვსიოდე წლით უფროსი იყო. მიუხედავად ამისა, მე არ მახსოვს, რომ მას ოდნავ მაინც ეგრძნობინებინოს თავისი, თუნდაც ასაკობრივი უპირატესობა, ოდესმე მაინც გადაემეტებინოს ჩემთვის თავისი უზარმაზარი ცოდნა თუ გამოცდილება. პირიქით, თავი ისე ეჭირა, თითქოს შენგან სწავლობდა რაღაცას, შენთვის სრულიად ახალ აღმოჩენას ისე მოგანვდიდა, თითქოს სწორედ ახლა, ამ წუთში ორივენი ერთად მიხვედით ამ დასკვნამდე. მე იშვიათად შემხვედრია ასეთი ტაქტის, ზრდილობის, უკიდევანო კეთილშობილების მქონე ადამიანი. იგი ყველაფერში ერთადერთი და განუმეორებელი იყო.

მის არსებაში თითქოს ყველაფერი ირხეოდა და თრთოდა, როგორც ვიოლინოს სიმი, როგორც ანგელოსის ფრთა, როგორც სანთლის მოცახცახე ნათელი.

არადა, სხვა მის ადგილზე ბოლმით და შურიტ ალივსებოდა, გამწარდებოდა და გაბოროტდებოდა, ნიჰილიზმის ჭიას გამოეხრევიებოდა და რა ვიცი, რას აღარ ჩაიდენდა. ჯერ კიდევ სრულიად პატარა ბავშვს 1937 წელს დაუხვრიტეს მამა და გადაუსახლეს დედა. უმწეოსა და მიუსაფარს გვერდით ახლდა მხოლოდ შიში და შიმშილი, „ხალხის მტრის შვილის“ დამთრგუნველი დამლა, რაც კეთროვანის მდგომარეობაში აყენებდა უცოდველი კრავივით ღვთის ანაბარად დარჩენილ არსებას. მე თავად გამომიცდია ეს მდგომარეობა და ვიცი, როგორი იყო ჩვენნაირთა „ბედნიერი ბავშვობა“ სოციალისტურ „სამოთხეში“.

შემდეგ იყო და, რაც ცოლ-შვილში უნდა გაეხარა, იოზის ბედმა აქაც უნია და ჯერ კიდევ თოთო ქალიშვილი წაართვა სიკვდილის

ანგელოსმა. შემდეგ საყვარელი მეუღლის საფლავის მოვლაც დააკისრა უფალმა. მაგრამ მოხდა საოცრება: რაც უფრო მეტსა და მეტ განსაცდელს უგზავნიდა ბედი, იგი მით უფრო კეთილი, მიმტევებელი და შემწყნარებელი ხდებოდა. ისე იცხოვრა, ერთი საყვედური არ დასცდენია ღვთის განგების მიმართ. იცხოვრა მართლაც წმინდა მამათა მონამეობრივი ცხოვრებით და ნავიდა იმქვეყნად ნეტარი და სულგანათებული.

პოეზიით ცოცხლობდა. შეეძლო ერთი ლამაზი ლექსის ნასაკითხად საბურთალოდან მთანწინდაზე ფეხით ამოსულიყო, რათა ერთად განგვეცადა და გაგვეზიარებინა ჭეშმარიტი პოეზიის მშვენიერება. ჩემი გაირანისტებაც მთლიანად მისი „ბრალი“ იყო. მერვეკლასელ ბიჭს სპარსულად წამიკითხა ომარ ხაიამის რობაიები და შემყარა სპარსული პოეზიის განსაკუთრებული სენი.

ვწერ ამ სტრიქონებს, დაბნეული ღობე-ყორეს ვედები და ვცდილობ იმითლა დავიმშვიდო გული, რომ ის ვუთხრა ჩემს უახლოეს მეგობარს, რაც სიცოცხლეში ვერ ვუთხარი, ვერ გავუმხილე ბოლომდე, ვინ იყო იგი ჩემთვის, როგორი ახლობელი და ძვირფასი ადამიანი. და როგორ ვერ ვუთხარი მადლობა ჩემს ცხოვრებაში მისი აუცილებელი არსებობის გამო. ასეთ რალაცევებს სიცოცხლეში ხომ ვერ ვახერხებთ და ამ უხერხულობას სადღეგრძელოებში მეგობრული იუმორით ვფარავთ და ვაჩუმებთ.

ახლა კი ეს ზღვარი გადალახულია. შურა, ჩემო უფროსო და უსაყვარლესო ძმავო, იქნებ მანდ მაინც გამოიჩინო ფხა (რომელიც სიცოცხლეში ასე გაკლდა) და მანდაც ადგილი შემინახო სადმე; შენ გვერდით. ადრე თუ გვიან, მაინც ხომ ერთად გავუდგებით სულეთის მოუსავლეთს. აბა ცალ-ცალკე რა გაგვაძლებინებს მარადისობის მოსაწყენსა და მდორე დინებას?! აბა, შენ იცი.

ვახუშტი კოტეტიშვილი





შესაკითხი მქონდა...

*ღმერთმა გაანათლოს შურა გვახარია,
შესაკითხი მქონდა, რაღა გაენყობა...*

სულ მინდა გავიხედო და დავინახო ზემელის აფთიაქი, ელბაქიდის დაღმართის ქვაფენილზე დინჯად მიმავალი ტროლეიბუსი. ქალაქის სახეს ქმნის გეოფიზიკური თავისებურებანი, კლიმატური პირობები, რელიეფი, ლანდშაფტი, გამორჩეული არქიტექტურული ნაგებობები, საინტერესო, უკომპრომისო, ჭკვიანი ადამიანები. ამ ქალაქის ორგანული ნაწილია ალექსანდრე გვახარია. ვუნვეც ხმას ჰარისონის სიმღერას, რათა გადავფარო მეორე ოთახში ტელევიზორიდან მოვარდნილი ტელენამყვანის როყიო ხმა.

ამ ქალაქში აღარ დაიდგომება. პითეკანტროპების გნიასია. ჩახერგეს ქალაქი. სუნთქვის საშუალებას აღარ გაძლევენ ადამიანს.

ირანში იყო რამდენიმე წლის წინათ ბატონი შურა (მე ასე მივმართავდი მას), ძალიან კმაყოფილი ჩამოვიდა. სახსოვრად თიხის გამომწვარი, ორნამენტიანი, მოჭიქული ფილა ჩამომიტანა. ჩემს ოთახში თაროზე მიდევს. ძალიან მომწონს და ბედნიერი ვარ...

როდესაც ჩემთვის უცხო აღმოსავლური წარმოშობის სიტყვას ნავაწყდებოდი, ტელეფონით ვანუხებდი ბატონ შურას.

- ჰოვსილა, ჰოვსილე თუ ოფსილა?...სადაური სიტყვაა... კეთილშობილი, დაუზარებელი, გულისხმიერი, ჭეშმარიტი მეცნიერი, უამრავი ნაშრომით, ნაფიქრით, აღმოჩენით. მან დაგვაახლოვა სპარსულ კულტურას.

საბედნიეროდ, ჯერ კიდევ შემორჩა ქალაქს ნამდვილი ადამიანები, რომელთათვისაც კიდევ არსებობს ის ძირითადი, კვინტესენცია, რაც გინდა დავარქვი, არსი თუ სუბსტანცია, რომელიც არც იწყება და არც წყდება დროსა და სივრცეში.

გიორგი მირზაშვილი

დაუვინყარი მეგობარი

ბატონ ალექსანდრე გვახარიასთან, ჩვენს ძვირფას შურასთან, დაკავშირებულია თითქმის მთელი ჩემი ცხოვრება. სკოლაში ვიყავით ერთ კლასში, უნივერსიტეტში ერთ კურსსა და ერთ ჯგუფში, შემდეგ კი – ორმოცი წლის განმავლობაში ერთად ვმუშაობდით აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში. სკოლასა და უნივერსიტეტში შურა იყო გამორჩეული თავისი ნიჭით, ერუდიციით, პრომისმოყვარეობით და თუ გავიხსენებთ, რა მძიმე ბავშვობა არგუნა მას ბედმა, ეს მით უფრო დასაფასებელია.

გონებაში ჩამეჭედა, როგორც კადრი კინოფილმიდან: 1941 წლის 30 მაისს ვზივართ საკლასო ოთახში, ვემზადებით წერიტი გამოცდისათვის არითმეტიკაში. ამ დროს კლასში შემოვიდა ალელვებული, ლოყებგანთლებული შურა და დაიყვირა: „მასწავლებლო, დედაჩემი ჩამოვიდა!“ (ქ-ნი გალინა, შურას დედა, ქმრის დახვრეტის შემდეგ იმყოფებოდა გადასახლებაში), მასწავლებელსაც ცრემლები წამოსცვივდა და ჩვენც ავტირდით.

უნივერსიტეტში შურა იმთავითვე ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობების კვლევით იყო გატაცებული. აკეთებდა ღრმაშინაარსიან, სერიოზულ მოხსენებებს სამეცნიერო წრესა და სტუდენტთა კონფერენციებზე. მას იტაცებდა სხვა ხალხების ლიტერატურაც, კერძოდ – რუსული. ძალიან უყვარდა ალ. ბლოკის პოეზია, ბევრს კითხულობდა ბლოკის შესახებ. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მას ჰქონდა რამდენიმე წინადადება, ემუშავა სხვა დარგში, მაგრამ შურამ არ უღალატა თავის მიზანს და დიდი წარმატებით იკვლევდა ისეთ რთულ საკითხს, როგორიცაა სპარსულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობა.

განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო შურა გვახარია – პედაგოგი, სამეცნიერო ხელმძღვანელი. მას ახასიათებდა განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ახალგაზრდების წინაშე და დიდი ყურადღება, სითბო სტუდენტებისა და ასპირანტებისადმი. ამ მხრივ იგი მზრუნველ მამას გვაგონებდა. ყოველთვის მზად იყო, კონსულტაცია გაეწია ან სახლიდან მოეტანა საჭირო წიგნი, მიუხედავად ასაკისა და არასახარბიელო ჯანმრთელობისა.

ადამიანი ფასდება იმის მიხედვით, თუ რა დატოვა მან. ბ-ნ ალექსანდრეს დარჩა საამაყო ვაჟი, თავისი ძვირფასი ოჯახით; უალრესად მნიშვნელოვანი, დიდი სამეცნიერო მემკვიდრეობა.

თეო ჩხეიძე

اسکندر

შურა ბაბუ

ღლექსანდრე გვახარიაზე ბევრი ითქვა და დაინერა, ბევრიც დაინერება და ითქმება მომავალში. სულ სხვადასხვა ასპექტით წარმოჩინდება თანამედროვეთა და შთამომავლობის წინაშე ეს გამოჩენილი სწავლული, უანგარო სიკეთისა და დიდი ადამიანური სიბოძის მატარებელი ღვთისწიერი კაცი. საუბრის ცალკე თემაა შურა და ბავშვები. ყველამ იცის, როგორ უყვარდა შვილიშვილები, როგორ ევლებოდა თავს მათ. ასევე საყვარელი ბაბუ იყო იგი თავისი მეგობრებისა და ახლობლების შვილებისა და შვილიშვილებისათვის, შესაშური უნარი ჰქონდა, მათთან როგორც დამოუკიდებელ პიროვნებებთან, სავსებით სერიოზული ურთიერთობა დაემყარებინა, მოეპოვებინა მათი ნდობა და სიყვარული. შურა მუდამ ტკბილად მოსაგონარ ადამიანად დარჩება ჩემი შვილიშვილისათვის, რომელსაც ბაბუ შურა ძალიან ანებივრებდა ყურადღებით, მოჰქონდა მასთან ან უფროსების ხელით უგზავნიდა საბავშვო წიგნებსა და ჟურნალებს, სათამაშოებს, არასდროს ავიწყდებოდა დანაპირების შესრულება.

შურას, ამ დიდებული მეცნიერის, უზადო გემოვნების, პოეტური ბუნების კაცის, ერთ-ერთ დიდ გატაცებას „ვეფხისტყაოსანი“ წარმოადგენდა. მისი მრავალრიცხოვანი გამოკვლევები რუსთველოლოგიაში, კერძოდ, „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტოლოგიაში, დაწერილი საკვლევი საკითხის ღრმა ცოდნით, მდიდარი ხატოვანი ენით, რომელიც არასდროს გადადიოდა თვითმიზნურ ფუჭსიტყვაობაში, რუსთველოლოგიის, „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტოლოგიის ოქროს ფონდში დარჩება მარად. მრავალი წელი, რომელიც შურასთან ერთად ვიმუშავე „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენ კომისიაში, ბედნიერი, ამასთან, დანაწიებით, ტკივილით გასახსენებელი წლებია ჩემთვის.

გურამ კარტოზია

ბატონი ალექსანდრეს გახსენება

*დიდსულოვნების საბადო დაშრა,
ალარ ჩანს თვალი პატიოსანი,
მზე ალარ მზეობს, ქარი არ ქარობს,
წვიმა ალარ წვიმს, რა მოუვიდა?
ჰაფეზი**

ჩემთვის ძალიან ძნელია გამოსათხოვარი წერილის დაწერა ალექსანდრე გვახარიაზე, რადგან ის იყო ადამიანი, რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა ჩემზე და მთელს ჩემ ცხოვრებაზე.

მე არ ვაპირებ ამ წერილში ალექსანდრე ბატონი შურა გვახარიას ბიოგრაფია, მიუხედავად იმისა, რომ მან თავისი ცხოვრება თავის ქვეყანას მიუძღვნა და დაუღალავად შრომობდა მომავალი თაობების ღირსეულად აღზრდისათვის. მე მინდა ამ გახსენებით მცირედ მაინც გამოვხატო ჩემი დიდი პატივისცემა და მადლიერება ბატონი შურასადმი იმ დიდ დახმარებისა და სიტბოსათვის, რომელსაც იგი ჩემს მიმართ იჩენდა.

საქართველო, „ვეფხისტყაოსანი“ და ალექსანდრე გვახარია ერთად შემოვიდნენ ჩემს ცხოვრებაში და მთლიანად შეცვალეს იგი. ზედნიერმა შემთხვევამ განაპირობა ის, რომ ირანში წავაწყდი უცხო ენაზე დაწერილ წიგნს, რომელმაც მაშინვე მიიპყრო ჩემი ყურადღება. ეს იყო სკოტ მარჯორი უოდროპის მიერ ინგლისურ ენაზე თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი“. განსაკუთრებით გამიტაცა მისი გმირების სპარსულმა სახელებმა და გადავწყვიტე, ეს წიგნი შემეძინა.

მე ის ორ დღეში წავიკითხე და სადისერტაციო თემად ავირჩიე. ფაქტიურად ამ წიგნმა განსაზღვრა ჩემი შემდგომი ცხოვრების გზა.

დავინყე „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანი სპარსულად (გაშუალებული თარგმანი ინგლისური, არაბული, ტაჯიკური თარგმანების დახმარებით) და ირანში დავიცავი სამაგისტრო ხარისხი. ურთიერთობა დავამყარე საქართველოს საელჩოსთან ირანში და ელჩის – ჯემშიდ გიუნაშვილის ხელშეწყობით გამოვეცი „ვეფხისტყაოსნის“ სპარსული თარგმანი და მივიღე საქართველოს ვიზა.

პირველი, ვისაც საქართველოში შევხვდი და ვესაუბრე, ბატონი ალექსანდრე გახლდათ. მაშინვე მივხვდი, რომ ის იყო პროფესიონალი და უაღრესად დიდბუნებოვანი ადამიანი. მაშინ მე ქართულ

* თარგმანი ვახუშტი კოტეტიშვილისა

ენას არ ვფლობდი და ვინაიდან ბატონი შურა ირანისტი გახლდათ, ხშირად სპარსულად მესაუბრებოდა. ეს ჩემთვის დიდი სიხარული იყო, რადგან მასთან ურთიერთობისას სამშობლოში ვგრძნობდი თავს. მისი რჩევით გადავწყვიტე, რომ ჩემი სადოქტორო დისერტაციის თემა „ვეფხისტყაოსნის“ აღმოსავლური ლექსიკა ყოფილიყო. მისივე დახმარებით დავიწყე ლექციების კითხვა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის სპარსული ფილოლოგიის განყოფილებაზე. მიუხედავად უამრავი საქმისა და საკუთარი პრობლემებისა, ბატონი შურა ყოველთვის პოულობდა ჩემთვის დროს (შაბათობით საგანგებოდ ჩემთვის მოდიოდა ხოლმე კათედრაზე) და ჩემზეც ისევე ზრუნავდა, როგორც სხვებზე.

1999 წლის ზამთარში საქართველოში ვიმყოფებოდი. ვცხოვრობდი უცხოელ სტუდენტთა ქალაქში, სადაც გათბობის ერთადერთი საშუალება ელექტროლუმელი იყო. მაგრამ ელექტროენერგიის უკმარისის გამო მასაც ვერ ვიყენებდი. ბატონი შურას გულისხმიერი დახმარებით გამიუმჯობესდა ცხოვრების პირობები.

2001 წლის ზაფხულში ისევ ჩავედი საქართველოში. მიუხედავად არდადეგებისა, ბატონი ალექსანდრე ჩემ გამო სისტემატურად მოდიოდა უნივერსიტეტში, მეხმარებოდა მუშაობაში, მოჰქონდა წიგნები და მასალები. იგი მამხნევებდა და მაიმედებდა, რომ მე შევძლებდი დისერტაციის დაცვას.

მისი გარდაცვალება არა მარტო ჩემთვის, არამედ მთელი საქართველოსთვის დიდი ტრაგედიაა. მის გასახსენებლად კი დამრჩა მისგან ნაჩუქარი წიგნები. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო გერმანულ ენაზე თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც მისთვის საჭირო წიგნს წარმოადგენდა.

მე ვერ წარმომიდგენია თბილისი და საქართველო ბატონი შურას გარეშე. ჩემთვის ძალიან მძიმე იქნება საქართველოში დაბრუნება, რადგან ბატონი შურას ველარ ვნახავ. თუ ოდესმე დავიცავი დისერტაცია, ეს მის სახელთან იქნება დაკავშირებული. სტუდენტებს არასოდეს დაავიწყდებათ ეს დიდებული ადამიანი, რომელიც, მართალია, აღარ არის, მაგრამ მაინც დარჩება თავისი მრავალფეროვანი შემოქმედებითი მემკვიდრეობით, რომელიც მან მომავალ თაობებს მაგალითად დაუტოვა.

ფარშიდ დელშადი

შურა გვახარიასთან მე ორმოცდათხუთმეტწლიანი მეგობრობა მაკავშირებდა: საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ უგამოცდოდ ჩავირიცხე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე. 1947 წლის 1 სექტემბერს პირველად შევხვდი ჩემს მომავალ თანაკურსელებს; შურა და მე ერთ ჯგუფში – სპარსული ენისა და ლიტერატურის სპეციალობის ჯგუფში აღმოვჩნდით. მალე დავუახლოვდით ერთმანეთს. მაშინვე გავიგეთ, რომ შურა გვახარია ცნობილი პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის აკაკი გვახარია ვაჟი იყო. აკაკი გვახარიას სახელი საშუალო სკოლის პირველი კლასიდანვე ცნობილი გახლდათ: ბატონი აკაკი, ვარლამ ძიძიგურთან ერთად, „დედა-ენის“ ავტორი იყო. სკოლაშივე გავიგეთ, რომ იმ წითელყდიანი წიგნის ერთ-ერთი ავტორი – აკაკი გვახარია 1937 წელს დააპატიმრეს, მალე მის გზას გაუყენეს მეუღლეც, ასე რომ, 8 წლის შურა მშობლების გარეშე დარჩა. მისი მეურვეობა მამიდამ იკისრა (საბედნიეროდ, დედა გადასახლებიდან დაბრუნდა).

შურა ხშირად იგონებდა იმ კეთილ ადამიანებს, რომლებიც მას მშობლების რეპრესიებით მიყენებულ ტრამვას უმსუბუქებდნენ. იგი სკოლის მასწავლებლებიდან განსაკუთრებით ხშირად ახსენებდა ქალბატონ ბაბო მჭედლიძეს – ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს, სკოლის ბიბლიოთეკის გამგეს – მსახიობ კოტე მახარაძის დედას (სამწუხაროდ, სახელი აღარ მახსოვს), თანაკლასელის ვახტანგ ყავლაშვილის ღვთისნიერ მშობლებს და სხვ.

ჩვენს შორის შურა გამოირჩეოდა თავისი ერუდიციით, სიბეჯითით და ამიტომ მან მალევე მიიპყრო პროფესორ-მასწავლებელთა ყურადღება; სტუდენტობის წლებიდანვე და შემდეგაც იგი დაიახლოვეს პროფესორებმა დავით კობიძემ, ვლადიმერ ფუთურიძემ, განსაკუთრებით კი აკადემიკოსმა ალექსანდრე ბარამიძემ.

უნივერსიტეტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ (1952 წ.) შურა გვახარიამ წარმატებით ჩააბარა გამოცდები ასპირანტურაში, მაგრამ ავბედითმა „ხალხის მტრის“ შვილის იარლიყმა ხელი შეუშალა მის ჩარიცხვას ასპირანტურაში. უნივერსიტეტის მაშინდელი რექტორი, აკადემიკოსი ნიკო კეცხოველი არ შეუშინდა „ხალხის მტრის“ შვილის ოჯახის წევრის პატრონობის ბრალდებას და შურა გვახარია ირანული ფილოლოგიის კაბინეტის ლაბორანტად მიიღო. ასეთი ბრალდება შესაძლებელი იყო მისთვის

ნაეყენებინათ. ასეთი რამ მაშინ ხშირად ხდებოდა: მაგალითად, „ენიმიკის“ დირექტორს, აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას ბრალად დასდეს 1937 წელს რეპრესირებულთა ოჯახის წევრების მფარველობა.

ამავე დროს შურას მფარველად მოეწვინა აკადემიკოსი ვარლამ თოფური, რომელმაც იგი ჩართო ქართული განმარტებითი ლექსიკონისათვის სიტყვანის შედგენის სამუშაოში.

შურა ჩვეული მუყაითობით მუშაობდა: ლაბორანტობის პერიოდში ჩააბარა საკანდიდატო მინიმუმი, გამოაქვეყნა რამდენიმე ნაშრომი, წარმატებით დაიცვა საკანდიდატო, სადოქტორო დისერტაციები, კითხულობდა ლექციებს უნივერსიტეტში, ატარებდა სპეცსემინარებს, მუშაობდა რუსთაველის კომისიაში, ხელმძღვანელობდა სტუდენტთა საკურსო და სადიპლომო ნაშრომებს, ხშირად მონაწილეობდა რესპუბლიკურ და საერთაშორისო სიმპოზიუმებსა და კონფერენციებში. პროფესორ მაგალი თოდუასთან ერთად მონაწილეობდა სპარსული „ვისრამიანის“ აკადემიური ტექსტის დადგენაში. მისი სახელი, როგორც ნიჭიერი ირანისტისა, გასცდა საქართველოს ფარგლებს (იცნობდნენ ირანში, უზბეკეთში, აზერბაიჯანში, მოსკოვში, პეტერბურგში. აღსანიშნავია, რომ გამოჩენილ რუს მეცნიერებთან ერთად მას მიმოწერა და ერთგვარი მეგობრული ურთიერთობაც ჰქონდა დიმიტრი ლიხაჩოვთან, ბოლდირევთან, ბოგოლიუბოვთან, აკიმუშკინთან და სხვებთან).

შურა სადაც არ უნდა ყოფილიყო, სადაც კი მუშაობდა, გამოავლენდა თავის ძირითად თვისებას: სიკეთეს, კაცთმოყვარეობას; მისთვის სასიცოცხლო მოთხოვნილება იყო გაჭირვებული სათვის დახმარების გაწევა. საყოველთაოდ ცნობილია, თუ როგორ ეხმარებოდა მატერიალურად და მორალური თანადგომით ცნობილი ირანისტის, პროფესორ იური მარის მარტოხელა ქვრივს სოფიო მარს. აღსანიშნავია, რომ იგი თავსდატეხილმა უბედურებამ – პატარა ქალიშვილისა და უახლოესი მეგობრისა და მეუღლის დაკარგვამ არ გააბოროტა, პირიქით, კიდევ უფრო რბილი და მიმტევებელი გახადა.

შურას უამრავი მეგობარი ჰყავდა: სკოლისა და უნივერსიტეტის ამხანაგები, კოლეგები, ისტორიკოსები, ლიტერატორები, აღმოსავლეთმცოდნეები, დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის სპეციალისტები და სხვ.

იგი რამდენიმე სამეცნიერო საბჭოს წევრი გახლდათ. იყო უნივერსიტეტის შრომების „აღმოსავლეთმცოდნეობის“ მთავარი რედაქტორი, ჟურნალ „მაცნეს“ ენისა და ლიტერატურის სერიის მთავარი რედაქტორის მოადგილე. იგი ამ თანამდებობებს იყენებდა


ახალგაზრდა ავტორების ხელის შესანყობად: უბეჭდავდა დისერტაციის დაცვისათვის აუცილებელ სტატიებს. მას ახარებდა ახალგაზრდების წარმატება.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ალექსანდრე გვახარია – პედაგოგი და ახალგაზრდების აღმზრდელი: იგი ჭეშმარიტად მამობრივი მზრუნველობით თავს დასტრიალებდა როგორც სტუდენტებს, ასევე ასპირანტებს.

აი, ასეთი კაცი გამოგვეცალა ხელიდან! შურა გვახარიას გარდაცვალება მართლაც რომ ძნელად ასანაზღაურებელი დანაკლისია.

მშვიდობით ჩემო ნახევარსაუკუნოვანო მეგობარო! მშვიდობით ჩემო შურა! არ დაგივინყებთ!

დევი კაციტაძე



მაშინ კი სავსებით ნათელი იქნება

○ შვიათია, თანამედროვეთა ალიარებით რომ სარგებლობდეს ისეთი მოღვაწე, ისეთი მეცნიერი, როგორიც იყო ბატონი ალექსანდრე გვახარია. როგორც წესი, ასეთი პიროვნებების ფასი მხოლოდ ქართული კულტურის ინტერესებით მცხოვრებ ადამიანთა ვინაობა წრეს აქვს გაცნობიერებული. ამიტომაც ყოველთვის დაგვიანებული აღმოჩნდება ხოლმე საზოგადოების შეშფოთება: რა მწერალი დავკარგეთ! როგორი მეცნიერი გამოგვაკლდა! ეს რა მოღვაწე გვყოლია და ა.შ.

დროა, დაეფიქრდეთ და გავაცნობიეროთ: ვის ხელშია საზოგადოებრივი აზრის ფორმირება, ვის უსმენს დღევანდელი საქართველო, ვის ვხედავთ ყოველდღიურად ტელეეკრანებზე მაშინ, როდესაც უჩუმრად ასრულებს სიცოცხლეს ისეთი მკვლევარი და მოაზროვნე, როგორიც ბატონი შურა იყო.

გაუა დრო და მის ლექციებს ისევე გაიხსენებენ მისი სტუდენტები, როგორც დღეს გვიყვებიან შალვა ნუცუბიძის, ივანე ჯავახიშვილის, გრიგოლ წერეთლის თუ სხვათა შესახებ. მის წიგნებსა და გამოკვლევებზე კი თაობები გაიზრდება, თუკი კიდევ აქვს ფილოლოგიურ მეცნიერებას რალაც მომავალი ამ ქვეყანაში.

მაგრამ ყველაზე არსებითი და მნიშვნელოვანი ალბათ მაინც ის არის, რომ ზნეობრივი დეფიციტის ამ საშინელ ხანაში ჩვენს ერს კიდევ ერთი ისეთი პიროვნება დააკლდა, რომლის არსებობაც კი თავისებური შველა და გადარჩენა იყო სულის შემსუთველ რეალობაში; იმ რეალობაში, სადაც ადამიანებს უკვე მხოლოდ თანამედრობის, მდგომარეობისა თუ რალაც მატერიალური ნიშნით აფასებენ, პატივს სცემენ, უსმენენ და რჩევასაც ეკითხებიან; იმ რეალობაში, სადაც მასკულტურა წალეკავს მალე წიგნის ბაზარსაც და ტელევიზიასაც; სადაც უკვე საშინელი ეჭვი გიპყრობს: სჭირდება კი ვინმეს ბრწყინვალე ქართულით დაწერილი დიდებული გამოკვლევები „ვისრამიანზე“, საქართველოს კულტურის ოქროს ხანაზე, აღმოსავლური (ირანული) და ქართული მწერლობის ურთიერთკავშირზე?

ნუთუ მართლაც ისეთი დრო მოდის, როცა მტვრით დაიფარება შესანიშნავ ქართველ მოღვაწეთა წიგნები, მეცნიერული გამოკვლევები? ის დრო, როდესაც საზოგადოება გულგრილად შეხედება ან ვერ გავაცნობიერებს, რომ ჩვენს ერს დიდი პიროვნება დააკლდა – თითქოს თავისთვის, არავინ რომ არ შეენუხებინა, ისე მიიცვალა აკადემიკოსი ალექსანდრე გვახარია, ზნეობრივი მაგალითი ჩვენი ახალგაზრდობისათვის (მაგრამ აცნობიერებს კი

მომავალი თაობა, როგორი პიროვნება დააკლდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, მთელ ჩვენს საზოგადოებას?).

ხდება ხოლმე, რომ ერთი შეხვედრა, ადამიანის ერთი გულთბილი ღიმილი და გულწრფელი მოკითხვა ყოველგვარ უსიამოვნებას გადაგავიწყებს და ენით გამოუთქმელი სიტბოთი აგავსებს, თითქოს მის ღიმილთან ერთად მისი სიკეთე გადმოიღვარა შენ არსებაში. ასეთი შეხვედრა იცოდა ბატონმა შურამ – თითქოს პატარა, – დაუვინყარ დღესასწაულს გაჩუქებდა; რაც არ უნდა ცუდ ხასიათზე ყოფილიყავი, გულზე მოგეშვებოდა, იგრძნობდი, რომ ამოებათა ამოებაა ის წვრილმანი მატერიალური საზრუნავი, ყოველდღიურად რომ გიბურღავს ტვინს და ამასზე ბევრად უფრო მაღალი, ბევრად უფრო არსებითი სულიერი ფასეულობები არსებობს; ამ ქალაქში ცხოვრობენ შენს გვერდით, უხმაუროდ და წყნარად ზნეობრივად ნათელი, მორალურად წმინდა ადამიანები.

ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი თვისება აქვთ ბატონი შურას თაობის საუკეთესო წარმომადგენლებს: ისეთი ყურადღებით უსმენენ ხოლმე მათზე ბევრად ახალგაზრდა და გამოუცდელ მკვლევართ, თითქოს სწორედ მათგან აქვთ ჭეშმარიტების შეტყობის იმედი. განსაცვიფრებელი ტოლერანტობა და სხვისი აზრის შემწყნარებლობა თავის თაობაშიც კი გამოარჩევდა ბატონ ალექსანდრე გვახარიას. ეს არ იყო მოჩვენებითი გულისხმიერება: ეს იყო სხვისი სიკეთის დანახვის, სხვისი ღირსების აღმოჩენის სულიერი მოთხოვნილება.

რაც დრო გადის, მით უფრო ვრწმუნდებით: ძალიან ძლიერი თაობა ჰყოლია ქართულ მეცნიერებას და თანდათან ცარიელდება სამოღვაწეო ასპარეზი, მათი შემცვლელი კი (ნუ მოვიტყუებთ თავს), სამწუხაროდ, არ ჩანს.

ცხადია, არა იმიტომ, რომ განათლებული ადამიანი არ ეყოლება ქვეყანას. უბრალოდ, ამ თაობას სხვაგვარი ზნეობრივი სიმაღლე და სხვაგვარი პრინციპულობა ახასიათებდა. რა თქმა უნდა, მომავალი თაობებისთვის არანაირი ღირებულება არ ექნება XX საუკუნის საქართველოს მრავალი პოლიტიკანის ნამოქმედარს. ყოველივე ფასეული და ღირებული კი, რაც ქართულ კულტურასა და მეცნიერებაში შეიქმნა, იმედია, ისევე დარჩება, როგორც წინა საუკუნეების მონაპოვარი.

მაშინ კი სავსებით ნათელი იქნება, თუ რა დანაკლისი იყო ჩვენთვის ბატონი ალექსანდრეს გარდაცვალება.

განათლების სისტემის სარეფორმო ჯგუფი

ის ჩვენი დიდი იმედი იყო

რა ბანალურად ჟღერს ყოველი სიტყვა:

ის დიდი მეცნიერი იყო: ბრწყინვალე ფილოლოგი, ირანული ლიტერატურისა და საერთოდ აღმოსავლური კულტურის უბადლო მცოდნე, უაღრესად დახვეწილი გემოვნების ლიტერატორი, ყველასათვის საყვარელი ლექტორი და ჩვენი კულტურის დიდი მოამბე...

ის შესანიშნავი ადამიანი იყო: საოცრად თავმდაბალი და კეთილგანწყობილი, ყოველგვარი ამბიციებისგან თავისუფალი, სანიმუშო კოლეგიალობით გამორჩეული... თითქოს სიკეთესა და სიყვარულს ასხივებდა მისი თბილი, მეგობრული ღიმილი; არასოდეს წუნუნებდა, არაფერს იტყოდა თავის პრობლემებზე, სატიკვარზე, სხვის გასამხნევებლად თუ თანაგრძნობისათვის კი მუდამ ყოფნიდა დროცა და ძალაც...

რამდენიც არ უნდა წერო, პირველი წაკითხვისთანავე მიხვდები – არა, ეს სულ გაცვეთილი ფიქრებია, ეს ყველაფერი ბანალურია. ასე ვერც იმას გადმოსცემ, თუ რა მასშტაბის ფიგურა იყო აკადემიკოსი ალექსანდრე გვახარია და ვერც იმ ტიკვილს გამოხატავ, მისმა გარდაცვალებამ რომ გამოიწვია, თავზარი დაგვცა.

ის ჩვენი დიდი იმედი იყო.

გაცხარებული, თითქოსდა დაუშთავრებელი კამათი რომ გაიწვლებოდა, არაერთხელ ვუხსნივართ ფრაზას: „შურა გვახარიას ვკითხოთ“. როგორც კი ჩვენი საზოგადოების საუკეთესო წარმომადგენელთა შეკრების აუცილებლობა ჩნდებოდა, იმათ შორის, ვისთვისაც რჩევა უნდა გვეთხოვა ან რაიმე მნიშვნელოვანი საკითხი შეგვეთანხმებინა, ერთ-ერთი პირველთაგანი მუდამ ალექსანდრე გვახარია იყო.

როდესაც სარეფორმო ჯგუფის წევრთა ანტიეროვნულობის მტკიცება ძალზე პოპულარული გახდა და, ვისაც არ ეზარებოდა, ყველამ მორალი წაგვიკითხა (თუ როგორ უნდა გვიყვარდეს სამშობლო, საკუთარი მამა ან დედა და ა.შ), ისევ ბატონ ალექსანდრეს მივმართეთ (ამ შეხვედრას საპატრიარქოს წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ).

მაშინ ვინ იფიქრებდა, რომ ეს ჩვენი უკანასკნელი შეხვედრა იყო. თუნდაც მარტო იმიტომ ღირდა იმ ლანძღვის მოსმენა, რაც მაშინ თავს დაგვატყდა, რომ ბატონ შურას თანადგომისა და მხარდაჭერის ფასი გვეგრძნო. რა უნდა იყოს იმაზე მნიშვნელოვანი, კრიტიკულ მომენტში რომ ესოდენ ღირსეული ადამიანის



კეთილმოსურნეობა

დღევანდრე გვახარიათ გამოარჩევედა ორგანული სისადავე, რომელიც ბუნებრივად ერწყმოდა მის დახვეწილობას, უფრო ზუსტად, მისი სისადავე დახვეწილობის ბუნებრივი გამოვლინება იყო. ამ ღრმა ბუნების, მოაზროვნე ადამიანისათვის სრულიად უცხო იყო ცრუსერიოზულობა, ფუყე პათოსი და რიტორიკა. მისი ფაქიზი გემოვნება ვერ ეგუებოდა პრიმიტიული შინაარსის და იერის მქონე ქედმაღლობას, პრეტენზიულობას, ამგვარი მოვლენების მიმართ მას ირონიული დამოკიდებულება ჰქონდა, თუმცა ირონიას მკვეთრად არ ავლენდა.

ბატონ შურას გააჩნდა იშვიათი უნარი, სულ ადვილად გაერჩია სუროგატები ნამდვილი კულტურული ფასეულობებისგან, რომელთა მიმართ ახალგაზრდულად მძაფრი ინტერესი არასდროს განელებია. მას მუდამ იზიდავდა სიახლე, ის, რაც განვითარების, პროგრესის პოტენციის შემცველია, რადგან უყვარდა სიცოცხლე, რომელიც წარმოუდგენელია ცვლილებების, ტრანსფორმაციის გარეშე.

ბატონი შურა იყო „დემოკრატიამდელი დემოკრატი“, ანუ ბუნებით დემოკრატი, ყოველგვარი დოგმებისა და ცრურწმენებისაგან, აგრესიულობისგან თავისუფალი ადამიანი, რომლისთვისაც თვალსაზრისითა სიმრავლე, მრავალფეროვნება უბრალოდ მისაღები რამ კი არ არის, არამედ ერთ-ერთია იმ ფენომენთაგან, რომლებიც ადამიანთა ცხოვრებას საინტერესოს და ფასეულს ხდის. არსებობს მშვენიერი ქართული სიტყვა „კეთილმოსურნეობა“ და ეს სიტყვა ძალიან უხდება ბატონ შურას, ზუსტად გამოსატყვის მის ძირეულ მიმართებას სამყაროსადმი, ადამიანებისადმი. მისი კეთილმოსურნეობა, რომელიც ჩვენც ხშირად გვიგრძენია, ძალიან დაგვაკლდება...

თამაზ ვასაძე, ნანა ლოლაძე, გიორგი მაჭავარიანი

მისი უკანასკნელი მეცნიერული გატაცება

წუხილსა და ტკივილიან განცდებში მიილია შენი სამზეოდან წასვლის 40 დღე... შენი ნათელმოსილი სული ტოვებს ცოდვილ დედამინას და ზეციურის, მარადიულის ბინადარი ხდება.

ბატონო შურა, ჩვენო შურა, სიკვდილმა მყისიერად ამოზიდა ჩვენს ქვეცნობიერში უკვე მზამზარეულად არსებული შენი ნამდვილი სახეა, რომლის სიკეთეს ჩვენ ყოველდღიურობაში ვგრძნობდით, მადლიერებით აღსავსენი. ამ საზარელმა ფაქტმა ერთბაშად გაგვიცნობიერა, რომ დავკარგეთ პიროვნება, რომელშიც ჰარმონიულად შერწყმული იყო დიდი ადამიანი და დიდი მეცნიერი. შენთა მსგავსთ ღმერთი დროდადრო მოუვლენს ხოლმე ადამიანებს, რათა ისინი ჩასწვდნენ ცხოვრების ჭეშმარიტ საზრისს, გათავისუფლდნენ ცრუ საზრისებისგან.

შენი გარდაცვალება საერთო გლოვად იქცა. ყველა ჭირისუფალი იყო, ურთიერთს ვუსამძიმრებდით, თანაგრძნობას ვუცხადებდით.

შენი სულიერი მზერა მუდამ სხვისაკენ იყო მიმართული, სხვაზე ზრუნავდი, სხვას მფარველობდი, სიტბოს ახსივებდი. დღევანდელ სულიერად გაუდაბნოებულ ქართულ სივრცეში ოაზისს ქმნიდი, სადაც სულს ვიბრუნებდით, მოსაწყენ ყოველდღიურობას განრიდებულნი. შემოქმედებითობა, ადამიანობის ეს უმაღლესი მაჩვენებელი, შენი მიუცილებელი თვისება იყო. სარტრის მიხედვით, ამ უნარს დღენიადაგ უნდა იყენებდეს ადამიანი საკუთარი თავის ახლებურად გარდასაქმნელად, რათა არ ჩამორჩეს და მოსაწყენი არ გახდეს. ამგვარი სასიკეთო სიახლეებით საკუთარი თავის გაჯერება აფერმკრთალებს დაპირისპირებას თაობათა შორის, აახლოებს მათ. კეთილ სიახლეთა გათავისება შენი სულის თვისება იყო. ამიტომ ურთიერთობდი ახალგაზრდებთან ასე ადვილად, სრულყოფილად ფლობდი ახალგაზრდობის – ამ დაუდულარი მაჭრის, პოლიფონიურ ენას.

მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ყველაფერი წარსულში იყო...

დღეს კი შენი ახლობლები, შენი კოლეგები უშენობის სასტიკ რეალობასთან შეგუებას ისევ შენი პიროვნების გახსენებით ვცდილობთ. შენ ხომ სულიერი მხნეობის, სულიერი სიმამაცის ნათელ მაგალითს იძლეოდი. მძიმე ბედისწერის განჩინებამ მთელი ცხოვრების მანძილზე ვერ ჩაკლა შენში სიცოცხლის ხალისი და სიყვარული. შეიძლება ითქვას, რომ შენი ესოდენ წარმატებული მეცნიერული მოღვაწეობა შენი დიდი ადამიანობით იყო ხელდასხმული.

ამ დიდ დღეს, რრდესაც შურა გვახარია სული ზეციური საუფლოსაჲენ მიემართება, არ შემოძლია „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის სახელით მადლიერების სიტყვა არ დავესაგზოო იმ დიდი ღვაწლისა და ტიტანური შრომის გამო, რომელიც მან რუსთველის პოემის აკადემიური ტექსტის დადგენისათვის გასწია, რაც, შესაძლოა, ფართო საზოგადოებისთვის ნაკლებადაა ცნობილი. „ვეფხისტყაოსნის“ პრობლემატიკა მის სამეცნიერო თემატიკაში სტრუქტურის წლებიდანვე შემოდიოდა, ბევრი რუსთველოლოგიური შრომის ავტორია, მაგრამ რუსთველის ტექსტის დამდგენ კომისიაში მოსვლით მის კვლევას რუსთველოლოგიაში მიეცა მიზანმიმართული, სისტემური ხასიათი. მისი არსება მთლიანად მოიცვა „ვეფხისტყაოსანმა“. რაღაც საოცარი გზებით და გატაცებით იკვლევდა ტექსტს. ამისთვის მას უმდიდრესი მეცნიერული აპარატი გააჩნდა – დიდი განათლება, ერუდიცია, ფართო თვალსაწერი, მაღალი პროფესიონალიზმი, აღმოსავლური (არაბულ-სპარსული) ენების და მწერლობის, ძველი ქართული ლიტერატურის, პოეტიკის საკითხების საფუძვლიანი ცოდნა, დიდი გამოცდილება ტექსტოლოგიასა და ლექსიკოლოგია-ლექსიკოგრაფიაში, აღმოსავლური სიტყვების ეტიმოლოგიათა ძიებებში. ამ თვალსაზრისით, ბატონი შურა გვახარია მთავარი სარედაქციო კომისიის შეუცვლელი წევრი იყო მთელი სამი ათეული წლის განმავლობაში. ყოველივე ზემოთქმულს ავსებდა მისი საოცარი შრომისმოყვარეობა, მაღალი ესთეტიკით აღბეჭდილი. შესაშური კეთილსინდისიერებით ამუშავებდა და ინიშნავდა რეგულაბში მკვლევართა მოსაზრებებს ამა თუ იმ სიტყვასა და გამოთქმაზე, მათ ხელნაწერულ ვარიანტებს, ერთმანეთს უჯერებდა და საკუთარ განსხვავებულ მოსაზრებებსაც აფიქსირებდა. ასეთი აკურატულობით შესრულებული მზამზარეული ჩანაწერები წაადგება რედაქციას მომავალ მუშაობაში. მისთვის კარგად იყო ცნობილი „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დასადგენად და პოემის მეცნიერული შესწავლისათვის აკად. გიორგი წერეთლის მიერ შემუშავებული მკაცრი და მრავლისმომცველი პრინციპები, რომლებიც უაღრესად სკრუპულოზურ შრომას მოითხოვდა. ერთი დიდი სირთულე და წინაღობა, რომელიც მთელი ტექსტის მანძილზე გასდევს პოემას, ის არის, რომ „ვეფხისტყაოსნის“ შემცველი ხელნაწერები დიდი ინტერვალით, დაახლოებით ხუთი საუკუნით არის დაშორებული პოემის შექმნის დროსთან. აკადემიური ტექსტის დადგენის ძირითადი მიზანი იყო ისეთი ტექსტის მომზადება, რომელიც მაქსიმალურად ახლოს იქნებოდა

რუსთველის ხელიდან გამოსულ პოემასთან. შურა გვახარიას კარგად ესმოდა ამ საქმის დიდი ეროვნული და მეცნიერული ღირებულება. ამას თან ერთვოდა მისი ირაციონალური, ინტუიტიური ხედვითა თუ ჭკრეკით დანახული რუსთველის სამყარო. ამიტომ არა შიშითა და ყოყმანით, არამედ დიდი ინტერესითა და ერთუზიაზმით შეუდგა მისთვის სათაყვანებელი პოემის ტექსტზე მუშაობას. მას, როგორც რედაქციის წევრს, საგანგებოდ დაევალა პოემაში შესული აღმოსავლური მასალის – აღმოსავლური (არაბულ-სპარსული) ლექსიკის, გამოთქმებისა და მხატვრული სახეების ახსნა-კომენტირება. უმოკლეს ვადაში გაასრულა ეს ურთულესი სამუშაო (და მაღლობა უფაღს, რომ ასე მოხდა...), დაგვიტოვა აღმოსავლური მასალის ვრცელი კომენტარები, განმარტებები, რიგ სიტყვათა ეტიმოლოგიები, არაბულ-სპარსული მეტაფორული გამოთქმების ტექსტოლოგიურ-ლიტერატურული პარალელები. მაგრამ მისი მუშაობა სარედაქციო კოლეგიაში ამით არ ამოიწურებოდა. იგი მთლიანად იყო ჩართული ტექსტის დადგენის საქმეში. წინასწარ ამზადებდა იმ სტროფების მასალას, რომელიც სხდომაზე უნდა განხილულიყო. ეს ნიშნავს: იგი მთელი გულისყურით ეცნობოდა ცალკეული სტროფების, ტაეპების, სიტყვებისა თუ გამოთქმების შესახებ არსებულ დიდძალ ლიტერატურას, ხელნაწერთა ვარიანტებს.

შრომა მომქანცავი იყო, მაგრამ ვერ გრძნობდა, შედეგი – უაღრესად მნიშვნელოვანი. რედაქციის სხდომებზე მოჰქონდა მისეული ახალი გაგება სიტყვებისა, გამოთქმებისა, მონუსხულობით ვუსმენდით. ცხადია, იმართებოდა პაექრობები. სამაგალითო მოკამათე იყო, ბოლომდე ეცდებოდა თავისი აზრი დაესაბუთებინა, მაგრამ თუ კამათი მაღალ რეგისტრში გადადიოდა, უმალ უკან იხევდა, წყვეტდა კამათს. თითქოს ახლაც ჩამესმის მისი ნათქვამი – „ჰო, კარგი, კარგი, დავბეჭდოთ, გამოვაქვეყნოთ და მკითხველმა განსაჯოს“.

ასე შეიქმნა მისი საყურადღებო წერილები, გამოკვლევები, გაჩნდა ნაკითხვათა ახლებური განმარტებები, დაზუსტდა, ან მეტი საბუთიანობა მიეცა უკვე არსებულს. დავასახელებთ მხოლოდ რამდენიმე მათგანს: ბროლბალახშრეული (ბროლისა და ბალახშის ნაზავი) და არა ბროლბალახშეული, როგორც აქამდე იყო ცნობილი. დოსტაქანი – ლეინის სასმისი, ფიალა, თასი; მაზრები – საომარი ნაგებობა; დარიჯაგი – სათვალთვალო, საყარაულო სარკმელი; ნაღები – გამჭოლი ჭრილობა... განსაკუთრებით გონებამახვილური იყო „არ ნაღების“ განმარტება („წყლული მაჩნდის არ ნაღებად“). ბევრი ცნობილი რუსთველოლოგის კალამი შეაცვდა ამ სიტყვის მართლწერისა და სემანტიკის დადგენას. არავის უფიქრია, რომ ის

სპარსული გზით შემოსული სიტყვა იყო. ასევე გაირკვა „ეზარდებოდა“ („მას ფერი ეზარდებოდა“) სიტყვის სპარსული წარმომავლობა მნიშვნელობით: ყვითლდებოდა, ფერს კარგავდა. მეტაფორაში „ნაზარდი სოსანი“, რომელიც ავთანდილს მიემართება, სოსანი ერთმნიშვნელოვნად გაგებული იყო შროშანის, ანუ ყვავილის მნიშვნელობით. შურა გვახარიათ გამოავლინა მისი მეორე გაგება – აღნიშნავს „ნაძვს“ და მეტაფორაც გაიხსნა ახლებურად – ავთანდილის მაღალი, აზიდული ტანი. და სხვა მრავალი...

ტექსტოლოგიური კვლევის პარალელურად იგი პოემის თეორიულ საკითხებსაც იკვლევდა.

ასე იზადებოდა ჩვენს თვალწინ, რედაქციის სხდომებზე, მისი საუკეთესო გამოკვლევები, რომელთაც შემდეგ გზადაგზა ბეჭდავდა, მაგრამ ბევრიც გამოსაქვეყნებელი შემორჩა მის არქივს.

მისი უკანასკნელი მეცნიერული გატაცება „ვეფხისტყაოსანი“ იყო. იმ საბედისწერო ღამესაც, ალბათ, „ვეფხისტყაოსნით“ იყო მოცული მისი გონება. მეორე დღეს მის მიერვე დანიშნული სარედაქციო სხდომა უნდა შემდგარიყო. ამჯერად რედაქცია ორ გამოცემაზე მუშაობდა: გრძელდებოდა აკადემიური ტექსტის მომზადება და მეორე – საბოლოო რედაქტირებას გადიოდა უკვე მომზადებული პოპულარული გამოცემა კომენტარებითა და ლექსიკონით. გვაჩქარებდა და ჩქარობდა. უნდოდა, მთლიანად დახარჯულიყო „ვეფხისტყაოსნისათვის“. თითქოს რაღაცას გრძნობდა მისი უცთომელი გუმანი, მაგრამ სიკვდილი მაინც მოულოდნელად წამოენია...

სხდომაზე დაგვიანება ან გაცდენა არ სჩვეოდა. ჩვენ კი თურმე ამოდ ველოდით...

„ასეთი ბრძენის სიკვდილი, პატარა საქმე არ არის“ (რუდაქი).

თინათინ ცქიტიშვილი

გოაჩარია

გული და ხელები

... Умер теперь. Навек.

- Плачьте о мертвом ангеле!

Марина Цветаева

მ რომოცი დღე გავიდა ბატონი ალექსანდრე გვახარიას გარდაცვალებიდან. რომოცი დღეა, მის გარეშე ცხოვრებას ვცდილობთ. ბატონი ალექსანდრეს წასვლა ის “უსასო ტკივილია”, რომელსაც დრო ვერ განკურნავს. დროს ერთი რამ შეუძლია მხოლოდ — გვასწავლოს, როგორ ვიცხოვროთ ამ ტკივილთან ერთად. საჯაროდ სულიერ ტკივილზე ვერ ილაპარაკებ, იქნებ არც აქვს აზრი ბატონი ალექსანდრეს შესახებ წერას, რადგან ვინც მას პირადად იცნობდა, ახსნა არ სჭირდება, ხოლო ვისაც ეს ბედნიერება არ ღირსებია, როგორც არ უნდა აუხსნა, ვერ შეძლებს, სრულად გაიაზროს, რაოდენ არაჩვეულებრივი ადამიანი გახლდათ ალექსანდრე გვახარია. სხვათა მისამართით ერთხელ უკვე გამოყენებული ვერც ერთი სიტყვა, ვერც ერთი ეპითეტი ველარ იკმარებს მისი დაუჯერებელი კეთილშობილების დასახასიათებლად. ამიტომ მაღიზიანებს სანუგეშოდ თქმული “როცა ასეთი ადამიანები მიდიან ჩვენგან...”. „ასეთი“ მხოლოდ ალექსანდრე გვახარია იყო. ძალიან ბუნებრივად ჟღერდა მისი მეგობრების, სტუდენტების, კოლეგებისა და ნაცნობებისგან ნათქვამი ფრაზა: “ჩემს სიცოცხლეში ასეთი კაცის მნახველი არ ვარ”. მწარე სიმართლე აღმოჩნდა ქალბატონი ირინე გოცირიძის შენიშვნაც “ყველას თავისი ბატონი შურა მოუკვდა”-ო. ყოველ ჩვენგანს ეგონა, ბატონ ალექსანდრეს, ყველას მიმართ ასეთილსა და ყურადღებიანს, მუდამ ყველაზე მზრუნველს, მაინც ის უყვარდა გამორჩეულად. როცა მისი გარდაცვალების ამბავი შევიტყვეთ, თითოეულმა ჩვენგანმა თავი უპირველეს ყირისუფლად იგრძნო. ეს მხოლოდ მასწავლებლის, მეგობრის თუ ახლობლის დაკარგვით გამოწვეულ ტკივილს არ ჰგავდა. ბატონი ალექსანდრე ადამიანურობის, კეთილშობილების, სიკეთისა და სულგანძელობის, პატიოსანების განსახიერება გახლდათ. ადამიანები ცხოვრების გზაზე თანდათან გარკვეულ ზნეობრივ პრინციპებს ვთმობთ, ზოგი მეტად, ზოგი — ნაკლებად, არცთუ იშვიათად კომპრომისზე წასვლა გვიხდება, რასაც ნუთისოფლის გაუტანლობით, გამოუვალი მდგომარეობით თუ სხვა რამ მიზეზით ვხსნი. ბატონ ალექსანდრეს ბედმა გაცილებით მძიმე ცხოვრება და უფრო მეტი ტკივილი არგუნა, მაგრამ მას ღირსება, პატიოსნება, სინდისი, კეთილშობილება და ადამიანის სიყვარულის უნარი არ დაუკარგავს. ჩვენ, ვინც ეს ვერ შევძელით, ბატონ

ალექსანდრეში ჩვენი “შესაძლო” თუ “განუხორციელებელი მე” – ან უკვე მიუწვდომელი ადამიანური იდეალიც გვიყვარდა. მან თავისი ცხოვრებით დაამტკიცა, რომ შეიძლება გაუძლო გამოცდას, იცხოვრო სახარებისეული იდეალებით. მუდამ სხვაზე მზრუნველს ყველა ახსოვდა, საკუთარი თავის გარდა. თითქოს ამ ადამიანს დილა იმისთვის უთენდებოდა, რომ სხვათა საქმეები მოეგვარებინა, ერთისთვის ხელი მოემართა, მეორისათვის რჩევა მიეცა, ავადმყოფი მოენახულებინა. ბატონი ალექსანდრე ერთნაირი შემართებითა და უშურველობით იხარჯებოდა სხვებზე ზრუნვისას და ამ დროს ცნობილ პიროვნებას ახალგაზრდა სტუდენტთან შედარებით არანაირი უპირატესობა არ ჰქონია. ბატონი შურასთვის მთავარი ადამიანი და მისი სატკივარი გახლდათ. ადამიანებში მხოლოდ ღირსებას და დადებით თვისებებს ეძებდა და ყოველთვის პოულობდა. ამიტომ იყო მისი ყოველი სიტყვა, წერილი თუ მოგონება განსხვავებული, ყოველთვის გულწრფელი. აღარაფერს ვიტყვი ბატონი ალექსანდრე გვახარიათ ნაშრომებზე, რომელთაც არა მარტო მაღალი მეცნიერული დონე, არაჩვეულებრივი ერუდიცია და სიღრმე გამოარჩევთ, არამედ ამგვარი ლიტერატურისათვის უჩვეულო უშუალობაც. როცა მის ნაშრომებს კითხულობ, იმდენად კარგად ჩანს პიროვნება, რომ რამდენიმე ფურცლის ნაკითხვის შემდეგ ძალაუნებურად ტექსტი ცოცხლდება და ბატონი ალექსანდრეს თბილი ხმა ღინჯად გაიშობს იმას, რასაც თვალები კითხულობენ. ამიტომაც მიყვარს მისი წიგნების კითხვა — ისინი ბატონი შურას სიახლოვეს განმაცდევინებენ. ერთი რამ მადარდებს ძალიან: არაერთი თაობა გაეცნობა ბატონ ალექსანდრეს მეცნიერულ მემკვიდრეობას და აღიზრდება მის შრომებზე, მაგრამ როგორ გადავცეთ მათ ბატონი შურას სიკეთე, რომელსაც ასხივებდნენ მისი თვალები, ბავშვური უმანკოება რომ შეინარჩუნეს, ან გულის სითბო, რომელსაც მისი ხელები გვაგრძნობინებდნენ?!

ბატონი ალექსანდრე მისი ხასიათისათვის ჩვეულებრივად — უხმაუროდ და ჩუმად დაგვმორდა, სცადა, არაეინ შეენუხებინა, მაგრამ ალბათ არ უფიქრია, რომ ასე გამანადგურებელი იქნებოდა ჩვენთვის მისი გარდაცვალება. მის სიცოცხლეშივე ვხვდებოდით ამ პიროვნების განსაკუთრებულობას და იქნებ ამიტომაც არაეინ დაფიქრებულა, რომ ერთ დღეს შესაძლოა მოკვდავთათვის ჩვეულებრივი რამ მომხდარიყო — ბატონ ალექსანდრეს სამუდამოდ დავეტოვებინეთ. თავისი წასვლით მან სხვებს გარდაცვალება გაუადვილა, რადგან “იმ ქვეყანამ” უკვე გამოკვეთილი კონტური შეიძინა — სადაც ბატონი ალექსანდრეა, იქ შეუძლებელია თავი ცუდად იგრძნო. უცნაური აზრი გამიჩნდა —

რატომღაც მგონია, იმქვეყნად მისულებს პირველად ბატონი ალექსანდრე შეგვეგებება, რათა უცხოობა არ გვაგრძნობინოს და მოსალოდნელი სამსჯავროს შიში გაგვიქარწყლოს. სიცოცხლეშიც ხომ იმ მშობელივით იყო, ჩვენსა და სიკვდილს შორის რომ დგას. და როცა ეს მშობელი აღარ არის, იშლება ბარიერი ჩვენსა და “იმ ქვეყანას” შორის. ალბათ ამიტომაც ბატონი შურა ყველას, მასზე ასაკით უფროებსაც კი, ამ “მშობლიური” ზრუნვითა და ყურადღებით ბავშვობის ნოსტალგიას უამებდა და აძლევდა ფუფუნების საშუალებას — სხვისთვის დაეთმოთ პრობლემათა თუ პასუხისმგებლობის ნაწილი.

ბატონი ალექსანდრეს გარდაცვალების შემდეგ ვგრძნობ, რომ განსაკუთრებული ძალით მიზიდავს ყველა, ვინც მას იცნობდა და, მაშასადამე, მისი სიკეთისა და სიბოძის მარცვალს გულით ატარებს. ალბათ ჩვენში ჩათესილი ეს მარცვლები გვეწევა ერთმანეთისკენ მაგნიტივით. და როცა ასეთი ადამიანები ვიკრიბებით ან შემთხვევით ვხვდებით ერთმანეთს, ბატონი შურას სიბოძე უფრო ხელშესახებია.

თუკი ერთხელაც, “ბედნიერი უფლისწულის” ამბისა არ იყოს, უფალი ანგელოზებს მოსთხოვს, ჩვენი ქალაქიდან (თუნდაც ქვეყნიდან) საუკეთესო რამ მიართვან, დარწმუნებული ვარ, ეს ალექსანდრე გვახარიას მუდამ სხვებზე ზრუნვით და სხვათა სატიკივარით ორად გაპოზილი გული იქნება. . .

ალბათ თავად უნდა იყო ბატონი შურა, რომ შეძლო ყველაზე ზუსტი და საჭირო სიტყვების მოძებნა მის დასახასიათებლად. ამაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, როცა გრიგოლ კიკნაძის 75 წლისთავთან დაკავშირებით დანერილი და 1984წ. გამოქვეყნებული მისი წერილი “მასწავლებელთა მასწავლებელი” წავიკითხე. სამწუხაროდ, ამ წერილის არსებობა ბატონი ალექსანდრეს გარდაცვალების შემდეგ შევიტყვე, რისთვისაც მისი მონაფის – თამთა ფარულავას უსაზღვროდ მადლიერი ვარ. ბევრი რამ გვეცნო ამ წერილში ბატონი ალექსანდრეს მონაფეებს და თუმცა გრიგოლ კიკნაძეს ბევრი ჩვენგანი ვერ მოესწრო (შესაძლოა, ამიტომაც), ჩვენი მასწავლებელი მაინც უკეთესი გვეგონია.

ამ შესანიშნავი წერილიდან რამდენიმე ამონარიდი მართლა შეიძლება ბატონი ალექსანდრე გვახარიას ავტოპორტრეტად ჩათვალო:

“გრიგოლ კიკნაძის პიროვნება სულ უფრო ზოგად ხასიათს იქნეს, სიკეთის, სინმიდის, პრინციპულობის სიმბოლოდ მესახება მართო მე კი არა, ყველას, ვინც მასთან ახლოს იყო, ბედნიერება ჰქონდა მისი ხშირი ხილვისა. . . ჩვენ-ჩვენი სიხარულიც და მწუხარებაც მხოლოდ მასთან მიგვექონდა სავსე პეშვით და ასე

გვეგონა, ბატონი გრიგოლი მხოლოდ საჩემოდ არისო ასეთი ყურადღებით მომართული. ვერ კი ვგრძნობდით, გვიკვირდა მხოლოდ, შემთხვევით თუ აღმოვაჩენდით, სხვათა მრავალთათვისაც ასე საჭირო და მახლობელი რომ იყო. ის თვითონ მაღავედა ამას, არ გვაძლევდა "ექვანიანობის" საბაბს, პირიქით, უფრო გვაყვარებდა ერთმანეთს, მისი დიდსულოვნების მაღლით ცხებულებს გვაერთიანებდა, გვაკეთილშობილებდა!"

"ბატონ გრიგოლს განსაკუთრებით ახარებდა სხვისი წარმატება, ხალასი ნიჭის გაელვება. თითქოს რა არის აქ გასაკვირი, ყოველ ნორმალურ ადამიანს უნდა ახასიათებდეს ეს თვისება, ხოლო "წუხილი სხვისა სიკეთესა ზედა" ანომალიას უნდა წარმოადგენდეს! მაგრამ ბატონ გრიგოლს სხვაგვარად უხაროდა, ეამაყებოდა, ეთავისებოდა ყოველივე კარგი და გამორჩეული."

"გრიგოლ კიკნაძის შრომებშიც და პიროვნებაშიც ორგანულად იყო შერწყმული მკვლევარი და მასწავლებელი. ეს უკანასკნელი, თითქოს შეუმჩნევლად, მაგრამ მაინც განსაკუთრებულად იყო წინ წამოწეული".

ჩემი მასწავლებლის მოგონებას მისივე წერილის ბოლო წინადადების პერიფრაზით დავამთავრებ:

"... არასოდეს დასრულდება ალექსანდრე გვახარიას სულიერი სიცოცხლე, რომელიც მისი მოწაფეების მეხსიერებაში და მისი წიგნების ფურცლებზეა აღბეჭდილი".

თეა შურღაია

ქ. ს. ს. ს. ს.

სიძან ს. ს. კაპაძის რ. ს. ს.
გვ. 20: 19. 19. 19. 19.

კაპაძის რ. ს. ს. ს. ს.
გვ. 20: 19. 19. 19. 19.

ს. ს. ს. ს. ს. ს. ს.

პ. 5.

სიძან ს. ს. კაპაძის რ. ს. ს.
წიგნ. 20: 19. 19. 19. 19.

უბადლო ინტელიგენტი

უკვე ორმოცი დღე გავიდა, რაც ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა რიგებს გამოაკლდა ირანული ფილოლოგიის კათედრის გამგე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნეერ-კორესპონდენტი, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი ალექსანდრე (შურა) გვახარია. ყველა თანამდებობას, რომლებიც მას ეკავა, ადრე თუ გვიან, სხვები შეავსებენ და ეს, ბუნებრივია, ასეც უნდა იყოს. მაგრამ არის ერთი ადგილი, ერთი პოსტი, სადაც შურას შემცვლელი ძნელად მოიძებნება: ეს იყო ჩვენი დროის უბადლო ქართველი ინტელიგენტი.

ჩემსა და შურას შორის გულითად ურთიერთობას ნახევარი საუკუნის ისტორია აქვს. მას სათავე დაედო უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერალთა წრეში და აღმანახ „პირველი სხივის“ ფურცლებზე. სწორედ აქ გამოჩნდა პირველად ალექსანდრე გვახარიას სახელი, როგორც ირანელი მწერლის სადგეჟედიანის მოთხრობის მთარგმნელისა („პირველი სხივი“, წიგნი IV, 1954 წ.).

უნივერსიტეტში რამდენიმე წლის ლაბორანტობის შემდეგ, ორმოცდაათიანი წლების მეორე ნახევარში, ალექსანდრე გვახარიამ მუშაობა დაიწყო ლიტერატურის ინსტიტუტში, სადაც იმ დროს ბევრი ჩვენი სახელოვანი მეცნიერი მოღვაწეობდა და ნიჭიერი ახალგაზრდებიც საკმაოდ იყვნენ. მან ინსტიტუტში სულ მალე მოიპოვა საერთო პატივისცემა და სიყვარული თავისი ნიჭისა და შრომის-მოყვარეობის მეშვეობით, რასაც თან ახლდა უჩვეულო თავ-მდაბლობა და უპრეტენზიოება.

ლიტერატურის ინსტიტუტის კედლებში ჩაისახა შურასა და ცირა კალაძის სპეციაკი სიყვარული, რაც მათი მშვენიერი ოჯახის შექმნით დაგვირგვინდა, მაგრამ მათი ბედნიერება, სამწუხაროდ, ხანმოკლე აღმოჩნდა. ცირას დიდხანს არ დასცალდა ქმარ-შვილით ტკობა, შურა კი ბოლომდე ერთგული დარჩა თავისი ერთადერთი სიყვარულისა... ეს სხვა თემაა და მასზე ახლა სიტყვას არ გავაგრძელებ.

ლიტერატურის ინსტიტუტი 50-იანი წლების მეორე ნახევარში და 60-იანი წლების პირველ ნახევარში, როცა მას გიორგი ლეონიძე ხელმძღვანელობდა, ნაყოფიერ სამეცნიერო საქმიანობას ეწეოდა და საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც აქტიურ მონაწილეობას იღებდა. იმ წლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო თბილისის 1500 წლისთავის ზეიმი, რომელიც 1958 წლის ოქტომბერში გაიმართა. ამ ზეიმში მონაწილეობის მისაღებად, გიორგი ლეონიძის ინიციატივით, მოწვეულნი იყვნენ ქართველები სოჭის რაიონის

სოფელ პლასტუნკიდანაც. საზეიმო სუფრას შურა არ დასწრებია, რადგან სწორედ იმ დღეს იცავდა საკანდიდატო დისერტაციას. ორიოდ თვის შემდეგ მას სთხოვეს ეპასუხა საახალწლო ანექტის კითხვაზე: გასული წლის რომელი დღე იყო თქვენთვის ყველაზე ღირსშესანიშნავი და რატომო. შურამ საოცრად ზუსტი და ამავე დროს ჩუმი იუმორით სავსე პასუხი გასცა და ყველაზე ღირსშესანიშნავ თარიღად დისერტაციის დაცვის მეორე დღე დაასახელა.

ლიტერატურის ინსტიტუტში ჩვენი ერთად მუშაობის დროიდან განსაკუთრებით თბილად მაგონდება სამეცნიერო მივლინების დღეები ლენინგრადში, სადაც შურასთან და მაგალი თოდუასთან ერთად მომიხდა ყოფნა. შურა და მაგალი სწორედ იმ ხანებში „ვისრამინის“ ქართულ ტექსტს ამზადებდნენ გამოსაცემად და გულდასმით სწავლობდნენ ხელნაწერთა ვარიანტებს, არკვევდნენ მათ მიმართებას სპარსულ დედანთან. მათ ამ გზით გაასწორეს გადამწერთა უამრავი შეცდომა და ბრწყინვალედ გამართული ტექსტი ვრცელი გამოკვლევით, ვარიანტებითა და ლექსიკონით გამოსცეს 1962 წელს. ამ გამოცემამ ახალგაზრდა მკვლევრებს საყოველთაო აღიარება მოუპოვა. მათი სახელი და ავტორიტეტი კიდევ უფრო გაიზარდა და განმტკიცდა „ვის ორამინის“ სპარსული ტექსტის კრიტიკული გამოცემის შემდეგ (თეირანი, 1970 წ.). აქ უკვე ქართულ თარგმანზე დაყრდნობით გასწორდა და გაიმართა მთელი რიგი ადგილები სპარსულ ორიგინალში. ეს გამოცემა საერთოდ ქართველ ორიენტალისტთა ერთ-ერთ ბრწყინვალე გამარჯვებად არის აღიარებული.

დიდი დრო და ენერგია შეაღია ალექსანდრე გვახარიაშვიტის „ვეფხისტყაოსნის“ ენის საკითხების კვლევას და პოემის ტექსტის დადგენას. ათეული წლების განმავლობაში „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის წევრი, უბადლო მცოდნე და მკვლევარი ქართული სიტყვისა – ალექსანდრე გვახარიაშვიტის თავის გამოცემულ ტექსტებს ხშირად ლექსიკონებს ურთავდა, ზოგჯერ კი თავის ლექსიკოლოგიურ თუ ეტიმოლოგიურ დაკვირვებებს ცალკე წერილების სახით უზიარებდა მკითხველს. ამ მხრივ სანიმუშოდ შეიძლება დავასახელო რუსთველისეული „დასტაქანის“, „ნაღების“, „მაზრების“ ანალიზი, „ჩინჩახვის“, „მაგრამ“ კავშირის ეტიმოლოგიები.

შურასათვის დამახასიათებელი სკრუპულოზური კვლევა-ძიების ნიმუშია მცირე მოცულობის წერილი „ერთი ფურცელი ქართულ-სპარსული ისტორიული ურთიერთობებიდან“, დაბეჭდილი პროფესორ ვალერიან გაბაშვილისადმი მიძღვნილ „ახლო აღმოსავლურ კრებულში“ (1983 წ.). რუსი

აღმოსავლეთმცოდნე კ. ჩაიკინი სპარსულ წყაროებში წასწყდომია ცნობას, სადაც არაბული ასოებით ჩაწერილი ყოფილა რალაც ქართული სიტყვა (ნ-კ-ლ-ბუ). მხოლოდ შურასნაირ კირკიტა მკვლევარს შეეძლო ამ „რებუსში“ ამოეცნო ერეკლე მეორის ელჩისა და სამეფო კარის მდივან-მწიგნობრის ზედწოდება „ენაკოლოფა“, რომელიც გააზნაურების შემდეგ მის გვარად ქცეულა. მკვლევარი აქვე იძლევა დანვრილებით ცნობებს ენაკოლოფაშვილების (ენიკოლოფოვების) შთამომავალთა შესახებ.

საერთოდ, შურა იყო არაჩვეულებრივად ყურადღებიანი, რომელიც თავისი გულის სითბოს ყველას უზვად უნაწილებდა, სამაგიეროდ კი არაფერს ითხოვდა. პირდაპირ საოცარია, როგორ პოულობდა ის დროს, რომ დასწრებოდა მრავალრიცხოვან სამეცნიერო სხდომებსა და მოხსენებებს, დისერტაციების დაცვას, საიუბილეო საღამოებს, მოენახულებინა ავადმყოფი კოლეგა თუ მისი ოჯახის წევრი, არ გამორჩენოდა ვინმეს პანაშვიდი თუ დაკრძალვა და ა.შ. ის იყო კაცი, რომელთანაც ურთიერთობა სულიერად ამაღლებდა და ასპეტაკებდა ადამიანს, სინათლის სხივი შეჰქონდა ჩვენს გატანჯულ ყოველდღიურ ყოფაში.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ შურას სახით არა მხოლოდ ნათესავებმა და მეგობრებმა დაკარგეს ახლობელი ადამიანი, პროფესორ-მასწავლებლებმა ღირსეული კოლეგა, სტუდენტებმა რჩეული მოძღვარი, – ალექსანდრე გვახარია დააკლად მთელ ქართველ ინტელიგენციას, დააკლდა ქართველ ხალხს.

ზურაბ ჭუმბურიძე

نازک بود و خون آمد

ზღვაში გაბნეული მარგალიტები

„ალექსანდრე გვახარიას უკანასკნელი წიგნი „ნარკვევები ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან“ II – მის გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე დაისტამბა. „ნარკვევები“ წარმოადგენს 1995 წელს გამოცემული პირველი წიგნის ორგანულ გაგრძელებას.

„ნარკვევების“ სათაურის ქვეშ გაერთიანებული თითოეული წერილი უაღრესად თანადროულია თემატიკის მრავალფეროვნებისა და კვლევის მეთოდოლოგიის თვალსაზრისით. იგი თავიდან ბოლომდე შეუნელებელი ინტერესით იკითხება, რომელი ეპოქის მწერლის ლიტერატურულ მემკვიდრეობას არ უნდა აცნობდეს მკითხველს ავტორი – დაწყებული რუდაქის პოეზიით, გასული საუკუნის ცნობილი პროზაიკოსის – სადგე ჰედაიათის შემოქმედებით დამთავრებული.

ამასთანავე, ნარკვევებში დასმული პრობლემები შუქს ჰფენს არა მხოლოდ საკუთრივ ირანისტიკის კარდინალურ საკითხებს, გეზს აძლევს, ზოგადად, ფილოლოგიური მეცნიერების განვითარებას პრობლემათა ახლებურად ხედვის, გააზრებისა და ორიგინალურად წარმოჩენის თვალსაზრისით, გვიხატავს ჩვენთვის ესოდენ ძვირფასი პიროვნებების, სახელოვანი მეცნიერების საინტერესო პორტრეტებს და მოწინებით გვახედებს მათი მოღვაწეობის მრავალ ნიუანსში.

გასული საუკუნის ქართველ აღმოსავლეთმცოდნეთა თვალსაჩინო მიღწევები, ასევე სანკტ-პეტერბურგისა და მოსკოვის საყოველთაოდ აღიარებულ ორიენტალისტურ სკოლებში დამკვიდრებული კვლევის მდიდარი ტრადიციები პროფესორ ალექსანდრე გვახარიასათვის მეცნიერული მიმართულების განმსაზღვრელი და მასტიმულირებელი ფაქტორი იყო.

იგი სკრუპულოზურად სწავლობდა და ღრმა და ხანგრძლივ დაკვირვებათა შედეგად მიღებული დასკვნებით ამდიდრებდა სახელოვან წინამორბედთა ძალისხმევით დაგროვილ უზარმაზარ გამოცდილებას. ამგვარი ესტაფეტა განაპირობებდა, უპირველეს ყოვლისა, მეცნიერის მიერ ქართული და აღმოსავლური ფილოლოგიის საკითხების შესწავლის დონესა და მასშტაბებს, ამ სამეცნიერო სკოლებისათვის ესოდენ ნიშანდობლივ აკადემიზმის პრინციპის ერთგულებას. შესაძლოა, ამიტომაც იყო ასე პოპულარული ქართველ თუ უცხოელ კოლეგებს შორის, რომლებიც მას „ნათელ გონებას“ უწოდებდნენ.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ „ნარკვევების“ დღეისათვის გამოცემული ორი ტომი ქართული ორიენტალისტური

მეცნიერების მნიშვნელოვანი შენაძენი, ყველა ჰუმანიტარი მეცნიერის სამაგიდო ნიგნებია.

კრებულში წარმოდგენილ საკითხთა ვრცელ ნუსხას განსაკუთრებულ ხიბლს მატებს ალ. გვახარიასათვის ჩვეული წერის მანერა, ტაქტი და მისაბაძი მეცნიერული კეთილ-სინდისიერება. აღსანიშნავია, რომ ეს თვისებები რელიეფურად გამოიკვეთა სტუდენტ ახალგაზრდობასთან ურთიერთობის პროცესშიც, რაც მისი გამორჩეული ნიჭიერებითა და თანდაყოლილი პედაგოგიური ალღოთი იყო ნაკარნახევი. დღეს ამ ფაქტმა განსაკუთრებული ზნეობრივ-ეთიკური ღირებულება შეიძინა და შემდგომი თაობების ყველა აღმოსავლეთ-მცოდნისათვის მეცნიერ-პედაგოგისა და სამეცნიერო ხელმძღვანელის ნიმუშად იქცა.

„ნარკვევების“ გაცნობისას მკითხველის ყურადღებას იქცევს ალ. გვახარიას ინტერესთა ფართო სპექტრი და დიდი ერუდიცია. ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობების რაც შეიძლება სრულყოფილად წარმოჩენის მიზნით, იგი ხშირად მიმართავს უალრესად ღირებულ, ქართველოლოგიური მეცნიერებისათვის მანამდე უცნობ ისტორიულ წყაროებსა თუ ლიტერატურულ ძეგლებს, უცხოელ მკვლევართა შრომებსა და სხვადასხვა წერილობით დოკუმენტს. მრავალფეროვანია მათი ნუსხა და ქრონოლოგიური არეალი, ადრეული შუა საუკუნეებიდან დანყებული უახლოესი ეპოქის მწერლობისა და კულტურის უმნიშვნელოვანესი მოვლენებით დამთავრებული.

საგულისხმოა ისიც, რომ მკვლევარს დღის სინათლეზე გამოაქვს არა მხოლოდ კონკრეტულ ლიტერატურულ მოვლენაზე ამა თუ იმ პოლიტიკური და სოციალური, შიდა თუ გარე ფაქტორების, ან იდეურ-ესთეტიკური ზემოქმედების ნიმუშები, არამედ უფრო რთული, შორეული ზეგავლენის მაგალითებიც – სხვადასხვა ეპოქის პლასტებში ღრმად განფენილი ტიპოლოგიური აზროვნების შედეგები.

ცნობილი ირანისტის, ა. სტარიკოვის საინტერესო გამო-ნათქვამის თანახმად, რითაც იგი კაცობრიობის განვითარების ისტორიისა და კულტურის ერთ-ერთი გამოცანის ახსნას ცდილობს, „შორეულ, ისტორიამდელ წარსულშიც კი, ჩვენი პლანეტის სხვადასხვა, ერთი შეხედვით ერთმანეთისგან სრულიად იზოლირებულ რეგიონებში, კაცობრიობა ზოგჯერ უხილავი, ზოგჯერ კი მხოლოდ ჩვენ მიერ გარდუვალობად აღქმული ურთიერთობის გზებით იყო ერთმანეთთან შეკავშირებული“.

სწორედ ეს „შეკავშირება“ თამაშობს ხშირად, რაც „ნარკვევების“ ავტორს მშვენივრად აქვს მონოღებული,

გადამწყვეტ როლს ცალკეული ლიტერატურული პროცესის ფორმირებაში, რომლის ანალიზისას მკვლევარი მიმართავს სამეცნიერო მიმოქცევაში არსებულ დამხმარე ინსტრუმენტების მდიდარ არსენალს, ყველაფერს, რამაც მკითხველს ხელი უნდა შეუწყოს, აღმოსავლური მწერლობის ურთულეს ლაბირინთებში მიაკვლიოს ჭეშმარიტების მარცვლებს, ჩამოუყალიბდეს კვალიფიციური ხედვა ამა თუ იმ პრობლემის მიმართ.

მკითხველი თანდათან ითავისებს ახლო აღმოსავლეთის მიმზიდველ, უცხო თვალისათვის ესოდენ უჩვეულო ეგზოტიკურ სამყაროს და აცნობიერებს შემოქმედებით გარემოს, იმ ინტელექტუალურ და სულიერ სანყისს, რომლის ნიაღშიც ამოიზრდება ერის ცნობიერების საყრდენი პოსტულატები, რაც მთლიანობაში საზოგადოების სახეს აყალიბებს.

ამ პროცესში მას უთუოდ ეხმარება მეცნიერის დამოკიდებულება ლიტერატურული ძეგლისადმი. ყოველი ნაწარმოები მის მიერ მოაზრებულია, როგორც ავტორის სწრაფვა სამყაროს მშვენიერებისა და საკუთარი არსებობის შემოქმედებითი განცდისაკენ, რაც აყალიბებს თავისებურ ხატებს, ეპოქის მხატვრულ მოდელებს.

ნიშანდობლივია ისიც, რომ „ნარკვევების“ ავტორისათვის თანაბრად საყურადღებოა ადამიანის სულიერი ფორმირების ნიაღში აღმოცენებული ნებისმიერი ეპოქის ისტორიული თუ მხატვრული ფაქტი, ყველაფერი, რაც შემოქმედს აყალიბებს და მწერლურ კრედოს განსაზღვრავს.

აღსანიშნავია მკვლევრის სათუთი დამოკიდებულება სიტყვისადმი, როგორც ფენომენისადმი. ერთი მხრივ „ნარკვევების“ ჟანრული თავისებურების გაცნობიერება – ფორმისა და სტილის შეგრძნება, მეორე მხრივ, მეცნიერული კვლევისას სიტყვის სემანტიკური მრავალფეროვნების გააზრება და ეტიმოლოგიურ სიღრმეებში წვდომის დიდი გამოცდილება მას საშუალებას აძლევს ფრაზის კონსტრუირებისას განსაკუთრებით ფაქიზად მოეკიდოს ენის უსაზღვრო შესაძლებლობებს. ცდილობს, რათა მან მაქსიმალური ესთეტიკური დატვირთვა და სტილის შესაფერისი პლასტიურობა შეიძინოს.

კვლევის შედეგების განზოგადებისას რელიეფურად გამოიკვეთება მეცნიერის დამოკიდებულება მხატვრული ქმნილების, მისი ავტორისა და ამა თუ იმ სამეცნიერო ნაშრომის მიმართ, ასევე – გარდასახვის განსაკუთრებული უნარი, რაც მას საშუალებას აძლევს, ავტორის მხატვრული პოზიცია გაითავისოს და რაც შეიძლება მიმზიდველი და ეფექტური კუთხით დაანახოს მკითხველს ნაწარმოების საზოგადოებრივ-ესთეტიკური ღირე-

ბულება, ძალდაუტანებლად და დელიკატურად, ამავე დროს გასაგებად მიანიშნოს საკვლევი ობიექტისადმი საკუთარ მიმართებაზე.

სიტყვის მშვენიერების მწერლური განცდა, სხვადასხვა მეცნიერული კონცეფციის მოწოდებისა და ახლის ძიებისათვის განსაკუთრებული ზიზღის მინიჭების ოსტატობა – ასეთია ალ. გვახარიას პროფესიული ხელწერა, რამაც იმავდროულად მის პიროვნულ და მოქალაქეობრივ თვისებებშიც ძალუმაღ იჩინა თავი.

„გეოგრაფიული მდებარეობისა და ისტორიული განვითარების პირობების წყალობით, საქართველო პოლიტიკურად, ეკონომიკურად და ლიტერატურულად უძველესი დროიდანვე მჭიდროდ იყო დაკავშირებული ირანულ სამყაროსთან. ეს კავშირი ნათლად აისახება ენაში, მატერიალური კულტურის ძეგლებში, ისტორიულ და ლიტერატურულ წყაროებში. სამწუხაროდ, ამჟამად მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტების მიხედვით შეიძლება გავადევნოთ თვალი ამ ურთიერთობათა ნაკვალევს“, — აღნიშნავს „ნარკვევების“ ავტორი სტატიაში „დავით აღმაშენებლის ეპოქა და ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობის ჩასახვევები“.

„ნარკვევების“ ორივე ნიგნი წარმოადგენს იმის თვალსაჩინო ნიმუშს, თუ როგორ ხდება მეცნიერებაში ცალკეულ ფრაგმენტებსა და მინიშნებებზე დაყრდნობით მთერლი რიგი ისტორიულ-ფილოლოგიური ფაქტებისა და მოვლენების შეჯერება, აღდგენა და ინტერპრეტაცია.

საილუსტრაციოდ გავიხსენოთ წერილი „ნიზამი და საქართველო“, რომელიც პირველად 1953 წელს გამოქვეყნდა. იგი მიზნად ისახავს აჩვენოს, „თუ რა მჭიდრო ურთიერთობაშია ისტორიულად გენიალური პოეტი საქართველოსთან“. საკვლევი პრობლემისადმი ასეთი მიდგომა მეტყველებს, მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა ირანისტის მეცნიერული კვლევის ორიენტაციაზე, რაც ემყარებოდა ქართული მხატვრულ-ისტორიული სინამდვილის შესწავლისას აღმოსავლური მასალის ფართოდ გამოყენების ტენდენციას ზუსტი და მაქსიმალურად ობიექტური მეცნიერული შედეგების მისაღწევად. საქართველოში ორიენტალისტიკის, როგორც პუმანიტარული მეცნიერების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგის ჩამოყალიბების პრიორიტეტი ხომ სწორედ ამ მოტივით იყო ნაკარნახევი.

დასახელებულ ნარკვევში მკვლევარი განიხილავს ნიზამის ორ ლიტერატურულ ძეგლს: „ხოსროვს და შირინს“ და „ისქანდერნამეს“. ერთ შემთხვევაში იგი თავდაპირველად პოემის ქრონოლოგიურ საზღვრებს ადგენს და შემდეგ მიმართავს შედარებითი ანალიზის მეთოდს, მეორე შემთხვევაში კი

გაუსვა იმ გარემოებას, რომ კულტურათა ინტეგრირება შუა საუკუნეებში გაცილებით მრავლისმომცველი და ანგარიშგასაწევი ფაქტორი იყო, ვიდრე ეს დღეს შეიძლება ვივარაუდოთ. შესაბამისად, ყოველი კულტურული ერი გარესამყაროსთან არა მხოლოდ ინტენსიური პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობებით იყო დაკავშირებული. ძალზე ნაყოფიერი იყო ასეთი კონტაქტები იდეათა გაცვლის დონეზე.

ამ გარემოების გათვალისწინებით მკვლევარმა ვრცლად გაშალა ნიზამის შემოქმედებაზე მუშაობა და მრავალ მეცნიერულ დებულებას მიანიჭა არსებობის უფლება.

თავდაპირველად, აღნიშნულ ნარკვევში იგი უარყოფს ცნობილი ირანისტის ე. ბერტელსის მოსაზრებას, თითქოს პოემა „ხოსროვი და შირინი“ 1180 წელს დაიწერა და მხედველობიდან არ რჩება ქრონოლოგიური შესაბამისობის საკითხიც. მკვლევარი ასკვნის, რომ მეცნიერის მიერ შემოთავაზებული თარიღი მცდარია, რადგან, როგორც ფაქტების ხელახალი შეჯერება, ასევე ქართული და აღმოსავლური რეალიების გათვალისწინება, დამაჯერებლად გვიჩვენებს, რომ ამ დროს ნიზამიმ მხოლოდ პოემის შეკვეთა მიიღო, მისი წერა კი 1186 წელს დაასრულა.

აღნიშნული თარიღის დაზუსტება არსებით მნიშვნელობას იძენს მომდევნო ეტაპზე სკრუპულოზური კვლევის შედეგად გამოთქმული მეცნიერული არგუმენტების კიდევ უფრო შესამაგრებლად.

ვრცელი ისტორიულ-ფილოლოგიური ექსკურსის შემდეგ ალ. გვახარია მკითხველს სთავაზობს საყურადღებო მოსაზრებას, რომ ნიზამის პოემაში საქართველოსთან დაკავშირებული მხატვრულ-ისტორიული რეალობის გათვალისწინების მრავალი ფაქტი აღინიშნება. ამ დასკვნამდე იგი მიდის, უპირველეს ყოვლისა, ნიზამის პოემების პერსონაჟთა სახელების ქართველ ისტორიულ პირებთან, თამარ მეფესთან და დავით სოსლანთან, ასევე – შოთა რუსთაველის პოემის გმირებთან შედარებისა და ღრმა ანალიზის საფუძველზე.

ცნობილია, რომ მეცნიერი მოღვაწეობის პირველივე წლებში დაინტერესდა ქართული მწერლობის ამ უნიკალური ძეგლით. ეს ინტერესი მას მთელი ცხოვრება გაჰყვა. იგი სიცოცხლის უკანასკნელ წლებამდე „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის შეუცვლელი წევრი იყო და არაერთი მნიშვნელოვანი მოსაზრებით გაამდიდრა რუსთველოლოგიური მეცნიერება, ახალი ელფერი შემატა აღნიშნულ სფეროში წარმოებულ კვლევას. „ნარკვევებში“ ნაწილობრივ აისახა კიდევ ალ. გვახარიას მიერ ამ მიმართულებით გაწეული ფასდაუდებელი სამსახური.

მრავალმხრივი ტექსტოლოგიური კვლევა საშუალებას აძლევს ზუსტად განსაზღვროს პოემის დაწერის თარიღი.

ამგვარი ისტორიულ-ფილოლოგიური ნიაღვრებისათვის ერთგვარი კატალიზატორის როლს ასრულებს ნიჰამის ლექსი „ხარაბათისკენ გავწიე ნუხელ“, რითაც სტატიის ავტორი იწყებს მკითხველისათვის ასე მახლობელი და საინტერესო პოეტის შემოქმედებაში ქართული ისტორიულ-ფილოლოგიური რემინისცენციების ძიებას.

ნიჰამის მშვენიერი ლირიკული ქმნილება თავისთავად საყურადღებოა იმიტაც, რომ იგი მრავალმხრივი ინტერპრეტირების საშუალებას იძლევა. ლექსში აღწერილია ხარაბათად ნოდებული განჯის უბანი, სადაც პოეტები და რინდები იყრიან თავს. იქ ყველას აქვს უფლება მივიდეს, განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა. ნიჰამი წერს: „ყოველი მხრიდან ესწრებიან აქ – გაიური თუ არმენიელი, მართლმორწმუნე ქრისტიანი და იუდეველი“.

ლირიკული ლექსის ბირთვს წარმოადგენს სიტყვა „ხარაბათი“, რომლის თავდაპირველი მნიშვნელობა სამიკიტნოა, სადაც სუფიები იკრიბებიან ახალმოსულის ზიარების, მისტიკური თრობისა და ღვთაებრივი ნეტარების განსაცდელად.

პოეტის მიერ ალევორიულად დახატული სამყაროს მოდელი, კერძოდ, სუფიურ-თეოსოფიური კოსმოლოგია, რითაც აღნიშნული ლექსია განსმჭვალული, განსაზღვრავს ნიჰამის მხატვრულ-ფილოსოფიური აზროვნების საფუძველთა საფუძველს, ტოლერანტიზმსა და ჰუმანისტურ ტენდენციებს მთელ მის შემოქმედებაში.

აღმოსავლურ მწერლობაში ჩახედული მკითხველისათვის ბუნებრივად აღიქმება განჯის ერთ-ერთ უბანში, ხარაბათში, სხვადასხვა ეროვნებისა და კონფესიების წარმომადგენელთა ერთად თავშეყრის ეპიზოდები. ამავე დროს ნიჰამი მშვენიერად იცნობდა ქრისტიანობასა და, საერთოდ, იმდროინდელი ცივილიზებული სამყაროს ინტელექტუალურ მიღწევებს.

ლექსის, „ხარაბათისკენ გავწიე გუშინ“, მხატვრულ-ფილოსოფიურმა გააზრებამ მკვლევარს უბიძგა დაეკონკრეტებინა კულტურულ-გეოგრაფიული არეალი, რომელიც პოეტის შემოქმედებით ფანტაზიას ასაზრდოებდა და, შესაბამისად, მკითხველის ყურადღება გაემახვილებინა ნიჰამის შემოქმედების ქართულ სინამდვილესთან მჭიდრო კონტაქტებზე.

მან დამაჯერებელი მაგალითებით შეამაგრა საკუთარი პოზიცია, რაშიც დიდად დაეხმარა აღმოსავლური ისტორიული და ფილოლოგიური დოკუმენტების გულდასმით შესწავლა. ხაზი

საგულისხმოა ის ვარაუდები და დასკვნები, რომლებსაც მკვლევარი ნიზამის მეორე პოემის, „ისქანდერნამეს“ ანალიზის საფუძველზე სთავაზობს მკითხველს. იგი არ გამორიცხავს იმ გარემოებას, რომ შესაძლოა, ნიზამის დასახელებულ პოემაში თამარისა და დავით სოსლანის დაქორწინების ფაქტის გამოძახილი იკითხებოდეს. ამ შინაგან კავშირს, ავტორისვე თქმით, აგვირგვინებს პოემაში გაცხადებული უმაღლესი შეფასება-დასკვნა, რომელიც უშუალოდ რუსთაველს ეხმიანება: „მე ვარ ლომქალი, თუ შენ ხარ ლომკაცი, ბრძოლის დროს რა ძუ და რა ხვადი ლომი“...

კვლევის შედეგად ავტორი დასძენს, რომ პოეტის შემოქმედების გულდასმით შესწავლა უამრავ მასალას იძლევა მის მიერ საქართველოს ნაცნობობის დადგენის თვალსაზრისით. იგი „მჭიდრო ურთიერთობაშია ისტორიულად მეზობელი საქართველოს ცხოვრებასთან“... საყურადღებოა მეორე დასკვნაც, რომ „წმინდა ლიტერატურულ ურთიერთობებზე მსჯელობა მომავალში კიდევ უფრო უხვ შედეგებს მოგვცემს“.

შედეგები კი მართლაც ძალზე საგულისხმოა. ალ. გვახარიას მეცნიერულმა დასკვნებმა და კვლევის მეთოდმა საერთაშორისო აღიარება მოიპოვა და შუა საუკუნეების ირანული და აზერბაიჯანული მწერლობის შესწავლას გარკვეული გეზი მისცა.

ქართველოლოგიური მეცნიერებისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს „ნარკვევებში“ შესული სულხან-საბა ორბელიანის არაკების კრებულის, „სიბრძნე-სიცრუისას“ ავტორისეული ანალიზი. ქართული სიტყვიერების ამ მართლაც გამორჩეული ძეგლის ლიტერატურული წყაროების დადგენას არაერთი მკვლევარი შეეცადა და საგრძნობ წარმატებასაც მიაღწია. გავიხსენოთ კ.კეკელიძის, დ.კობიძის, მ.ჩიქოვანის, ალ.ბარამიძის და სხვათა ღვაწლი. ალ.გვახარია ფართოდ მიმოიხილავს თითოეული მათგანის მეცნიერულ მოსაზრებებს და სპარსული წყაროების მოშველიებით კიდევ მრავალ საკამათო და ბუნდოვან საკითხს ჰფენს ნათელს.

სულხან-საბას არაკების ორიგინალობის პრობლემას მკვლევარი ზოგადად დიდაქტიკური ჟანრის თხზულებათა შედარებითი ანალიზის ფონზე მოიაზრებს, მსჯელობისას იგი მრავალ დამაჯერებელ მეცნიერულ თვალსაზრისს მოიშველიებს და საქმიანი და არგუმენტირებული კვლევის შედეგად ასკვნის, რომ „სიბრძნე-სიცრუისას“ ზოგი არაკის აღმოსავლური, კერძოდ, სპარსული წარმომავლობა უდავოა და ზოგჯერ უშუალოდ წყაროს მითითებაც ხერხდება“... ანგარიშგასანევია მის მიერ შემოთავაზებული სხვა დებულებაც. ცალკეული იგავ-არაკების

შექმნისას, როგორც მკვლევარი არკვევს, „საბა სარგებლობდა ქართული ვერსიით და არა სპარსული ტექსტით, რადგან არ არის შემთხვევა სპარსული და საბასეული ტექსტების შეხვედრისა ქართული ვერსიისგან დამოუკიდებლად“.

შედარებისთვის იგი მიმართავს ერთი ჩარჩოთი შეკრული სპარსული იგავ-არაკების კრებულს „ბახთიარ-ნამეს“, რომლის ქართული ვერსია, ნარკვევის ავტორის დაკვირვებით, წარმოადგენს სულხან-საბას თხზულების ერთ-ერთ ლიტერატურულ წყაროს. მაგალითად, საბას „უბედური ვაჭარი“ დასახელებული სპარსული კრებულის მსგავსი ფაბულისა და სათაურის მქონე არაკთან მჭიდრო სიახლოვეს ამჟღავნებს.

საკითხის განხილვისას მკვლევარი ყურადღებას ამახვილებს, აგრეთვე, სულხან-საბა ორბელიანის შემოქმედებით დამოკიდებულებაზე მის ხელთ არსებული მწიგნობრული წყაროების მიმართ, იგავ-არაკების მხატვრული სტილის ლაკონურობასა და ფრაზის სისხარტეზე.

„ბახთიარნამესა“ და საბას არაკის შეპირისპირებისას იგი იმავდროულად აზუსტებს „სიბრძნე სიცრუისას“ დაწერის თარიღსაც. ასეთი მიდგომის საფუძველი კი, მისი აზრით, სპარსული წყაროს ქართულ ვერსიასთან სიახლოვეა. თავისი მოსაზრების ამოსავალ დებულებად მეცნიერი სწორედ ამ უკანასკნელის თარგმნის თარიღს – 1703-1712 წწ. მიიჩნევს.

ქართული ლიტერატურის ისტორიაში გავრცელებული მოსაზრების თანახმად, სულხან-საბამ თავისი კრებული ბერად შედგომამდე დაწერა, რასაც მკვლევარი მხარს არ უჭერს და აღმოსავლურ წყაროებთან ტექსტის გულდასმით შეჯერების საფუძველზე ასკვნის, რომ „უცილობელი ხდება, საბა შემდგომშიც, თუნდაც 1703-1712 წლებში, მუშაობს ამ კრებულზე, შეაქვს მასში ახალი არაკები და სხვა სახის ცვლილება“...

აღმოსავლური ლექსის სტრუქტურის ანალიზის თვალსაზრისით საყურადღებოა წერილი „რუდაქის პოეტიკა“, რომელიც პირველ წიგნში განსახილველად წარმოდგენილ პრობლემებს ავსებს და ერთგვარად ამთლიანებს კიდეც. ავტორი მიზნად ისახავს ყველა იმ კომპონენტის შესწავლას, რომელიც ქმნის რუდაქის პოეზიის ერთიან მხატვრულ სისტემას, აყალიბებს ფორმას, რომელიც პოეტს „იდეურ-თემატური მინაარსის გაშლაში ეხმარება“.

პოეტიკის საკითხებზე მსჯელობა, საზოგადოდ, ორიენტაციისტა უსაყვარლესი თემაა. ლიტერატურის თეორიის საკითხებზე აღმოსავლეთში უძველესი დროიდან არსებობს უმდიდრესი სამეცნიერო ლიტერატურა. ხშირად შეხვედრებით მსგავს და ურთიერთგამომრიცხავ მოსაზრებებს. ასეთ სიტურელში

რომ „რუდაქის დიდი პოეტური რეზონანსის ერთ-ერთი საფუძველი ახალ-ახალი ზომების ძიებასა და გამოყენებაშიც მდგომარეობს“.

შუა საუკუნეების მწერლობაში ქართული და სპარსული რითმის ნათესაობა-მსგავსების განხილვისას ყურადღებას იქცევს შინაგანი რითმების ირგვლივ მკვლევრის მიერ გამოთქმული მოსაზრებები, რომლებიც სრულად აისახა ნარკვევში „შინაგანი რითმის ისტორიიდან“. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ მეცნიერი მსგავსი ჟღერადობისა და განსხვავებული მნიშვნელობის მქონე სიტყვების რიტმულ განმეორებას შინაგანი რითმის ხმარების აშკარა გამოხატულებად მიიჩნევს და ხაზგასმით მიუთითებს მისი გამოყენების ბუნებრიობაზე, რადგან შინაგანი რითმა ვერ ადის გაცნობიერების დონემდე. თუმცა, მკვლევრის აზრით, ამ გარემოებამ მოგვიანებით (მაგ., მე-12 საუკუნეში) სათანადო ნიადაგი მოუმზადა შინაგანი რითმის სისტემაში მოყვანას.

ამ პრობლემაზე დაკვირვებამ სხვა, მხედველობაში უთუოდ მისაღებ, შედეგამდეც მიიყვანა მკვლევარი. მაგ., უაღრესად მნიშვნელოვანია მისი დაკვირვება, რომ „რითმის ყველა გართულებული სახეობის (შინაგანი, ორმაგი, სამმაგი და ა.შ.) გაჩენა-განმტკიცებას ხელი შეუწყო მეტყველებაში – როგორც პროზაულში, ისე პოეტურში – არსებულმა ტენდენციამ, რასაც ფიქსირებული ფორმის განმეორებას უწოდებენ“. ეს დასკვნა ფაქტიურად ახალი სიტყვაა აღმოსავლური პოეტიკის საკითხების შესწავლის ისტორიაში.

დიდი ინტერესი გამოიწვია და სხვა მეცნიერთა მიერ შემდგომ კვლევას გარკვეული სტიმული მისცა რუდაქის პოეზიაში შედარებებისა და მეტაფორების ანალიზმა, რომელიც დასახელებულ ნარკვევში ასევე ვრცლად არის წარმოდგენილი. ირკვევა, რომ რუდაქის შემოქმედება აქაც მრავალ თავისებურებას ავლენს და მიმზიდველი პოეტური სახეების მთელ სისტემას ქმნის, რაც „ვეფხისტყაოსანზე“ აღზრდილი ქართველი მკითხველისთვის არ უნდა იყოს უჩვეულო და ინტერესმოკლებული.

პროფესორი ალექსანდრე გვახარიას უკანასკნელ ორ წიგნში – „ნარკვევებში“ – წარმოდგენილი წერილები, ფაქტიურად, ამდიდრებს და აღრმავებს იმ ინფორმაციას, რომელსაც მკითხველი იღებს მეცნიერის მიერ სხვა დროს გამოქვეყნებულ შრომებში ასახული ორიენტალისტური პრობლემების გაცნობისას. აღსანიშნავია, რომ ამ ფუნდამენტურმა გამოკვლევებმა შორს გაუთქვა სახელი ქართველ მეცნიერს და მას საერთაშორისო ავტორიტეტის მქონე მკვლევრის სახელი დაუმკვიდრა.

გვერდს ვერ ავუვლით ალ. გვახარიას მიერ „იოსებ-ზილიხანიანის“ ირგვლივ გამოთქმულ მოსაზრებებსაც.

საკუთარი პოზიციის შემუშავება უამრავ თავსატეხს უქმნის პოეტიკის საკითხებზე მომუშავე მკვლევარს. უმთავრესი კი, ცხადია, ტექსტობრივი ანალიზია, სადაც „ნარკვევების“ ავტორი ასე თავისუფლად გრძნობს თავს. სპარსული ენისა და ლიტერატურის ნიუანსებში ღრმად ჩახედული მეცნიერი დაწვრილებით შეისწავლის აღმოსავლური ლექსის ცალკეულ შენაკადებს, მათ ისტორიულ ჭრილში და განვითარების დინამიკაში განიხილავს და რუდაქის პოეზიაში ეძებს შესაბამისობებს.

ცნობილია, რომ რუდაქი (მე-10 ს.) აღმოსავლურ ლიტერატურაში ფორმის დიდოსტატად ითვლებოდა. საერთოდ, სამეფო კარის პოეტთა შემოქმედებაში ლექსის გარეგან მხარეს, როგორც უძვირფასეს სამკაულს, გამორჩევით დიდ ყურადღებას უთმობდნენ. ამგვარმა დამოკიდებულებამ უზიძგა თავისებური მხატვრული სტერეოტიპების ჩამოყალიბებას, საიდანაც გადახვევა ერთგვარ მკრეხელობად ითვლებოდა; მოგვიანებით კი დამტამბა კიდევ აღმოსავლური ლექსი, რადგან ბუნებრივი განვითარება შეუზღუდა და იგი მკაცრ კანონიკურ ჩარჩოებში მოაქცია.

ყასიდა, ყაზალი, მესნევი, რობაი, ყითა – ეს არის არასრული სია იმ სალექსო ფორმებისა, რომლებსაც რუდაქის შემოქმედებაში ხვდება მკითხველი. ალ. გვახარია გულდასმით სწავლობს ყოველ მათგანს, ვრცლად იკვლევს იმ მსგავსებასა და სხვაობას, რასაც ტრადიციასთან მიმართებაში რუდაქის პოეზია ავლენს. განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს სალექსო ფორმათა გენეზისის საკითხებზე, რადგან რუდაქის პოეზიაზე მსჯელობისას შეუძლებელია მკვლევარმა გვერდი აუაროს აღნიშნულ პრობლემას. იგივე შეიძლება ითქვას მეტრიკაზეც, რაც ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე ირანელი პოეტის შემოქმედებით დაინტერესებული არაერთი მკვლევრის სერიოზული კამათის საგნად იქცა. ანალიზს ისინი ძირითადად სპარსულ ვერსიფიკაციულ სისტემაზე არაბული გავლენების ძიებასა და ორიგინალობის საკითხის დაზუსტებისკენ მიჰყავს.

რუდაქის მემკვიდრეობა ამ თვალსაზრისითაც ფასდაუდებელ ლიტერატურულ წყაროს წარმოადგენს, რადგან მისი შემოქმედება სპარსული პოეტური აზროვნების მწვერვალად, მხატვრული შემოქმედების ერთგვარ კვინტესენციად არის აღიარებული, სადაც მიმზიდველად გარდატყდა პოეტის ძიებათა მრავალფეროვანი სპექტრი.

რუდაქის ნაწარმოებების ფრაგმენტების ციტირებისა და მაღალკვალიფიციური კომენტარების საფუძველზე წერილის ავტორი ლიტერატურის თეორიის მკვლევართათვის ბევრ საგულისხმო დასკვნას აკეთებს და დამაჯერებლად გვიჩვენებს,

ნაწარმოების ანონიმური ვერსიის განხილვისას მკვლევარი განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას ლექსიკურ მხარეზე და მიუთითებს, რომ ქართულ ვერსიაში ჭარბად შემოჭრილი უთარგმნელი უცხოური სიტყვები გვანვდის მრავალ საკონტროლო მასალას, რაც გვეხმარება თითოეულის წარმომავლობის საკითხის დაზუსტებაში.

საყურადღებოა ავტორის მეორე მოსაზრებაც იმის შესახებ, რომ „იოსებზილიხანიანის“ ორ ძველ ქართულ ვერსიას შემოუნახავს იმ სპარსული ვარიანტების კვალი, რომელთაც ჩვენამდე არ მოუღწევიათ. თეიმურაზისეული „იოსებზილიხანიანის“ აღმოსავლური ვერსიების ფონზე განხილვამ მეცნიერი მიიყვანა დასკვნამდე, რომ ნაწარმოების ლექსიკა, აფორისტული და იდიომატური გამოთქმები, პოეტიკა - „ყოველივე ეს იმდენად საერთოა „ვეფხისტყაოსანთან“, უბრალო შედარებაც კი ააშკარავებს მათ კავშირს“... აგრეთვე, „აღორძინების ხანის“ ეს ერთ-ერთი ადრინდელი და მნიშვნელოვანი ძეგლი უდავოდ შეიტანს განსაკუთრებულ წვლილს „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლისა და კომენტირების ურთულეს საქმეში.

აღექსანდრე გვახარიას მეცნიერულ ხედვას არც ერთი, მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი მოვლენა არ გამოჰპარვია, რაც ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობის პრობლემის ირგვლივ იყრის თავს. ამასთან, იგი უდიდესი სიტბოთი და სიყვარულით იხსენებს იმ ადამიანებს, რომლებმაც ამაგი დასდეს აღნიშნული პროცესის მეცნიერულად გაშუქებასა თუ საკუთრივ ირანისტიკის პრობლემების კვლევას. რომელი ერთი ჩამოვთვალოთ: ნიკო და იური მარები, სოფიო მარი თუ აღექსანდრე ბოლდირევი, იუსტინე აბულაძე თუ დავით კობიძე. ბევრთან პირადი ნაცნობობა აკავშირებდა, ზოგს კი თავად არ იცნობდა, მაგრამ მათი მეცნიერული მემკვიდრეობის თაყვანისმცემელი და დიდი მოჭირანახულე იყო...


აკადემიკოს გიორგი წერეთელს აქვს ერთი ძალზე მომხიბვლელი მეცნიერული დაკვირვება, რომელიც რუსთველური პოეტური ხატის, „ხელიხელ საგოგმანები მარგალიტის“, ეტიმოლოგიას უკავშირდება. ზღვაში გაბნეული ძვირფასი თვლების ამოღების შემდეგ ერთ მწკრივად დაწყობილი მარგალიტის მაძიებლები ხელში სათუთად აგოგმანებენ თავიანთ იშვიათ მონაპოვარს და ერთმანეთს გადასცემენ ამ უაღრესად რთულ და შრომატევადი სამუშაოს შესასრულებლად მანამ, ვიდრე მარგალიტი იდეალურად მრგვალ ფორმას არ მიიღებს. ამიტომაც გაჩენილა ტერმინი „ხელიხელ საგოგმანები“, რომლის სინონიმადაც „იშვიათი“, იგივე „ობოლი“ მარგალიტი მოიაზრება.

ცნობილია, რომ შუა საუკუნეების აღმოსავლურ მწერლობაში ამ სახემ მნიშვნელოვანი ფილოსოფიური დატვირთვა შეიძინა.

ჭეშმარიტი მეცნიერის მგზნებარებით ამოჰქონდა აღმოსავლური ლიტერატურის ისტორიის უკიდვანო ზღვაში „გაბნეული მარგალიტები“ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნევრ-კორესპონდენტს, პროფესორ ალექსანდრე გვახარიას და თითოეულ მათგანს მხოლოდ მისთვის ჩვეულ, განუმეორებელ ფორმასა და ხიბლს ანიჭებდა.

მის კერძო არქივში შემონახული დიდი და ხანგრძლივი შრომის შედეგად მიღებული და ერთად თავმოყრილი მრავალი დასკვნა თუ მოსაზრება ჯერ კიდევ ელის პირუთვნელი მკითხველის შეფასებას. გვჯერა, რომ ისინი, ისევე როგორც სახელოვანი ორიენტალისტის სხვა არაერთი წიგნი, კვლავაც გაამდიდრებს მკითხველის წარმოდგენას ქართულ-სპარსულ ლიტერატურულ ურთიერთობებზე, იმ მჭიდრო კონტაქტებზე, რომლებიც საუკუნეების მანძილზე საქართველოს გარესამყაროსთან აკავშირებდა...

ქეთევან ტომარაძე



ჩვენი შურა

ღრ დარჩენილა მეცნიერისა და პიროვნების ღირსების გამოხატველი ეპითეტი, რომელიც ალექსანდრე გვახარიასათვის არ მიეძღვნათ. ეს ნიშნავს, რომ არ არსებობს ღირსების გამოხატველი ეპითეტი, რომელიც შურას არ დაემსახურებინოს, როგორც მეცნიერსა და მოქალაქეს.


მე მინდა აღვნიშნო ის საყურადღებო წვლილი, რომელიც ალექსანდრე გვახარიას მიუძღვის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალ „მაცნეს“ ენისა და ლიტერატურის სერიის გამოცემაში. მინდა მაღლიერება გამოვხატო მის მიმართ იმ თანადგომისათვის, რომელიც მან გამიწია მე, ამ ჟურნალის პასუხიმგებელ მდივანს, ოცდათორმეტი წლის მანძილზე. ალექსანდრე გვახარიამ ამ ორგანოს მაღალმეცნიერულ დონეზე გამოცემისათვის ზრუნვა დაიწყო ჟურნალის დაარსებისთანავე, 1971 წლიდან და სიცოცხლის ბოლო დღემდე სანიმუშო მოამაგე გახლდათ. იგი 1971-1989 წლებში სარედაქციო კოლეგიის სწავლული მდივანი იყო, ხოლო 1990-2002 წლებში – რედაქტორის მოადგილე. შურას იშვიათი ზნეობრივი პასუხიმგებლობა და პუნქტუალობა ახასიათებდა. ოცდათორმეტი წლის მანძილზე იგი თითქმის ყოველ ორშაბათს მოდიოდა რედაქციაში. რაიმე გარემოების გამო თუ ვერ შეძლებდა ორშაბათს მოსვლას, ამის შესახებ წინასწარ მაცნობებდა ტელეფონით და სხვა დღეს მოვიდოდა. ეცნობოდა გამოსაქვეყნებელ ნაშრომებს, უზრუნველყოფდა ჟურნალს სათანადო საკითხებისა და თარიღებისადმი მიძღვნილი წერილებით. განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ახალგაზრდა, დამწყებ მეცნიერთა შრომებს. ხშირად მიუცია მათთვის მნიშვნელოვანი მითითება და ავტორთა გულწრფელი მადლობა დაუმსახურებია. საჭიროების შემთხვევაში მზად იყო ჟურნალის გამოცემასთან დაკავშირებული ყველა საკითხის მოგვარებაში დასახმარებლად.

დახმარების განევა, სიკეთის ქმნა შურას შინაგანი მოთხოვნილება გახლდათ. მრავალი მეცნიერის წერილი მოჰქონდა რედაქციაში გამოსაქვეყნებლად, საკუთარი ნაშრომის დაბეჭდვა კი ერიდებოდა. გარკვეული ძალისხმევა დამჭირდა, რომ „მაცნეში“ გამოექვეყნებინა თავისი ბოლოდროინდელი ნაშრომები „ვისრა-მიანის“ ტექსტის საკითხებზე. თუ გაიგებდა ვინმეს გასაჭირს და თუ შეეძლო დახმარება, სიამოვნებით შესთავაზებდა თანადგომას. ამ მხრივაც უამრავი ადამიანი ჰყავდა მაღლიერი.

შურა უაღრესად უშუალო, თბილ და ხიბლიან ურთიერთობას ამყარებდა ყველასთან. მას მრავალი ადამიანი თვლიდა თავისად, თავის მახლობელ პიროვნებად. რა თქმა უნდა, ჟურნალ „მაცნეს“ ენისა და ლიტერატურის სერიის რედაქციის თანამშრომლებისათვის ალექსანდრე გვახარია – ჩვენი შურა იყო. შურას ნათელი ხატი წარუშლელელად აღიბეჭდა ჩემს ცნობიერებაში.

შურას თავის თავზე საუბარი არ უყვარდა, იშვიათად ორიოდ სიტყვა თუ წამოსცდებოდა. დაკვირვებული თვალი ამ ორიოდ სიტყვის უკან ღრმა განცდებსა და სულიერებას დაინახავდა. გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე თავისი ნაშრომის – „ვისრამიანის“ ქართული ტექსტის საკითხებისათვის“ ბოლო, მესამე ნაწილი გადმოძვა: მე ამ წერილის დაბეჭდვას ვერ მოვესწრები და შენთან იყოსო. გაოცებულმა შევხედე: არაფერი გჭირს სამაგისო და თავს მიხედე-მეთქი. ვაი, რომ გამართლდა მისი გუმანი. დავიღალეო, – თქვა ბოლო დროს. ახლა რომ ვფიქრდები, ვრწმუნდები: შეუძლებელი იყო, შურას ბუნებისა და ხვედრის (მშობლების გადასახლება, შვილისა და მეუღლის გარდაცვალება...) ადამიანი არ დაღლილიყო, აბედივით დინჯად არ დაფერფლილიყო.

გალაქტიონ ლლონტი



ბატონ ალექსანდრეს მოვუსმინოთ...

ბატონი ალექსანდრეს უდროო წასვლას ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში მოჰყვა მრავალი გამოსათხოვარი წერილი - ოფიციალური, კოლეგა-მეგობრებისა, მონაფეებისა... ქართულ სამეცნიერო საზოგადოებას უცხოეთიდანაც მრავლად მოუვიდა სამძიმარი ამ მძიმე დანაკლისის გამო.

ამ მცირე წერილში ზედმეტად ვთვლი პროფ. ა. გვახარიას სამეცნიერო მოღვაწეობის ფართო განხილვას, მით უმეტეს, რომ საქმე ეხება 300-ზე მეტ ნაშრომს, მათ შორის 12 მონოგრაფიას, მიძღვნილს ქართული ლიტერატურის ისტორიის, კლასიკური სპარსული ლიტერატურის, ქართულ-სპარსული, ქართულ-აზერბაიჯანული, ქართულ-ტაჯიკური, ქართულ-რუსული ლიტერატურული და კულტურული ურთიერთობების, ქართული და აღმოსავლური ტექსტოლოგიის, წყაროთმცოდნეობის, ლექსიკოლოგიის, ქართული და აღმოსავლური პოეტიკის საკვანძო საკითხებისადმი.

პიროვნული მომხიბვლელობა, სიკეთე, უმაღლესი ზნეობა, სულიერი გულუხვობა ამ დიდი ადამიანისა კიდევ ერთი ამოუწურავი თემაა და ალექსანდრე გვახარიას ხსენებისას ეს მომენტები ხშირად ფარავენ კიდევაც მის სამეცნიერო მიღწევებსა და მწვერვალებს, რადგან თავადაც უწყოდა, რომ მაღალი ზნეობისა და კაცობის გარეშე არც ჭეშმარიტ მეცნიერებაზე შეიძლება იყოს საუბარი.

თითქოს სათქმელიც აღარაფერი დარჩა... მაგრამ... მოდით, თავად ბატონ ალექსანდრეს მოვუსმინოთ. აღმოსავლეთ-მცოდნეობის ინსტიტუტის კანცელარიაში არსებულ მის პირად საქმეში რამდენიმე ავტობიოგრაფიაა. პირველი 1960 წელსაა დაწერილი, ბოლო, 1993 წლით თარიღდება, ყველა მათგანი ერთგვერდიანია, მაგრამ სრულად ახასიათებს ავტორს და თავისუფლად შეიძლება მათი შერწყმა ჭეშმარიტებისა და სინამდვილის არასაზიანოდ:

„მე, ალექსანდრე აკაკის ძე გვახარია, დავიბადე 1929 წლის 30 ივლისს თბილისში, პედაგოგის ოჯახში. 1937 წელს, მშობლების რეპრესირების შემდეგ, ვიზრდებოდი ნათესავებთან. 1947 წელს ოქროს მედლით დავამთავრე I საშუალო სკოლა და იმავე წელს ჩავირიცხე თბილისის სახ. უნივერსიტეტის აღმოსავლეთ-მცოდნეობის ფაკულტეტზე (ირანული ფილოლოგიის განხრით), რომელიც წარჩინებით დავამთავრე 1952 წელს... აქედან გამომყვა ღრმა სიყვარული სპარსული ენისა და ლიტერატურისა, რომელსაც

ეგოდენი მნიშვნელობა აქვს ქართული საერო ლიტერატურის ისტორიის კვლევაში... მიუხედავად იმისა, რომ წარმატებით ჩავაბარე საასპირანტო გამოცდები, ასპირანტურაში არ ჩამრიცხეს მშობლების „დანაშაულის“ გამო...”

ავტობიოგრაფიის ოცდაათიოდე სტრიქონში ალექსანდრე გვახარია თავს მოვალედ თვლის გამოხატოს უდიდესი მონინება და სიყვარული თავისი დიდი მასწავლებლების – კორნელი კეკელიძის, ალექსანდრე ბარამიძის, იუსტინე აბულაძის, ვლადიმერ ფუთურუიძისა და დავით კობიძის მიმართ. „...ვცდილობ, გადავცე ცოდნა სტუდენტებს და მით გავაგრძელო ჩემი მასწავლებლების ტრადიცია“, – ასე ასრულებს იგი 1988 წელს თავის ავტობიოგრაფიას. ამ მოკრძალებული წინადადების უკან დგას მრავალი მადლიერი ახალგაზრდა, რომელთაც ბატონი ალექსანდრე უშურველად ასწავლიდა ადამიანობისა და მეცნიერების გზას.

აკად. ალ. ბარამიძის სამეცნიერო მოღვაწეობისადმი მიძღვნილ ერთ სტატიაში ა. გვახარია აღნიშნავს მასწავლებლის ერთ-ერთ შესანიშნავ თვისებას. ესაა „თავისი მოწაფეების წარმატებით გულწრფელი გახარება!“. თავად ბატონ ალექსანდრესაც ხომ უხვად მომადლებული ჰქონდა ეს ნიჭი!

ყველასათვის ცნობილია, რომ ა. გვახარიას და მ. თოდუას მიერ ქართული „ვისრამიანის“ მიხედვით შესწორებული სპარსული „ვისრამიანის“ ახალი კრიტიკული ტექსტის გამოცემამ თეირანში 1970 წელს ქართველ მეცნიერებს მსოფლიო აღიარება მოუტანა. თავის ერთ-ერთ უკანასკნელ სტატიაში ბატონი ალექსანდრე წერს: „დიდი ხნის წინათ... მაგალი თოდუასთან ერთად შეპყრობილები ვიყავით „ვისრამიანით“ (თუ დამიჯერებთ, ეს გრძნობა დღემდე არ გამწვანდება). ასევე „შეპყრობილი“ იყო იგი „ვეფხისტყაოსნით“, ქართული და სპარსული ლიტერატურის საყოველთაოდ აღიარებული თუ მხოლოდ სპეციალისტთა ვიწრო წრისათვის ცნობილი ძეგლებით, მთლიანად მსოფლიო ლიტერატურით, რადგან ჰქონდა უტყუარი მნიშვნელობა ალლო და გემოვნება... 1956 წელს პროფ. დ. კობიძე აღნიშნავდა, რომ „ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ალ. გვახარია უსწორებს სპარსული ტექსტის ნაკითხვასა და გაგებას ისეთ ცნობილ მეცნიერ-ირანისტებს, როგორიც არიან ი.მარი, კ.ჩაიკინი და სხვები“. „სხვების“ სია ა.გვახარიას შემდგომი მოღვაწეობის მანძილზე საგრძნობლად გაიზარდა, მაგრამ სამეცნიერო პაექრობასა და კამათში იგი მუდამ კეთილგანწყობილი და კორექტული იყო.

...და ისევ ბატონ ალექსანდრე გვახარიას ხმას დავუბრუნდეთ. დიდი მასწავლებლების ღირსეული მოწაფე 1973 წელს ასე გამოეთხოვა ქართული მეცნიერების კორიფეს, აკადემიკოს

გიორგი წერეთელს: „ადრიანი შემოდგომით დაჭკნენ თქვენი დღეები, ბატონო გიორგი, მაგრამ მარად იყვავილებენ თქვენთა ნაშრომთა ფურცლები, მარად გაგიხსენებენ თქვენი მოწაფეები, მარად დაგვიბრუნდებით თქვენს ნააზრევში, ჩვენთვის ეტალონად-ქცეულ თქვენს დაუვინყარ პიროვნებაში“.

სწორედ ეს ხმა გაგვახსენდა 2002 წლის ადრიანი შემოდგომით, როდესაც ალექსანდრე გვახარიას ვემშვიდობებოდით...

ნიკო ნახუცრიშვილი





სამარადისოდ გემშვიდობები

ალექსანდრე გვახარია გამოაკლდა ქართულ მეცნიერებას, ქართულ კულტურას, ინტელიგენციის რჩეულ ფენას, მთელ საზოგადოებას. გამოგვაკლდა ჩვენ – იმ თაობას, ვინც საკუთარ თავზე გამოსცადა ოცდაჩვიდმეტის კომმარიც, მეორე მსოფლიო ომის გაუსაძლისი წლებიც, კომუნისტური დიქტატურის აღუწერელი საშინელებანიც...

ალექსანდრე გვახარია – შურა, როგორც იცნობდა მთელი თბილისი.

გაუხარელი ბავშვობა, გაუხარელი სიჭაბუკე, როდესაც რეპრესირებულ მშობელთა შვილს ასპირანტურის გზაც კი გადაუკეტეს, თუმცაღა იმთავითვე ყველასათვის ცხადი იყო, რომ მისი სახით ერთი უგამოჩენილესი აღმოსავლეთმცოდნე ეზრდებოდა ქვეყანას.

არც ხანდაზმულობის ჟამს გაუხარია დიდად. ვერც გაიხარებდა მისი ბუნების კაცი დღევანდელ გატყუარებულ საქართველოში. მაგრამ შურა გვახარია – თავგადაკლული მეცნიერი, თაობათა აღმზრდელი და მოძღვარი – სანაცვლო სიხარულს არც გამოელოდა ცხოვრებისაგან, ისე ალასრულებდა თავის საშვილიშვილო ვალს უჩუმრად და უპრეტენზიოდ. სულის სიღრმემდე შემძრა მისმა უღვთო აღსასრულმა.

როგორც პოეტმა ბრძანა – გემშვიდობები სამარადისოდ.

რევაზ თვარაძე

მცირე მოგონება საყვარელ მეგობარზე

ზუსტად ათი წლის წინ, როდესაც გარდაიცვალა ჩემი მეუღლე – ვახტანგ (გუგული) ბააკაშვილი, „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნებულ ალ. გვახარიას წერილს სათაურად ჰქონდა „კაცი-სანთელი“.

2002 წლის 27 სექტემბრის „ლიტერატურულ საქართველოში“ კი ალ. გვახარიას გარდაცვალებასთან დაკავშირებულ ცნობილ მეცნიერთა წერილებს შორის იყო აგრეთვე შესანიშნავი ფილოლოგის ზურაბ სარჯველაძის წერილი, რომლის სათაურიც ზუსტად ემთხვეოდა ალ. გვახარიას მიერ დაწერილი წერილის დასათარურებას – „კაცი-სანთელი“. მაშინ გამოაცა ამგვარი მეტაფორის დამთხვევამ, თუმცა დიდად არ უნდა გამკვირვებოდა, რადგანაც როგორც ჩემი მეუღლე, ასევე ჩვენი შურა, თავიანთი პიროვნული თვისებებით სრულიად ამართლებდნენ ამგვარ სათაურს. დღეს კი ჩვენ შორის აღარც ზურაბ სარჯველაძეა...

მაღე ერთი წელი შესრულდება ცნობილი მეცნიერის, ალექსანდრე აკაკის ძე გვახარიას გარდაცვალებიდან.

დიდია ალ. გვახარიას როლი ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობის შესწავლის ისტორიაში. არა ერთი და ორი ფუნდამენტური ნაშრომი მიუძღვნა მან თავის საყვარელ საქმეს, მაგრამ იგი არა მხოლოდ გამორჩეული მეცნიერი იყო. ვისაც კი მასთან საქმე ჰქონია, იცის, რომ შურა გვახარია, როგორც პიროვნება, იმ ადამიანთა რიგს მიეკუთვნება, რომელთა სახელს დავიწყება არ უწერია არა მარტო როგორც მეცნიერს, არამედ როგორც აღმზრდელს, პედაგოგს, ადამიანთა მეგობარს. მე სწორედ ამ უკანასკნელზე შევაჩერებდი ყურადღებას.

შურა მე უფრო ადრე გავიცანი, ვიდრე ჩემმა მეუღლემ. მე მაშინ, ასპირანტურა ახლადდამთავრებული, ვმუშაობდი ლიტერატურულ მუზეუმში (დღეს გ. ლეონიძის სახ. ლიტერატურის მუზეუმი).

დირექციამ გადამწყვიტა, რომ ჩატარებულიყო ხელნაწერთა განყოფილების ინვენტარიზაცია. ხელნაწერთა განყოფილება (რომლის მდიდარი ფონდის შექმნა ჩვენი საყვარელი პოეტის – გ. ლეონიძის დამსახურებაა), საკმაოდ დიდი იყო და მისი ინვენტარიზაციისათვის საჭირო შეიქმნა ხელშეკრულებით სამუშაოზე მოგვეყვანა ფილოლოგები. უმუშევარ ფილოლოგთა შორის იყო შურა გვახარიაც, რომელიც იმთავითვე მისთვის დამახასიათებელი მუყაითობით შეუდგა საქმეს. მან არც იმაზე განაცხადა უარი, რომ დამჯდარიყო უშუალოდ ხელნაწერთა სეიფში, რომელიც საშინლად გაყინული იყო, იმ ერთი ოთახისგან განსხვავებით, სადაც ხელნაწერებს ოციოდე ადამიანი უჯდა და რომელიც იმ დროს

შეშით თბებოდა. შურა კი იჯდა მარტო და მას ჩვენგან მძიმე სეიფის კარი აშორებდა.

რამდენიმე წლის შემდეგ მეც, ჩემი მეუღლეც, შურაც და მისი შესანიშნავი მეუღლე – ცირა კალაძე რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის თანამშრომლები გავხდით. აქედან დაიწყო ჩვენი ახლობლობა და მეგობრობა.

მამინ აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი ჯერ კიდევ არ არსებობდა, მაგრამ არც შურასთვის და არც მაგალი თოდუასთვის (რომელიც აგრეთვე ჩვენი ინსტიტუტის თანამშრომელი გახდა), ამ გარემოებას ხელი არ შეუშლია, რომ მთელი ენერგიით შესდგომოდნენ ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობების კვლევას, თუმც მალე ისინი ჩვენს ინსტიტუტს გამოეთხოვნენ და როგორც უნივერსიტეტში, ასევე აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში წარმატებით განაგრძეს თავისი საქმიანობა.

არ შემიძლია არ აღვნიშნო ისიც, რომ როდესაც ბოლო წლებში ალ. გვახარიას შოთა რუსთაველის სახ. ლიტერატურის ინსტიტუტთან არავითარი მოვალეობა არ აკავშირებდა, იგი მაინც ჩვენი ინსტიტუტის მოჭირნახულე იყო და თავისი გამოსვლებით და მოხსენებებით არაერთხელ დაუმშვენებია ჩვენი სამეცნიერო სესიები და დისკუსიები. ბევრი არა, მაგრამ რამდენიმე წერილი შემორჩენილი მაქვს შურასა და გუგულის მიმონერიდან. ეს ის დროა, როდესაც საქართველოსა და რუსეთს შორის მიმოსვლას არავითარი ვიზა არ სჭირდებოდა, როდესაც ჩვენი ინსტიტუტებიდან თანამშრომელთა სამეცნიერო მივლინებებში წასვლა და მუშაობა არათუ შესაძლო, აუცილებელიც იყო. ამიტომ როგორც შურას, ასევე გუგულის, ხშირად უხდებოდათ წასვლა მოსკოვსა თუ პეტერბურგში. ვერ ვიტყვი, რომ ეს წერილები იმაზე მოგვითხრობდეს, როგორ მუშაობდნენ ისინი იქ, რა ნახეს, რა მოიძიეს და ა.შ. წერილები სავსეა იუმორით, ერთმანეთს მოუთხრობენ აქაურ და იქაურ ამბებს, საუბრობენ ოჯახის საქმეებზე და სხვ.

მახსენდება ერთი პატარ ეპიზოდი შურასაგან გამოგზავნილ დეპეშათან დაკავშირებით. როდესაც მე შემეძინა ვაჟი, იმთავითვე გადავწყვიტე, რომ მისთვის ჩემი მაზლის – გივი ბაკაძევილის სახელი დამერქვა. გივი იყო გუგულის უფროსი ძმა, შესანიშნავი გეოლოგი და ადამიანი, ხოლო მათი ბიძა იყო აკად. ალექსანდრე ჯანელიძე, რომელთანაც ვცხოვრობდით ჩვენ, რადგან მას ცოლ-მგილი არ ჰყავდა. როდესაც ჩვენს ოჯახში გაჩნდა ვაჟი, გუგულიმ მოინდომა მისთვის ბ-ნი ალექსანდრეს სახელის დარქმევა, მე კი მივინდოდა, რომ მისი სახელი ყოფილიყო გივი. ასე გაგრძელდა თითქმის ერთი თვის განმავლობაში, ბავშვს სახელი არ ჰქონდა.

შურამ ჯერ კიდევ ბავშვის დაბადებამდე იცოდა, რატომ მინდოდა ბავშვი სახელად გივი და არა ალექსანდრე: ჩვენი ბიჭი ბააკაშვილია და არა ჯანელიძე, ამიტომ უნდა ერქვას გივი-მეთქი. ვართ წყნეთში ჩვენი უსახელო პატარა ბიჭით. შურა ამ დროს ლენინგრადშია მივილინებით. უცებ წყნეთში მოდის დეპეშა: „გილოცავთ ჩემი სეხნიის დაბადებას – შურა“. ჩემი მეუღლის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა – არც ახლა დაარქმევო? – მეკითხებოდა გახარებული.

რასაკვირველია, ბ-ნმა ალექსანდრემ არაფერი იცოდა ჩვენი დავის შესახებ ბავშვის სახელთან დაკავშირებით. შურას დეპეშამ გადაწყვიტა სახელის პრობლემა და სადილის დროს ბ-ნ ალექსანდრეს (ჩვენ მას ბიძიას ვეძახდით) დიდი ამბით ვახარეთ, რომ ბიჭს ალექსანდრე დავარქვით და რომ ისიც გეოლოგი გვინდა გამოვიდეს. ვერც წარმოვიდგენდი, თუ ასე გაახარებდა მას ეს ამბავი. წამოწოტილებული და მომცინარი გვეკითხებოდა: „კი მაგრამ, გეოლოგი იქნება თუ არა, ამას თქვენ ვინ გკითხავთ, ეს მისი გადასაწყვეტი იქნებაო“.

რადგან სიტყვა ბ-ნ ალექსანდრეზე ჩამოვარდა, მინდა გავიხსენო როგორი ურთიერთობა ჰქონდა შურას ბ-ნ ალექსანდრესთან. შურას ყოველი მოსვლა ჩვენთან იმდენად უხაროდა ბ-ნ ალექსანდრეს, რომ სასწრაფოდ დაანებებდა თავს მუშაობას და გამოვიდოდა ჩვენსკენ. და იწყებოდა საინტერესო ბაასი შურასა და ბ-ნ ალექსანდრეს შორის მეცნიერების, კულტურის თუ რაიმე სხვა სერიოზულ საკითხზე.

ერთხელ (წელი არ მახსოვს) ტელევიზია იღებდა ფილმს ივანე ჯავახიშვილის შესახებ. როგორც ვიცით, ფილმში ჩართულია ქართველ მეცნიერთა 2-3 წუთიანი მოგონებები ბ-ნი ივანეს შესახებ. უნდოდათ, რომ ბ-ნ ალექსანდრესაც ეთქვა რამდენიმე სიტყვა. როდესაც ამის შესახებ გავიგეთ, ვიფიქრეთ, რომ ეს საქმე არ გამოვიდოდა, ბ-ნი ალექსანდრე ტელეკამერიის წინ არავითარ შემთხვევაში არ გაჩერდებოდა. შუამდგომლობა ბ-ნი ალექსანდრეს წინაშე შურამ იკისრა (საკითხი ხომ ივანე ჯავახიშვილის ხსოვნას ეხებოდა!). ასე რომ, ფილმში ალ. ჯანელიძის რამდენიმეწუთიანი მოგონება ივ. ჯავახიშვილის შესახებ უშუალოდ ჩვენი შურას დამსახურებაა.

არ შემიძლია არ გავიხსენო შურას როლი გუგულის მიერ დანერგილ „ეზოპეს“ შექმნაში. ერთხელ შურა გუგულის ეუბნება: „კაცო, შენ ხომ ეზოპეს არაკების ქართულ თარგმანებზე გქონდა საკანდიდატო დისერტაცია. მოდი რა, დანერე „გამოჩენილ ადამიანთა სერიისათვის“ ეზოპეს ცხოვრება!“ გუგული ჯერ მოკვდა სიცილით, მერე კი, როგორც ჩანს, ჭკუაში დაუჯდა და

შეუდგა საქმეს. მალე (1965 წ.) მკითხველმა მიიღო „ნაკადულის“ მიერ ამ სერიით გამოცემული „ეზოპე“.

გავიდა ცოტა ხანი და გუგული შეუდგა „ესქილეზე“ მუშაობას, რომელიც 1975 წელს გამოიცა კიდეც. ხოლო როდესაც ზურაბ კიკნაძისა და გიგლა სარიშვილის მიერ 1979 წელს თარგმნილი ევრიპიდეს „ბაკხი ქალების“ და „იფიგენია ავლისში“-ს თარგმანს მან წინასიტყვაობა გაუკეთა, გადაწყვიტა ევრიპიდეს ცხოვრებაზე შეექმნა მხატვრული ნაწარმოები, რაც მას აღარ დასცალდა. შურა კი ეხუმრებოდა გუგულის – თუ მწერლის სახელი ე-თი არ იწყება, შენ ხელს არ მოკიდებო?“ გუგულის ძალიან მოეწონა შურას ეს ნათქვამი და მერე თვითონ, როგორც თავის ნათქვამს, ისე ასაღებდა.

შურა ბევრი უბედურების გადამტანი იყო ცხოვრებაში: რეპრესირებულის შვილი, პატარა გოგონას დამკარგავი და ბოლოს უსაყვარლესი მეუღლის გარეშე დარჩენილი. მაგრამ მისი სიხარული იყო ის, რომ მას ჰყავდა და ჰყავს შესანიშნავი ვაჟი, აკა, რომელიც ამერიკაში მოღვაწეობს და ჰყავს მშვენიერი ოჯახი, რომლის ჩამოსვლასაც ყოველ ზაფხულს ასეთი თრთოლვით ელოდა ბაბუ.

ორიოდე წლის წინ პატარა სანდროს (უფროს შვილიშვილს) ჩემს შვილიშვილთან ერთად აკას მეგობარმა – ლევან ახვლედიანმა ისტორიაში პატარა გამოცდა მოუწყო, რასაც თურმე მშვენივრად გაართვა თავი სუფთა ქართულით მოსაუბრე სანდრომ, რითაც ყველანი აღტაცებულნი დარჩნენ. თურმე ამ ამბის გაგებაზე შურას სახეზე აუწერელი ბედნიერება გამოეხატა. ეს იყო მისი უკანასკნელი მეხვედრის წელი საყვარელ შვილიშვილებთან.

ნინო მახათაძე



„ჩემგანი!...“

ძალიან ძნელია, უკვე წარსულ დროში წერო შენთვის ესოდენ ძვირფას ადამიანზე, როგორიც ბატონი შურა იყო, თან ისეთი სიტყვები მიუსადაგო მის პიროვნებას, რაც ჯერ არ თქმულა მასზე. მის შესახებ კი ამ მოკლე დროში ბევრი თბილი და სიყვარულით გაჯერებული სიტყვა ითქვა და დაიწერა, მომავალშიც კვლავ ბევრი ითქმება და დაიწერება, როგორც მის მრავალფეროვან სამეცნიერო მოღვაწეობაზე, ისე მისი პიროვნების განუმეორებელ ხიბლზე, ჭეშმარიტ სწავლულსა და დახვეწილ ინტელიგენტზე, მუდამ სხვაზე მზრუნველ ადამიანზე.

ის იყო არაჩვეულებრივი მამა და ბაბუა, ჭეშმარიტად მგლოვიარე მეუღლე, რაც ქალბატონ ცირას უდროოდ გარდაცვალებამ წარმოაჩინა. იმდენად დიდი იყო ერთგულ მეუღლესა და მეგობართან განშორებით გამოწვეული წუხილი, რომ ის თითქოს უცბად დაბერდა, წვერი მოუშვა, რაც ძალიან გვაღიზიანებდა მის ახლობლებს, მაგრამ ვერავინ აიძულა მისი გაპარსვა. თითქოს ამით თავს შეგნებულად იბერებდა, გეგონებოდა, ამ წვერებში დაიბუდა ყველა იმ ტკივილმა და სევდამ, რაც მას განგებამ არგუნა... განგებამ კი ბევრი სიმწარე მოუვლინა მას წუთისოფლის გზაზე, მაგრამ ვერაფრით შეარყია მისი დიდი ჰუმანურობა და სიკეთე...

ყველას, ვისაც ბატონ შურასთან ჰქონდა ახლო ურთიერთობა, ის მხოლოდ თავისად მიაჩნდა. ამიტომ დააკლდა იგი ასე ბევრ ადამიანს, მათ შორის – მეც. ის ხომ ჩემი არა მარტო მასწავლებელი და უანგარო მოამაგე იყო, არამედ მესაიდუმლეც და უფროსი მეგობარიც. ამის თქმის უფლებას კი მაძლევს მისგან ნაჩუქარი ცნობილი ლიტველი მხატვრის ჩურლიონისის მეტად ლამაზი და მისტიკური სურათის ფოტოასლი, რომელსაც სათაურად „მეგობრობა“ ჰქვია და რომელსაც ბატონ შურას ლამაზი კალიგრაფიით წარწერილი მხოლოდ ერთი მრავლისმთქმელი სიტყვა მუხტავდა: „ჩემგანი!!!“

ჩემთვის ძალიან ძვირფასია ყველა წარწერა, რაც ბატონ შურას თავის ნაჩუქარ წიგნებზე გაუკეთებია. მათში იმდენი ადამიანური სიტბო და სიყვარულია ჩაქსოვილი, რასაც ის ასე უხვად ანაწილებდა ყველაზე, რომ მისი ეს გამორჩეული უნარიც, ვფიქრობ, ცალკე წერილის თემა შეიძლება გახდეს.

ამ სევდიან წერილში ერთი სახალისო მომენტი მინდა გავიხსენო: ანდრეი ვოზნენსკის აქვს ერთი ლექსი, რომლის სათაურია „Двояродная жена“. ირა გოცირიძე, ცირა ბოჭორიშვილი და მე ერთმანეთს ვეჯიბრებოდით რა ბატონ შურას სიყვარულში,

ერთმანეთს „двоюродные жёнушки“-ს ვეძახდით და ამით ძალიან ვახალისებდით და ვაცივებდით დიდი იუმორის გრძნობით დაჯილდოებულ ბატონ შურას.

დიდ პოეტს უთქვამს: „ყველას რაიმე აქვს სახსოვარი“, საბედნიეროდ, მეც მრავლად მაქვს ბატონ შურასგან სახსოვარი და მოსაგონარი, რაც, დიდი ხანია, ჩემი ცხოვრების მნიშვნელოვან ნაწილად იქცა.

განუზომლად დიდია წუხილი, რაც მარადიულ სასუფეველში მისმა ასე უეცრად გადანაცვლებამ გამოიწვია...

P.S. ახლახან ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის სამეცნიერო კრებულში („რუსთველოლოგია II“, 2003 წ.) დაიბეჭდა ჩემი სტატია: „კიდევ ერთხელ „ვეფხისტყაოსნის“ 123-ე (122) სტროფის შესახებ“, რომელიც ეძღვნება ბატონი ალექსანდრე გვახარიას ნათელ ხსოვნას.


აღნიშნული სტატია და კიდევ ერთი დაუბეჭდავი წერილი, რომელიც ეხება სიტყვა „დარიჯაგს“ „ვეფხისტყაოსანში“, ჩემ მიერ მომზადებული იყო დასაბეჭდად ჯერ კიდევ ცხრა წლის წინ, მაგრამ სუბიექტურ მიზეზთა და შემდგომ გარკვეულ მოსაზრებათა გამო, როგორც ამბობენ ხოლმე, შემოდებულ იქნა თაროზე. ორივე ეს გამოკვლევა ნაკითხული და ხელდასხმული იყო ბატონი შურას მიერ, რომელიც, თავის მხრივ, დღენიადაგ მახსენებდა და მთხოვდა მათ გამოქვეყნებას და, რაც ყველაზე მთავარია, ჩემი სადისერტაციო თემის დასრულებას, რომლის ხელმძღვანელიც ბატონი სარგის ცაიშვილის გარდაცვალების შემდეგ, ის იყო. ბოლო ხანებში კი, თითქოს რაღაცას გრძნობდა, ასე მეუბნებოდა: „მომასწარი, ერთი, შენს დისერტაციას, რომ თქვენებს იქ ამბავი წაეულო“, - რაზედაც მე ძალიან ვუბრაზდებოდი. სამწუხაროდ, მის სიცოცხლეში ვერც ერთი ვერ განვახორციელე. ახლა კი ამ წერილთაგან ერთ-ერთის დაბეჭდვა გადამაწყვეტინა ბატონი შურას მოულოდნელმა გარდაცვალებამ, რომლითაც მე ჩემი უდიდესი გულისტკივილი, სევდა, მონატრება, სიყვარული და პატივისცემა გამოვხატე მის მიმართ და მინდა ვირწმუნო, რომ ამით ნაწილობრივ მაინც შევასრულე მისი სურვილი...

არჩევანი ამ სტატიაზე იმიტომ შევაჩერე, რომ ხელნაწერს ბოლოში ერთვის ბატონი შურას მიერ ჩემთვის დაძებნილი და მისივე ხელით ამოწერილი მასალა „ვისრამიანის“ სპარსული ტექსტიდან, მის მიერ იქვე მიწერილი ქართული თარგმანითურთ, მისეული კომენტარითა და სპარსული ტექსტის ქართული ტრანსკრიპციით, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს მის საოცარ ყურადღებასა და უშურველ მზრუნველობაზე, მის დაუოკებელ

დახმარების სურვილზე ყველა იმ ადამიანის მიმართ, ვისაც ბატონი შურას ენციკლოპედიური განათლების და ღრმა მეცნიერული ცოდნის გაზიარება ესაჭიროებოდა.

სწორედ ბ-ნი შურას ხელნაწერის ეს ფოტოპირი დართული აქვს ზემოთ აღნიშნულ კრებულში დაბეჭდილ ჩემს სტატიას.

ნინო მაქაძე



დაუვინყარი ადამიანის სახე

*„მზესა და მთვარეს ჩასვენებით
რამე აკლდება?“*

ჯალალ ედ-დინ რუმი*

ჰერ ერთი წელიც არ გასულა, რაც განგვშორდა დიდი ქართველი მეცნიერი და ფილოსოფოსი თამაზ ბუაჩიძე, რომ ზარის ხმასავით გაისმა ალექსანდრე გვახარიას გარდაცვალების ამბავი. ორივე მოღვაწე ერთი თაობისანი იყვნენ, ერთ სკოლასა და უნივერსიტეტში გამოზრდილნი და ორივე მათგანს ახასიათებდა ის უდიდესი ღვთაებრივი თვისება, რაც ესოდენ იშვიათია ადამიანებში – სიმდაბლე. სახარება ბრძანებს: „რომელმან აღიმალლოს თავი თვისი, დამდაბლდეს და რომელმან დაიმდაბლოს თავი თვისი – იგი ამაღლდეს“. ბატონი ალექსანდრე განსახიერება გახლდათ იმ ადამიანისა, რომელიც შემკული იყო ყოველგვარი სათნოებით, ხოლო სათნოებათა გვირგვინი – თავმდაბლობა – ყველასაგან გამოარჩევდა.

მე თამამად ვიტყვი, რომ ის იყო ჩვენი მასწავლებელი ამ სიტყვის უკეთილშობილესი გაგებით. იგი გვასწავლიდა აღმოსავლური ლიტერატურის ისტორიას და საუკეთესო მაგალითი იყო მეცნიერის, ადამიანის. ყველაში, ვინც მას იცნობდა, გაოცებას იწვევდა ის უსაზღვრო სიკეთე და მადლმოსილება, რასაც გარშემომყოფებზე ავლენდა. ბატონი ალექსანდრე ყოველთვის უნერგავდა სტუდენტებს, რომ უპირველესი, რასაც ადამიანმა ცხოვრებაში ყურადღება უნდა მიაქციოს, არის პატიოსნება და ურთიერთსიყვარული.

ბატონი ალექსანდრე ყველა პედაგოგისგან გამოირჩეოდა თავისი მიდგომით სტუდენტებისადმი. ყველა მისი ნამონაფარი გაიხსენებს, თუ რა სიცოცხლისუნარიანობას ანიჭებდა იგი ლექციებს, რაოდენ ინტერესს აღვივებდა იგი მსმენელში. პირადად მე სიხარულით აღვსილი მივდიოდი მის ლექციებზე და იქ მიღებული შთაბეჭდილებები მასულდგმულებდა მომდევნო შეხვედრამდე.

უკანასკნელად ბატონ ალექსანდრეს ლექციას ამა წლის 5 სექტემბერს დავესწარი. იგი ირანული ფილოლოგიის პირველკურსელებს სპეციალობის შესავალს უკითხავდა. ლექციის მსვლელობისას სტუდენტთა ყურადღება კედელზე დაკიდებული სამი ფოტოსურათისაკენ გადაიტანა და ახალგაზრდებს იუსტინე აბულაძე, დავით კობიძე და კონსტანტინე ფალავა გააცნო. მე კი ამ

* თარგმანი თამაზ ჩხენკელისა

კათედრის მეოთხე გამგე გახლავართო. როგორ ვიფიქრებდით, რომ სულ მალე მისი ფოტოსურათიც დაიკიდებოდა კედელზე და მასზეც ვილაპარაკებდით, როგორც გარდაცვლილზე. მე ისლა დამრჩენია, რომ ვუთხრა სპარსული ენისა და ლიტერატურის სპეციალობის პირველკურსელებს: თქვენ შეგიძლიათ ბედნიერად ჩათვალოთ თავი, რადგან ორი ლექცია მაინც მოისმინეთ იმ დიდი ადამიანისა, რომელსაც თქვენი მომდევნო თაობა ველარასოდეს მოუსმენს. რა ძნელია, შეხვიდე უნივერსიტეტის V კორპუსში იმ განწყობით, რომ მის კედლებში აღარ შეგხვდება პროფესორი ალექსანდრე გვახარია. ძალზე ძნელია გაცნობიერება იმისა, რომ ველარასოდეს ვიხილავთ ირანული ფილოლოგიის კათედრაზე მის კეთილ სახეს. ბატონი ალექსანდრე პროგრამის მიხედვით სასულიერო სემინარის IV კურსზე მასწავლიდა. მომდევნო წლებშიც, მიუხედავად იმისა, რომ მე მის საგანს აღარ ვსწავლობდი, მაინც ყოველთვის ვესწრებოდი ლექციებს და ეს არასდროს მბეზრდებოდა. გასული წლის შემოდგომაზე მითხრა, თავს სუსტად ვგრძნობ და ალბათ, თქვენთან ლექციების კითხვას თავს დავანებებო, მაგრამ იქვე დაამატა, სიონის ღვთისმშობლის მადლი მიზიდავს ამ ადგილებში და საოცრად მიჭირსო განშორება.

ღრმა რწმენით ვიტყვი, რომ ხარობს მისი სული, რადგან ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის საფარველს იგი ამიერიდან აღარასოდეს განეშორება.

საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, ღვთისსანატრელო მოძღვარო და მასწავლებლო ჩვენო!

თეიმურაზ თათარაშვილი
თბილისის სასულიერო აკადემიის სტუდენტი



ბატონ შურას – სიყვარულით

ბ შირად ცუდად იყო და მაინც არავინ ელოდა, რომ წავიდოდა. ისე, სხვათა შორის იტყოდა ხოლმე თავის ამბავს, არავინ ფიქრობდა, რომ ასე ახლოს იყო ცხოვრების ბოლო, ამ ცხოვრების, წუთისოფლის დასასრული. ცხოვრება, რაც არ უნდა ხანგრძლივი იყოს, მაინც მოკლეა, სოფელი – წუთის. ადამიანის არსებობა წლებით არ იზომება, სიცოცხლის აზრით, სიყვარულის უნარით იზომება. ამიტომ მგონია, ბედნიერად იცხოვრა ბატონმა შურამ. ნატანჯი, ტკივილიანი ცხოვრება განვლო და მაინც ბედნიერი იყო, რადგან მან ამ ცხოვრებაშივე იცოდა, რისთვის მოდის ადამიანი ამქვეყნად. სიყვარულით ცხოვრობდა. სიკეთისთვის არსებობდა. დიდი მეცნიერი იყო და კიდევ უფრო დიდი – პიროვნება. ყველას ეგონა, რომ სწორედ ის უყვარს განსაკუთრებით ბატონ შურას. მას მართლაც თითოეული ადამიანი უყვარდა განსაკუთრებით, რადგან უბრალოდ სიყვარული მას არ შეეძლო. სულით ნათელს აფრქევდა. მისი ნათელი ყველას სწვდებოდა, ყველას ჰყოფნიდა.

თბილისის უნივერსიტეტში, აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე, მან ერთი პატარა ოაზისი გააშენა, ირანული ფილოლოგიის კათედრად წოდებული. აქ ყოველთვის თბილოდა, აქ ბატონი შურას ამინდი იდგა.

ამ ბოლო წლებში ომით, სისხლით, ბოლმით, სიბნელით, გაუტანლობით ბავშვობადასახიჩრებულ, დათრგუნულ და სიკეთესგადაჩეუულ სტუდენტებს მონატრებულ სიტბოს ახვედრებდა, ადამიანის რწმენას უნერგავდა, მასწავლებლისა და წიგნის სიყვარულს ასწავლიდა.

აქ მოსვლა ყველას უხაროდა – სტუდენტს და ასპირანტს, მეგობარს და თანამშრომელს.

გვეგონა, რომ ეს ბედნიერება სულ იქნებოდა. კიდევ იქნებოდა „მერე“, ისევ იქნებოდა „ხვალ“, გონიერებისა და სულიერების განსაკუთრებული, მხოლოდ მისეული ხიბლი.

... ახლა მის მაგიდაზე სამი წითელი ვარდი დგას – ბატონი შურას უღევი სიყვარულის მცირე წვეთები.

მზია ბურჯანაძე

კეთილი მეზღაპრე

*და გაზაფხული, შემართული მწვანე კარავად,
ვერც კი შეამჩნევს, რომ ამ ქვეყნად ჩვენ აღარა ვართ
სარა ტეზდალი**

ჩემი თბილისი არასოდეს ყოფილა ასეთი უცხო ჩემთვის. თითქოს არაფერი შეცვლილა, მაგრამ ჩემს თვალში ყველას და ყველაფერს დანაშაულის დალი აზის. ვიხსენებ ბატონი ალექსანდრეს სიკეთით სავსე მზერას, გულწრფელი ალერსით გაჯერებულ საუბარს და ვერაფრით ვიჯერებ, რომ ახლა ეს მხოლოდ მოგონებაა. გრძნობები მეცლება, ფიქრებიც მერევა, რალაც გაუგებრობაში ვარ... იყო და არა იყო რა...

ბატონი ალექსანდრე კეთილ მეზღაპრეს ჰგავდა. მის გარშემო ყველანი ლამაზი ზღაპრის გმირებს ებაძავდით, ყოველ შემთხვევაში, ვცდილობდით, ასე მოვექცეულიყავით. მაგრამ ახლა?... ვინ იცის, ზღაპარი რითი დასრულდება? ვგონებ, დასრულდა კიდეც ყველაფერი. წუთისოფლის სიმუხთლე და ავბედიტობა, ვაი, რომ აღარავის უკვირს. მაგრამ ასეთი სიცარიელე ისედაც ცარიელ სამყაროში – ეს ხომ მეტისმეტია! ამბობენ, დრო ყველა გარდაუვალი უბედურების მკურნალიაო. ვინც ბატონ ალექსანდრეს იცნობდა, ამით თავს ვერ ინუგეშებს. ხანი გავა, მაგრამ მისი მონატრება უფრო და უფრო გაძლიერდება. უფრო და უფრო გაუსაძლისი გახდება ცხოვრება მისი განმტკირთველი ღიმილის გარეშე (მერწმუნეთ, რომ ასე იქნება)... და მეც თანდათან მომიხდება იმის დაჯერება, რომ ბატონი ალექსანდრე აღარ მყავს, რომ ჩემი თბილისი ჩემს ყველაზე სათუთ და ფასდაუდებელ საუნჯეს ვერ გაუფრთხილდა.

...არა, ამ გაზაფხულით ის ნამდვილად ვერ მოიწონებს თავს. მას ხომ ყველაზე მთავარი – ჩვენი სიხარული – დააკლდა წელს.

მედუა გოცაძე

* თარგმანი თამაზ ჩხენკელისა

„სხვა დროისთვის გადავდეთ“

ემოდგომის მზიანი, ცხელი დღე იყო.
სუნთქვა ჭირდა...

ალმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტთან ხალხის ტევა არ იყო.
ერი ეთხოვებოდა ალექსანდრე გვახარიას.

მე ბედნიერ ადამიანად ვთვლი თავს, რომ ვიცნობდი შურა გვახარიას. საათობით გვისაუბრია, სუფრასთანაც ვმსხდარვართ, ქუჩაში სევდიანიც მინახავს და ღიმილიანიც...

თენგიზ მირზაშვილის სახელოსნოში ხშირად შევხვედრივარ. შემოსვლისთანავე მოათვალიერებდა კედლებს. სიახლეს უმაღლესამჩნევდა... სავარძელში ჩამოისვენებდა და „აქ ყოფნა არასოდეს მწყინდება“..., – იტყოდა ხოლმე.

აი, საინტერესო კაცი.

მამა 37 წელს დაუხვრიტეს.

დედა რამდენიმე წელი გადასახლებაში იყო.

უკვე წელიწადი ახლოვდება, რაც ჩვენ შორის აღარაა ალექსანდრე გვახარია.

კეთილშობილი პიროვნება, ამაღლებული სულის, მასშტაბური აზროვნებით გამორჩეული... ამავედროულად ძალიან უბრალო, თავმდაბალი, სათნო... და, რა თქმა უნდა, დიდი ადამიანური სიბოთითი სავსე (რაც ესოდენ გვაკლია დღეს ადამიანებს).

2001 წელი, 4 აპრილი. ალექსანდრე გვახარიას ნაამბობიდან:

1986 წელია, მისაღებ გამოცდებზე ვართ მე და ოთარ ურიდია. ოთარი საარაკო სიმკაცრით გამოირჩეოდა, ამავედროულად ძალიან კარგი პიროვნება იყო.

ვცდით გოგონას, რატომღაც ახლა გვარი არ მახსენდება. საერთოდ ვერ გვპასუხობს.

- შურა, რას ელოდები? შუშხე ორიანი, – მეუბნება ოთარი.

- ოთარ, იქნებ სამიანი დაგვეწერა...

იფიქრა და... ორიანი სამიანად გადასწორდა.

და ის გოგონაც ძალიან გახარებული გავიდა აუდიტორიიდან.

ასეთი კეთილშობილი კაცი იყო ოთარ ურიდია. შენი წერილი, „ახალ განათლებაში“ დაბეჭდილი ბ-ნ ოთარზე, მომეწონა. ძალიან თბილი მოგონება იყო...

2002 წელი, 29 მარტი.

ნიკოლოზ ბარათაშვილის სახლ-მუზეუმში, თენგიზ მირზაშვილის გამოფენაზე მიმეჩქარებოდა. ადრე მივედი.

საგაზეთოდ მასალა უნდა მომემზადებინა. ვხედავ, იქვე, ახლოს, ბ-ნ შურა გვახარია, რომელიც მოწყენილი მომეჩვენა.

- ცუდად ხომ არ ხართ? – ვკითხე.

- დილით მაღალი წნევა მქონდა, არ შეშინდე, წამალიც დალეული მაქვს, გული როგორ მომითმენდა, აქ რომ არ მოვსულიყავი...

2002 წელი, 7 სექტემბერი.

2 საათზე უნივერსიტეტის V კორპუსთან დავთქვით შეხვედრა. დაცვა გაჯიუტდა.

სტუდბილეთის გარეშე არ შემიშვებს უნივერსიტეტში.

ერთი საათი ველოდი ბ-ნ შურას შესასვლელთან, იქნება გარეთ შემომხვდეს-მეთქი.

განაწყენებული წავედი რედაქციაში.

ერთი სული მქონდა, ტელეფონით დავლაპარაკებოდი.

- გისმენთ, გენაცვალე, რატომ არ მოხვედი?...

ვუამბე, რაც გადამხდა, მოვუბოდიშე, თავადაც ძალიან შეწუხდა...

- არა უშავს, გენაცვალე, სხვა დროისთვის გადავდოთ. შენც მოსულხარ და მეც გელოდე კაბინეტში ზუსტად ორი საათი.

მას შემდეგ დიდი დრო არ გასულა... მალე მისი გარდაცვალების ამბავი შევიტყვე.

ძალიან დამწყდა გული.

ინგა ფოჩხუა



მშვენიერი მაგალითი

ეს პატარა წერილი ბატონი ალექსანდრე გვახარიას სამოცდაათ წლისთავთან დაკავშირებით დაიწერა. ბუნებრივია, მისთვის არაფერი მითქვამს, ისე გამოვაქვეყნე ჟურნალ „არილში“. მინდოდა, ოდნავ მაინც მეგრძნობინებინა ის სიყვარული, რომელსაც თვითონ ნებისმიერი თავისი მოწაფის მიმართ უხვად გასცემდა, ჩვენ კი იმავეს, თუნდაც მომეტებული მონივნების გამო, ვერასდროს ვუმუღავენებდით. ჟურნალის ეს ნომერი რომ დაიბეჭდა, იმ დღითაც მისთვის არ დამირეკავს. ვიცოდი, ბატონ ალექსანდრეს, რომელიც ყველაფერს უჩვეულო ცნობისნადილით კითხულობდა, მით უფრო „არილი“ არ გამოორჩებოდა. ერთმანეთს რომ შევხვდით, უხერხულობისგან მოწაფურად ლანგებმეფაკლულმა გამიღიმა და მაღლობა დამზნაუბრით გადამიხადა – „ეს რა მიყავიო...“ მე კი მაინც ბედნიერი ვარ, რომ მოვახერხე და ძვირფას ადამიანს სიცოცხლეშივე ვუთხარი ის, რის სათქმელადაც ხშირად, სამწუხაროდ, ფატალური შედეგები გეჭირდება ხოლმე.

ბატონი ალექსანდრეს გარდაცვალების შემდეგ წერილი გაზეთმა „კალმასობამაც“ გადაბეჭდა.

გ.ლ.

დრ მინდა ეს წერილი ბანალურ სადღეგრძელოს დაემსგავსოს, რადგან თუ ვინმეს არ ეკადრება ასეთი რამ, უპირველესად – ბატონ ალექსანდრე გვახარიას, რომლის უბრალოება და სისადავე პირადად ჩემთვის მთელი ცხოვრება იქნება ადამიანურობის, მოყვასის სიყვარულისა და კაცურკაცურობის მშვენიერი მაგალითი.

უხერხულობის გრძნობას მიმძაფრებს ისიც, რომ ხშირად ყველაზე ახლობელი ადამიანებისთვისაც კი მიჭირს დაბადების დღეებისა და საიუბილეო თარიღების მილოცვა, მაგრამ დღეს თუ მაინც გადავწყვიტე ამ პატარა წერილით მივფერებოდი ჩემს საყვარელ მასწავლებელს, უფრო იმიტომ, რომ ბატონი ალექსანდრესნაირ ადამიანებს თავადვე ეუხერხულებათ ხოლმე შექება, ურჩევნიათ – ჩრდილში იდგნენ და ამის გამო, თითქოსდა დაუფასებელი რჩება მათი ღვაწლი. არადა დღეს, როცა აგრესიული სიყალბე და უმეცრება ქვეყანას ანგრევს და ხმის ჩახლეჩამდე გაჰკივის – ერთი შემომხედეთ: რაცა ვარ – მე ვარო! – ჩვენთვისვეა უმჯობესი, დავინახოთ ალექსანდრე გვახარიასნაირი მოკრძალებული კაცები და ვუთხრათ, რომ სწორედ მათ ნაჯაფარ მხრებზე დგას ბოროტებისგან აბარბაცებული დედამიწა. მათი

სიკეთე უნარჩუნებს ამ ცოდვა-მადლით გამოქექილ სინამდვილეს ადამიანურ სიტოს და იერსახეს...

იმით მაინცა ვარ ძალიან ბედნიერი, რომ უნივერსიტეტში მისულ პირველი კურსის სტუდენტს აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე დამხვდა არაჩვეულებრივი პედაგოგებისა და მეცნიერების მთელი ჯგუფი. ჩემდა სამარცხვინოდ, უნდა ვაღიარო, რომ ყველაზე უფრო ბატონი ალექსანდრე გვახარიას შემჩნევა გამიჭირდა. სტუდენტობა, მოგეხსენებათ, ის ასაკია, როცა ადამიანი, ახალგაზრდული მაქსიმალიზმისა თუ მიაშიტობის წყალობით, მყვირალა არტისტიზმის მიმართ უფრო კეთილგანწყობილია, ვიდრე დინჯი, ჩრდილში მდგომი გულწრფელობისადმი და ალბათ ამიტომ თავიდან ბოლომდე ვერ შევიგრძენი, რა მადლი მოეცა უფალს ჩვენთვის ბატონი ალექსანდრე გვახარიას სახით...

არადა, ერთ უნივერსიტეტად მარტო მისი ლექციები ღირდა სპარსულ ლიტერატურაში. დახვეწილ გემოვნებასთან შერწყმული უზარმაზარი ერუდიცია და განათლება ქმნიდა იმ სასწაულს, რასაც ერქვა ბატონი ალექსანდრეს ლექცია – ზნესრულობის, მეცნიერული და ადამიანური კეთილსინდისიერების დიდი გაკვეთილი.

ბატონი ალექსანდრე გვახარია ის ბედნიერი გამონაკლისია, ვისშიაც თანაბრადაა შერწყმული არაჩვეულებრივი ნიჭიერება და ზნეობრივი სისპეტაკე, ვისი სიტყვა და საქმეც ჰარმონიულად ავსებენ და ამრავალფეროვნებენ ერთიმეორეს. სხვათა შორის, მე დღეს საგანგებოდ არაფერს ვამბობ ალექსანდრე გვახარიას წიგნებზე, რადგან მაძიებელი კაცი, ის, ვინც ზერელედ მაინც დაინტერესებულა სპარსული ლიტერატურითა და ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიით, ისედაც ვერ აუვლის გვერდს ბატონი ალექსანდრეს ნაშრომებს მათი უდავო მეცნიერული ღირებულების გამო.

რაც შეეხება თარგმანს, ალექსანდრე გვახარიას ბევრი არ უთარგმნია, მაგრამ ქართული ლიტერატურის ისტორიაში დასარჩენად მას, ალბათ, აბუ ალი იბნ სინას (ავიცენას) ერთი რობაის ეს დიდებული თარგმანიც ეყოფა:

*„ვირებში თუ ხარ, შენაც უნდა ტლინკები ჰყარო,
ვირებს ჰგონიათ, ჩვენიო მთელი სამყარო,
ვირებში თუმცა მუდამ ვირად მომეჩონდა თავი,
მაინც გამიგეს – არაბული ტაიჭი ხარო“.*

ნელან მოგახსენეთ – ალექსანდრე გვახარიას სიტყვა და საქმე ერთმანეთს არასოდეს სცილდება-მეთქი და ალბათ ეს ლექსი, უფრო სწორედ, ამ ტექსტის სასტიკი ირონიაა ის ერთადერთი რამე,

რასაც თავისი ცხოვრების წესით რადიკალურად ემიჯნება ბატონი ალექსანდრე ცხოვრებაში. იქნებ ბევრს უტკენია მისთვის გული, მაგრამ თვითონ აუგი არავისზე დასცდება; პირიქით – ცდილობს, ყველა გაამართლოს და სიკეთით სძლიოს იმ ტკივილს, რაც, სამწუხაროდ, მისნაირთა ხვედრი თუ ბედისწერაა.

ეგებ საჯაროდ არც ღირდა ამ სიყვარულის გამხელა; მაგრამ მაინც მგონია, ის უბედურება, რაც გვეჭირს, იმიტომ დაგვემართა, კარგს რომ თავის დროზე კარგი არ ვუნოდეთ და დინჯი, ჩრდილში მდგომი გულწრფელობის მაგივრად აგრესიული უმეცრება რომ ვაყაყანეთ.

ამ წერილით კი, ვფიქრობ, ბატონი ალექსანდრეს უკლებლივ ყველა სტუდენტის სათქმელი ვთქვი. უბრალოდ, თუ სხვები მორიდების გამო ვერ უბედავდნენ მაღლობა მაინც გადაეხადათ განუული ამაგისათვის, მე სითამამე მეყო, თავი მომეწონებინა იმით, რომ ბატონი ალექსანდრეს მონაფე ვიყავი.

გიორგი ლობჯანიძე



მწვავე მონატრება

ბატონი ალექსანდრე გვახარია – ადამიანი, რომლის შესახებ ნათქვამი ყოველი სიტყვა უძლურია და ნაკლებსმეტყმელი მათთვის, ვინც ბატონ შურას პირადად არ იცნობდა. აღმოსავლეთმცოდნეები ბედნიერი ვართ ამ მხრივ, რადგან ჩვენში ალბათ არ მოიძებნება პიროვნება, რომელსაც ბატონ ალექსანდრესთან ურთიერთობა არ ჰქონია. ყოველი მასთან შეხვედრა ჩუმი ალერსი და სიკეთიდან ამოზრდილი უსაზღვრო სითბო იყო. ძნელი დასაჯერებელია, რომ ეს სითბო ყველას ერთნაირად სწვდებოდა.

ბატონი ალექსანდრე ყოველდღიური ცხოვრებით თითქოს არც კი ცხოვრობდა, იმდენად მშვიდი, მიმტევებელი და ყველას მიმართ კეთილგანწყობილი იყო. დღეს იშვიათია, რომ ამ თვისებათაგან თუნდაც ერთი ბოლომდე იყოს ფესვგადგმული ადამიანში. იშვიათია, რომ საკუთარი ტკივილისა და ფარული სევდის მიუხედავად, მაინც შეგწევდეს ძალა ყოველთვის სხვას მიეფერო, დაეხმარო თუ ანუგეშო. ამას სხვა სულიერი ძალისხმევა და სათნოება, ის დიდი ბუნება სჭირდება, რაც ბატონ ალექსანდრეს ყველასგან ასე გამოარჩევდა.

საოცარი იყო ბატონ შურასთან ურთიერთობა. ყოველი შეხვედრის დროს გრძნობდი, რომ საკუთარი არსების რალაც საუკეთესო ნაწილს გიტოვებდა და უაღრესად გაკეთილშობილებდა. გრჩებოდა სითბო და სიყვარული, რომელსაც მუდამ თან ატარებდა. ხშირად მიფიქრია იმაზე, თუ როგორ უანგაროდ შეეძლო მას დაეცალა და დაეშრიტა მთელი თავისი ძალისხმევა და ენერგია სხვისთვის. არ ჰქონდა მნიშვნელობა, სტუდენტი იქნებოდა ეს თუ კოლეგა, ყველას ერთნაირად უსმენდა, ეხმარებოდა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჩემს ალქმაში, პირველ რიგში, ბატონი ალექსანდრე გვახარიას სახელს უკავშირდება. მისით დაინწყო ჩემი საუნივერსიტეტო ცხოვრება, პროფესიული განვითარება, პიროვნებად ჩამოყალიბება. რომ არა იგი და ქალბატონი ინგა კალაძე, ჩემში ალბათ არც კი ჩაისახებოდა ის თავდაპირველი ინტერესი და შემდგომ სიყვარული პროფესიისა, რომელსაც აღმოსავლეთმცოდნეობა ჰქვია. ყოველი პროფესიონალის მთავარი ღირსება ხომ საკუთარი საქმის სიყვარულია.

სხვა იყო ბატონ ალექსანდრესთან ურთიერთობა უნივერსიტეტის კედლებს გარეთ. არაერთხელ წავსულვართ


მხატვართა სახელოსნოებში, სალონებში გამოფენებზე, ლიტერატურულ ღონისძიებებზე. ჩვენი უკანასკნელი გასვირნება თბილისობისას იყო, მისთვის ჩვეული წყნარი ნაბიჯით რომ აეუყევით ღვინის აღმართს. ბატონი ალექსანდრეს მიერ მოთხრობილი ისტორიები მიცოცხლებდა ძველი თბილისის პანორამას. ის წუთები ცხოვრების ბოლომდე საუკეთესო მოგონებად გამყვება.

დანაკლისს ვერ ვუნოდებ იმ გრძნობას, რომელსაც ბატონ შურასთან განშორებით განვიცდი. ეს უფრო მონატრებაა, მწვავე მონატრება მასთან გატარებული ყოველი წუთის. ამ წუთებს მიბრუნებს მისივე ნაჩუქარი წიგნები წარწერებით და ბატონ თენგიზ მირზაშვილის არაერთი ნახატი, რომელიც სათითაოდ სხვადასხვა სათქმელს იწაბავს. ბატონმა ალექსანდრემ მიმიყვანა პირველად მასთან სახელოსნოში. იქვე, ჩემ თვალწინ, შეიქმნა რამდენიმე ნახატი და ასე შემომჩა ცოცხლად ფიქრები, საუბრები, მოგონებები თენგიზ მირზაშვილის სახელოსნოდან.

დრო იმაზე სწრაფად გადის, ვიდრე ეს ჩვენ გვინდა ან გვგონია. ბატონ ალექსანდრესთან გატარებული დღეები ახლა ერთ გაელვებად მეჩვენება და საშინლად მწყდება ამაზე გული. უამრავი დამრჩა სათქმელი, მოსაყოლი, გასაკეთებელი, თუმცა მთავარი სულ სხვა რამ არის. უმთავრესი ის ცხოვრების წესია, რაც ბატონმა შურამ თითოეულ ჩვენგანს ანახა და დაუტოვა: იყო პატიოსანი, თავმდაბალი და სულგრძელი, ანუ იყო სულით ხორცამდე ქრისტიანი.

ბედნიერი ვარ იმით, რომ მე ასეთი ადამიანის გვერდით ვიყავი.

სოფო ბზიშვილი



დროში მოგზაურობას გვიადვილებდა

*ცხოვრებისეული კრედო: „პასუხისმგებლობის გამძაფრებული გრძნობა, საქმის უანგარო სიყვარული და ერთგულება, სიკეთის თავმდაბლური სამსახური, ყოველი დღის აღქმა, როგორც ღმრთის მიერ ბოძებული ჯილდოსი და სამადლობლად — შრომა, ყველაზე უფრო დიდი სიხარული და სიამოვნება! სპარსული ლექსებიდან: „ემსგავსე სანთელს, სხვას გაუნათე, თავად ბნელში იყავი... ემსგავსე თვალის გუგას, სხვას უმზირე, შენს თავს ნურც კი შეამჩნევ.“
ალექსანდრე გეგზარია“*

ბატონი ალექსანდრეს გარდაცვალების ამბავი პირველივე დღეს შევიტყვე და რალაც უცნაურად სიკვდილზე მეტად მთქმელზე გავბრაზდი, რომელმაც, თუმცა ეს განზრახული არ ჰქონდა, ერთ ნუთში, ერთი ამოსუნთქვით დახურა ჩემ მიერ განვლილი და დარჩენილი ცხოვრების ბევრი ფურცელი.

შემდეგ? შემდეგ რა მოხდა, არ მახსოვს. მითხრეს, ძალიან, ძალიან ტიროდი და ამბობდი: ჩემი მასწავლებელი აღარ არისო. ყველაფერი ეს რამდენიმე ადამიანის თვალწინ ხდებოდა და ალბათ ზოგისთვის გასაგები, ზოგისთვის კი გაუგებარი მწუხარება იყო.

ბატონი ალექსანდრე ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის სპარსული ენისა და ლიტერატურის სტუდენტებს სპარსული ლიტერატურის ისტორიას გვასწავლიდა. ჩვენთვის იგი არ იყო მხოლოდ კათედრის გამგე, პროფესორი, დიდი მეცნიერი. ამქვეყნიური დიდებანი, მის სახელს რომ უკავშირდებოდა, მასთან ურთიერთობისას ბოლო ადგილზე გადადიოდა და იგი ჩვენთვის მოთმინების, სიკეთის, სიბრძნის, ადამიანობის მაგალითი იყო.

ლექციას ყოველთვის მშვიდი, ტკბილი ხმით გვიკითხავდა, მისი სახე დაცლილი იყო ყოველგვარი უკეთურობისაგან, მოხდენილი წვერი, რომელსაც ატარებდა, აღმოსავლურ სიბრძნესა და იდუმალებას მატებდა მის გამოხედვას, ჩვენ კი, სპარსული ლიტერატურის სიდიადით შეპყრობილ სტუდენტებს, ფირდოუსის,

* ამონარიდი ბიოგრაფიული ცნობარის ანკეტიდან „ვინ ვინაა საქართველოში“, 1996-97

რუდაქის, ხაიამის დროში მოგზაურობას გვიადვილებდა, ჩვენ ბატონი ალექსანდრეს ნაამბობში ისე ვგრძნობდით თავს, ვითარცა აღმოსავლურ ზღაპარში, და ისიც მოგვითხრობდა:

„...მდუმარე ბაღში, გაზაფხულზე, ღამის წყვილიადში,
აღმოსავლეთით მოფრენილი ნაზი ბუღბუღი
ვარდს უგალობდა“...

ყველაზე კრიტიკულ სიტუაციებშიც კი უცნაურად, უსაზღვროდ განონანსორებულ, აუღელვებელ ადამიანს მხოლოდ ამ ამბავთა თხრობისას ეტყობოდა ხმაში ცვლილება, რადგან უგულოდ, სასხვათაშორისოდ, თავის საქმეს ვერ აკეთებდა, ქართულ და სპარსულ ლიტერატურაზე გულგრილად ვერ ლაპარაკობდა.

მის საგანში ჩათვლა ან გამოცდა არასოდეს გვექონია, ეს ჩვენი მუშაობის მხოლოდ ფორმალური მხარე იყო, რომელიც იწყებოდა და მთავრდებოდა მისივე სიტყვებით: „ყველამ კარგად ვიცით, რაც ვაკეთეთ“, ამას კი სდევდა ნიშნების დანერა. არ მახსოვს, არაობიექტური ყოფილიყო ოდესმე, ან ვინმეს — სტუდენტთაგან — პრეტენზია ჰქონოდა მის მიმართ.

ერთხელ მოცემულ დავალებას, სასარგებლო რჩევას რამდენჯერმე დაუზარებლად გვიმეორებდა, სახლიდან ჩვენთვის წიგნები მოჰქონდა, ჩვენს გასაკეთებელ საქმეზე ჩვენზე მეტად ზრუნავდა და ამგვარ დათმობებზე წასვლა, პატივმოყვარეობაზე, პრესტიჟზე უარის თქმა არასოდეს უჭირდა. მის დღის განრიგში უამრავი ნვრილმანი შედიოდა, რომელთათვის გვერდის ავლა, რომ არა მისი სულის სიფაქიზე, სხვისთვის ადვილი საქმე იქნებოდა.

ასაკით, სტუდენტური ყალთაბანდობით დაშვებულ შეცდომებს უსიტყვოდ, უბრალოდ გვპატიობდა, დაუმსახურებლად ათასჯერ გვეკრძალოდა, ათასჯერ გვცემდა პატივს და ამითვე ქმნიდა ჩვენგან ადამიანებს.

გვრცხვენოდა, მის წინაშე ცუდები ვყოფილიყავით, სწორედ მის წინაშე, რადგან თუკი სხვა ლექციების გაცდენას არ ვერიდებოდით, ათასგვარ უპასუხისმგებლობას ჩავდიოდით, მის ლექციაზე ყველანი უკლებლივ შევდიოდით და რაიმე გაუთვალისწინებლობის თავიდან ასაცილებლად წინასწარ ვთათბირობდით კიდეც.

დარწმუნებული ვარ, ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, რომ ლექციის ჩასატარებლად შესულს აუდიტორია ცარიელი არასოდეს დაჰხვედრია. ამის — სიყვარულის, პატივისცემის, დიდების — მოსაპოვებლად ათასგვარ ხერხს, მცდელობას მიმართავენ, ბატონ ალექსანდრეს კი სრულიად სანინალმდეგო გზებით ხვდა ეს წილად. (თავმდაბლობა, სტუდენტებთან უშუალო და მეგობრული დამოკიდებულება სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებაში

არც ჩვენს დეკანს – ირინე გოცირიძეს უშლიდა ხელს, მისადმიც შიშზე მეტად უდიდესი რიდი გვამოძრავებდა).

ბატონი ალექსანდრე გარდაცვლილი მეგობრის – ფარნაოზ ერთელიშვილის ახლად გამოცემულ იგავ-არაკების კრებულში უცნაურად გამოჰყოფს ავტორის ერთადერთ ნოველას: „რად ღირს თუნდაც მარტოობის სევდით გაჯერებული ნოველა „ქვევრი“, რომელსაც კვლავ მარტოობის თემით აკავშირებს მეგობართან: „უღვთო და უსამართლო იყო მისი სიკვდილი. არ მახსოვს, ჯანმრთელობაზე დაეწივლოს. მარტო მყოფს უმტყუნა გულმა. მარტოდმარტო შეხვდა სიკვდილს ორმოცდამეათე წელში გადამდგარი“... ორმოცდაათ წელს მიტანებული კაცის ცხოვრებაში შეუნიშნავს ბატონ ალექსანდრეს სიმარტოვის სიმძიმე თუ სევდა და ვინ იცის, იქნებ თვითონაც, სხვებისათვის ასე საჭირო და ძლიერი, საკუთარ თავთან იყო სუსტი, მით უფრო, რომ მას წლები და ცხოვრებისეული ტვირთი დიდი ედო მხრებზე.

ბატონი ალექსანდრე მარტო და მიტოვებული არ ყოფილა, მზრუნველი ახლობელ-ნათესავები, მეგობრები სწორედ რომ არ აკლდა, მაგრამ ამბობენ, შვილი და შვილიშვილები ენატრებოდაო ხშირად...

„არ განმეორდების...“ სევდით, სიყვარულით, მონატრებით ვიგონებთ საყვარელ, დაუფინყარ მასწავლებელს ნამონაფარნი და ამქვეყნიური ცხოვრების ამოებაზე, ასე მივიწყებულ მისებრ კაცად ყოფნასა და კაცურად წასვლაზე, მას წაყოლილ ჩვენს წარსულსა და გეგმა-ჩანაფიქრებზე ვცვებით...

შორენა ნიქარიშვილი

ბ. ს. ს. ს.
ბ. ს. ს. ს.
ბ. ს. ს. ს.



სიკეთისა და სიყვარულის მასწავლებელი

მისი ბავშვობა 1937 წლის დეკემბრის ერთ სუსხიან დილას დამთავრდა, როცა იგი, სრული ობლობისათვის განწირული, რუსთაველის პროსპექტზე მიჰყავდა მამიდას. რვა წლისამ უკვე იცოდა, რომ ამქვეყნად არსებობს ტანჯვა, ტკივილი, უსამართლობა. მისი შემდგომი ცხოვრებაც შეჭირვებისა და ტკივილის გრძელ ჯაჭვად იქცა. თუმცა ღვთის მადლითა და აღმოსავლური სიბრძნის წყალობით მან იპოვა ერთადერთი ჭეშმარიტი გზა. მრავალი წელი იგი ყველაზე გასაგები ენით – საკუთარი ცხოვრებით ასწავლიდა ადამიანებს ამ გზაზე სვლას; თვით ყოველგვარ ტკივილთან წილნაყარი სხვებს უმსუბუქებდა სევდას, იმედისა და სიხარულის წუთებს ურიგებდა გარშემომყოფთ, გულისა და ხელების სითბოს უზიარებდა მათ.

„დადიოდა და თან დაჰყვებოდა ოდნავ შესამჩნევი ნათელი...“

ბატონ ალექსანდრე გვახარიაზე მოგახსენებთ. იგი ჩვენი მასწავლებელი იყო, უპირველესად – სიკეთის, სიყვარულის, ცხოვრების მასწავლებელი (ახლა უკვე – სიკვდილისაც). ვიხსენებთ მასთან გატარებულ წუთებს და ცხადი ხდება, რომ სიტყვებით არ გადმოიცემა მისი სულის სიმდიდრე, მისი სიმაღლისა და თავმდაბლობის იშვიათი ერთიანობა, მისი „მიუწვდომელი უბრალოება“, პროფესიონალიზმის მისეული გაგება. ადამიანები, რომლებიც არ იცნობდნენ მას, ვერასოდეს გაიგებენ, როგორი იყო ბატონი ალექსანდრე. ჩვენს დროში ხომ იგი არავის ჰგავდა.

ერთი კი გვჯერა – როცა ჩვენ-ჩვენი რიგით უკანასკნელი გამოცდის წინაშე აღმოვჩნდებით, ის მაშინ მოვა. მოვა ჩვენი მარადიული მასწავლებელი, კიდევ ერთხელ გაგვითბობს ხელებს და შუქჩამდგარი თვალებით გვეტყვის: ნუ გემინია, გენაცვალე, სიკვდილი სულაც არ არის ძნელი...

თამთა ფარულავა



30-იანი წლები



მშობლები - გალინა და აკაკი გვანასიძეები.
30-იანი წლები



1940 წელი



ექსკურსიაზე დავით გარეჯაში. 60-იანი წლები



შაბათობაზე ინსტიტუტის
ეზოში. 70-იანი წლები



რამაზ პატარიძე და
ალექსანდრე გვახარია.
60-იანი წლები



ალექსანდრე გვახარია და ზურაბ კიკნაძე. 1962 წელი



70-იანი წლები

ვაჟა თკუჯაძე და
ალექსანდრე გვახარია.
1947 წელი



ქალიშვილი სოფიკო.
1967 წელი



მეუღლე ცირა კალაძე.
1962 წელი



ალექსანდრე გვახარია, გალინა გვახარია (დედა) და
შვილი აკა. 1966 წელი



ზურაბ ნიფარაძე. ალექსანდრე გუგუშვილის პორტრეტი.
1960 წელი



ცირა კალაძე (მეუღლე), ალ. გუგუშვილი, ლენინგრადელი
მეგობარი ვალენტინ შულმანი, ინგა კალაძე



1950 წელი



ბონი, 1986 წელი




შვილიშვილები - სანდრო და ნიკი.
2000 წელი



შვილი აკა გვახარია.
1977 წელი



ნიკი და ბაბუ.
2000 წელი



სანდრო და ბაბუ.
1997 წელი



ალ. გვახარია და
მაგისტრანტი სოფო ბზიშვილი.
თბილისობა, 2001 წ.



ალ. გვახარია და ირანის
ულჩი ალი აქბარ ამინიანი.
1998 წელი




ლეკა ცუცქერიძის სახელოსნოში: ლ. ცუცქერიძე
შეუღლით, ერნსტ კანცლერი, ნ. კაკაბაძე, ალ. გვახარია

ა.მ



თენგიზ შირვაშვილის ჩანახატი.
2001 წელი



1998 წელი